

ლიტერატურული გაზეთი

№10(146) 22 მაისი - 4 ივნისი 2015

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ზაზა ბიბილაშვილი

ბექა ქურხული

დილა მშვიდობისა

ძილბურანის ნისლებიდან გამოსული ბანდალ-ბანდალ, სიზმრის ბუნრომყოფილო, აბუზულო ცხადის კართან, შფოთით შემომზირალო და შიშით ველარ შემოსული, აბა, გული გახსენი და გამიმხილე, ჩემო სულო: ძილისა და მღვიძარების აცაბაცად ნაკერ ზღვარზე რა გაშფოთებს, რით გაშინებს, როგორ გაცახცახებს ასე? — თითქოს — ცხადის ღია კარი ხრამის პირი იყოს ღია; უხსენებელს უკბენია; ავსულისთვის გიკოცნია... სულო, რად გაქვს ერთი სული — ისევ ბურანძილში შეძვრე? ტანში რატომ გეტოტება უმწეობა ყოვლისშემძლე? ეგ გული თუ გულნაცვალი რა თავზარმა დაგიზაფრა — ხორცთან გაყრად რომ გაჩვენა სიზმრისა და ცხადის გაყრა? რომ იღვიძებ და თან იცი — და საიდან იცი, ერთი? — შენ არ გელის ან იმისთვის გელის მთელი ღვიძილეთი, — რა სანდობი-შესანდობი-დასანდობი არის ისო! — სპილოსავით დაგაბიჯოს — მუხლუხივით გაისრისო... ამ დროს, ძილის ანუ ძილში შებრუნებაც გვიანია; მერე — ეგეც რა ძილია — სველია და ქვიანია... იმედების გულა მაინც იქით დაგიტოვებია — თითქოს აქეთ უფრო ავი დევები და ტროლებია, თითქოს სადმე ახლომახლო მრავალთავა ძაღლიც ებას — რომ ყოველი გაღვიძება ჰგავდეს ბოლო გაღვიძებას. — აკი თავიც შეგრჩენია მხოლოდ ამის, თუკი რამის — მიფრიალო, მიბაგუნო, ამომიგდო გული ლამის; მეხუთო და მეკრა, მე კი მარტო იმის ხათრით გითქვა, რომ წამების ეგ წამები არ გრძელდება წუთზე დიდხანს, — როცა ისე შეგრისხავდი, სულეთის ფრთებს შეისხამდი, რათა ჩემი სიზმარივით გამქრალიყო ჩემი ცხადი... მაშ, მითხარი... თუმცა რატომ გამტვრევინო კარი ღია? — ჯობს, ამიხსნა, რისიც მართლა ვერაფერი გამიგია: იმ წამების კვალდაკვალად — შენ რომ გულზე წამიკიდე — წარსულში რომ ჩაინვება რამდენიმე წამი კიდევ, საათად და ტელეფონად, კედლებად და ნახატებად როცა ცხადი საბოლოოდ ახდება და გაცხადდება, სიზმრისგანაც რომ დარჩება ალაგ-ალაგ მოყოლა — აი ამ დროს აი უკვე ასე მშვიდი როგორა ხარ? — ისე, თითქოს ეს-ესაა — როცა ცხადის კარს ალებდა — სულ სხვა სული შფოთავდა და ოხრავდა და ცახცახებდა; მიღებული სანთელივით თითქოს შენ არ ციმციმებდი; გეგონება, არც გეგონა, რაც გეგონა ღვიძილეთი; — ის კი თითქოს სავანეა, სამოთხე და მეცხრე ცაა, და, საერთოდ, ის არ არის, რაც გეგონა, ეს-ესაა.

IV

სამოთხიდან გაქცეულები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

ელე ლეჟავა საშინელი ქალი იყო. და აი, ამ საშინელ ქალს შეუყვარდა. მანამდე ეხლა ნახე რა ვქნა თემურა და ძესნა ლაღე უყვარდა. ცოლად კი ძია ბარადას გაჰყვა. სამივენი, ბალიდან მოყოლებული, ბავშვობის ძმაკაცები იყვნენ, საბურთალოზე იზრდებოდნენ და ზედმეტი სახელებიც — კლიჩები, ბატონო — ეხლა ნახე რა ვქნა თემურას გარდა, ძესნა ლაღემაც და ძია ბარადამაც ბალიდან აიკიდეს. ლაღემ ბაღში გამოაცხადა: „რო გავიზრდები, დედიკომ და მამიკომ დიდი ველოსიპედი „ძესნა-დვა“ უნდა მიყიდონო“ და ბავშვებმა ბევრი დასცინეს, უცხო სიტყვა „ძესნა“ მოეწონათ და ლაღეს მას შემდეგ „ძესნა ლაღე“ დაერქვა; იმის მიუხედავად, რომ „დესნა-დვა“ უყიდეს, „ნოლ-ძევიტიც“ და „ოცდაოთხიც“ — ვოლგა, რა თქმა უნდა, და სიკვდილამდე ყველა, ვისაც უფლება ჰქონდა, ძესნა ლაღეს ეძახდა. ძია ბარადას სახლში რუსი მოსამსახურე ჰყავდა და, როდესაც ბაღში „ბურატინოს“ უკითხავდნენ, ყარაბას-ბარაბასს რუსულ-ქართულად „ძია ბარადა“ დაარქვა; დაარქვა რა — თვითონვე დაერქვა და მასაც სიკვდილამდე, ვისაც უფლება ჰქონდა, ყველა ძია ბარადას ეძახდა. ეხლა ნახე რა ვქნა თემურას ამბავი უფრო რთულად იყო და ეს მეტსახელიც ოცი წლის ასაკში აირტყა. მანამდე ყველა თემურას ეძახდა და ეგ იყო. ჯარის საქმეზე მოუვიდა ეგა და საქმე ის იყო, რომ ჯარში წასვლას არც არასდროს აპირებდა, არც ეგა, არც ძესნა ლაღე და არც ძია ბარადა. რა თქმა უნდა, იდეოლოგიური მიზეზები ჰქონდა მათ ჯარში წაუსვლელობას და არა სხვა რამ — სხვადასხვანაირი შიში, იზმენა, ან მსგავსი რამ. სამივე 1966 წელს იყო დაბადებული და იმ დროს საბურთალოზე ყველა, ვისაც თავი ხელთ ეპყრა, ქუჩაში იდგა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ძველბიჭობდა. ქუჩის კანონებით კი ჯარი სირცხვილად არა, მაგრამ მაინც არც მთლად მისასალმებელ საქმედ ითვლებოდა, თანაც ეზარებოდათ, იზაგავე ახლა იქ და უყურე ამ ბურვაკივით რუსის სტარშინას, რო ყოველ სიტყვაზე თავი ცემით უნდა გაგაბერინოს და ნაუბახტში თუ გაუბახტში ყურყუტმა მოგიწიოს — რაში, ხო, ტო?... მით უფრო, რომ არც არავინ ექაჩებოდათ. ფული ხომ იყო და ჰაუპტვახტი თითქოს არც ერთს არ ემუქრებოდა, მაგრამ „ჩელავეკ პრედპალაგაეც, ა ბოგ რასპალაგაეც“ და თემურამაც ტაშკენის სამხედრო ნაწილის 108-ე წითელდროშოვანი დივიზიის გამანან-ილებელში მილოშ ფორმანის „თმები“ დაიმართა და ზედმეტი სახელიც იშოვა.

VI-IX



სოფლისა და სოფლის

ახალთაობის ქართველ მწერალთა ერთმა ნაწილმა ეროტიულ ლექსებსა თუ პერსონაჟთა ინტიმურ ურთიერთობებზე ორიენტირებულ პროზის ნიმუშებში თავისი უკომპლექსო მორალური სახის ჩვენების ოპტიმალურ ნორმად სკაბრეზული ლექსიკის მომარჯვება და სექსუალურ თავგადასავლებზე საგნებით ღია, მოშიშვლებული მინიშნებების „მახვილონოვრული“ მხატვრული მეთოდი აირჩია და „დააკანონა“.

აღდგენილია გენდერული ბალანსი: ქალები, თუ არ უსწრებენ, არც არაფრით ჩამორჩებიან მამაკაცებს უაღრესად საჩოთირო პიკანტური პასაჟების შეთხზვასა და ზღვარგადასულ ბილნსიტყვაობაში (ამგვარი რეალობის ფონზე ტკბილხმოვან გაღობად მოგვიწოდებთ ქუჩური სლენგი და ჟარგონი).

ფსიქო-სოციოლოგიურ პრობლემათა წყებას ერთი მიზეზია: რა აიძულებს პოსტმოდერნიზმის ეპოქის მწერლებს, თავიანთი სულიერი მდგომარეობისა თუ მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვის ადეკვატური გზები მაინცდამაინც ყურის-მოჭრულ ვულგარულ გამოთქმებსა და სენსაციურობის შემცველ უტაქტო, უპატიურ ფრაზეოლოგიაში ეძებონ?

თავშეკავების სავალდებულო „მუხრუჭებისგან“ განძარცვულმა, თავმოყვარეობის ხუნდებისგან თავდახსნილმა და სოფლის სალსაბოზე გამოფენილმა ვნებამ და ხორციელი ლტოლვის სულისკვეთებამ მთელი თავისი ოდინდელი იდუმალება და მიუწვდომლობის ზეგარდმო ხიბლი დაკარგა... დაკარგა და ბანალობად იქცა!

არადა, ასახვა იმისა, რასაც უხამსიტყვაობის უკიდურესი არსენალის მოშველიებით ცდილობენ და ახერხებენ ეპატაჟის, შოკური ეფექტებისა თუ დამაინტრიგებელი ფანდებისა და ტრიუკების მოყვარული მწერლები, უამისოდაც მშვენივრად შეიძლება...

ეროტიზმის უზღვავ დოზას ითავსებს ოთარ ჭილაძის ერთი, ეთიკისა თუ ესთეტიკის თვალსაზრისით უზადო სტროფი; ითავსებს და მკითხველს ბრწყინვალე მეტაფორული სახის სიღრმისეული წვდომისა და გახსნის შანსაც უტოვებს:

...არ ეშინია ქალს მამაკაცის, მოსაჩვენებლად შეკრთება ხოლმე. არ ეშინია, როგორც ხეობას არ ეშინია შმაგი მდინარის.

აქვე ავტორგაუჩინარებული ხალხური ლექსიც მოვიხმოთ:

მოხვეის ქალო, თინაო, რა ღმერთმა გაგაჩინაო, ნეტაი ერთას ღამისა შენთან მქონიყო ბინაო, ჩემი ნაბადი დაგვხურა, შენს მკლავზე დამაძინაო...

აი, სად იგრძნობა დიდ შემოქმედთა ბუნებითი ნიჭიერება, ოსტატობა, ეროტიზმის ესთეტიკის მალულ მექანიზმებთან თანაზიარობა და დიდად დელიკატურ პოეტურ პერცეფციებში ზომიერების დაცვისა და შენარჩუნების უიმპიათესი უნარი!

„ნასამალი“

„ — ნასამალიც არა მაგის სიტყვა მართალი! — იტყვის უაუგო, უწყინარი კილოთი სიკვდილის მონატრული 90 წლის კასინე გულუხაიძე მეზობლის ობოლ ბაღზე, ვინც კაი ხანს ეჯდა თავსასთუმალთან, უამბობდა იმ მთისას, ამ ბარისას და მთელი თავისი დიდაქტიკურ-დამრიგებლობითი ტონალობის ლექსიკური მარაგის მოშველიებით ცდილობდა საუბარში მის აყოლიებას, გამხნევენას, „გახალისებას“...

ხოლო მე მეტყველების იმ ძირძველ, თანდაყოლილ კულტურაზე ვფიქრობ, გულსაკლავად შეცოტავებული მართლაც ღრმად „თუშურა“ კაცები და ბერდიაცები დღემდე რომ ატარებენ და რასაც, ხვალ თუ არა, ზეგ, მათი ნასვლის მერე, პირისაგან მიწისა ალგვა ემუქრება.

და მეტაფორული „მზისა შუქთა ნასამალიც“ მახსენდება „ვეფხისტყაოსნიდან“ (ავთანდილთან თავის ამბის მბობაში ტარიელი ამ სიტყვებით ახასიათებს მცირეწლოვან ნესტან-დარეჯანს)...

„ნასამალი“ პირველ მაგალითში (თუში ქალის ფრაზაში) მესამედს გულისხმობს, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემის განმარტებაში ახსნილია, როგორც „სამად ნამრავლი“ („ქალი მზის შუქზე სამჯერ უფრო ღამაზი იყო“).

ამირან არაბული

სულუქცევრად საკითხავნი

ვფიქრობ, რუსთველისეული ტროპის განმარტება გადასახედა და დაზუსტებას საჭიროებს...

„ნასამალი“ ხალხურ მეტყველებასა და კლასიკურ მწერლობაში.

კარგი სიტყვაა — მოხდენილად ნანარმოები, გამომსახველობითი დიპაზონის დამტევი...

კოტორიანთ ქალი

ასეთად დამამახსოვრდა: ჩქარი, ცქაფი, დაუჯდომელი, ნიავეით რომ უვლიდა გარს თავის ბანიან, საბძლიან, კალოიან მინურს; ჩამოფხავებულ, ღამის ჩახოლებულ ფარღალა ქოხს... ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდებოდა. როგორღაც ციცივ დადიოდა, თითქოს მინას არც კი ეხებოდა, ფეხს არ აკარებდა. მთის ქალის ტიპიური განსახიერება იყო; ქალისა, ადრეული სიყმაწვილიდანვე რომ მიაჩვიეს და გაუდობილეს გარჯას; შეგაუეს ცეცხლის კალოზე ტრიალს; შეაჩვიეს ფიზიკური ძალღონის უშურველად ხარჯვასა და შეჭირვების, შიმშილის, ყინვისა და ყველაწიანი განსაცდელის უსიტყვო მოთმენას, გულში ჩახვევას, მორჩილად ატანას.

კოტორიანთ ქალი — სოფიო ჩოხელი.



ქალი, „სხელში ხანი რომ გაუჩერდა“ და აღარ ბერდებოდა...

ბურსაჭირის ციცი, ცრიატ „რომანტიკაში“ ჩარჩენილი და გამომწყვდეული ხელმარჯვე გუდამაყრელი ბერდდა. ერთსა და იმავე დროს: პირტუქსი და მომფერებელიც; მკაცრიც და ლმობიერიც; საავდრო ცასავით შავად შერიშხულიც და ალალი, უქვეტექსტო ღიმილით სახეგახსნილიც...

ბოლო წლებში კვირაობით და თვეობით თავმარტო, თითქმის უმეზობლო, ხმის გამცემ დანატრებულში. ის და ბურსაჭირი: ფეხზე მდგარი ორიოდ ბორწნელიანი ქოხის ამარა მყოფნი, ერთად რომ მიათრევენ ნენ გემონართმეული, გამოჟამყრუებული, ბარგად და ბაღამად ქცეული ცხოვრების გამცვლად, გაღეულ, ყუაზე დასულ მარხილს... მიათრევენ და მაინც იქვე, ერთ ალაგას იდგნენ. ვერსადაც ვერ მიდიოდნენ ამ ტიალი, ქიდექსა და ქვენამთას შორის მოქცეული გრძლადნაღებული ხეობიდან...

ბებოდ ერგებოდა და შვილივით უყვარდა გოდერძი ჩოხელი (მისი სახიერი სახასიათო მტრისებია „დაჭერილი“ და ამეტყველებული ორ მინიატურულ ნანარმოებში: „კოტორიანთ ქალის სურათი“ და „კოტორიანთ ქალის საათი“; ეთავისებოდა, ეამაყებოდა და რაც უნდა გაჯიუტებულიყო და ციცი ქვებზე შემდგარიყო, ბოლოს მაინც ჩუმი ჩაბეჯითებით თანხმდებოდა უმტკივნეულოდ მარტივი თუ მთიერი მანდილოსნისთვის ცოტა არ იყოს რთული და საუხერხულო კინოროლების (ვთქვათ: პანდურების ეპიზოდი) შესრულებაზე.

არა, მსახიობურად არ თამაშობდა, არც არაფერს არტისტულად თხზავდა და იგონებდა, თავისთავიდან არ გადიოდა, აკეთებდა იმას, რაც მისი ყოველდღიური რეჟიმისა თუ სადაგი განაწესის არსსა და გულისგულს, ძარღვსა და შინაარსს შეადგენდა...

როგორია, ფილმში ფურდედოს რომ ესიტყვება და ეგურგურება: „ნახვალ, დარდიანი ნახვალ, მოხვალ, დარდიანი მოხვალ...“ (გოდერძი ჩოხელმა პირუტყვისადმი მიმართვის ეს სიტყვები რევუზ ინანიშვილის შესანიშნავი მინიატურიდან „მარტოობის სიმღერა“ აიღო და გამოიყენა თავის კინოსცენარში).

იმწამს სხვა არც არავინ ეგულეობდა გვერდით, ახლომახლო, ხელის განვდენაზე და, აბა, ვინმესთან ხომ უნდა ესაუბრა და ამოედგარა გულისგამგლეჯი წუხილი!

ანდა: უსასრულო სიმარტოვით დაღლილი და თავშეწყენილი მსხვილი საბლის მარყუჟს რომ გამოწასკავს, ტაბურეტს მიიმარჯვებს და სამზოლთან დამშვიდობებას დააპირებს... და ამ დროს ისევე და ისევე უპატრონობისთვის გამეტებული ცურსავსე ფურის ზმული რომ შეაცვლევიანებს ღვთისთვის არსათნო, არაქრისტიანულ გადანყვეტილებას... და მინურის წინკართან უძრავად გაჩერებულ ყულფში გაღმა ფერდობზე შეფენილი კობტასოფელი რომ გამოჩნდება და გაილანდება; სოფელი, რომელიც თვითმკვლელობის „ამსპლუაში“ წარდგება ნანახითა და განაგონით ისედაც მოხიბლული მაყურებლის თვალსაწიერში.

მთელი მთიანეთის, ამერისაც და იმერისაც, საუკუნო სატკივარს იტევს და ირეკლავს „ადგილის დედის“ — გოდერძი ჩოხელის საკურსო ნამუშევრის — წამში გაელვებული ეს ერთი საკვირველი კადრი!..

და ერთხელაც, იებთან და ენძელებთან მისის თვეში, გოდერძის რომ წავყვი და იმავე დღეს, სამზრობის ხანს, ბურსაჭირში რომ ავედით ლელა დეიდას (გოდერძის დედის) სანახავად, კოტორიანთ ქალი სოფიოც იქ დაგვივხდა...

გოდერძიმ ბურსაჭირისკენ მიმავალ ღორღიან გზაზე მაჩვენა ის „მკერდნამოყუდებული კლდე“, რომლის ძირშიც 1954 წლის 2 ოქტომბერს ის დაიბადა.

და იქვე ახლოს — ნატბევის ჭალა... ახალგაღვიძებულ ბუნებას გაზაფხულის ჟრულა და ჟრუანტელი უვლიდა; ხესა და ბალახს ძარღვებში სითბო ეღვრებოდა, ემატებოდა და ეს ორი შაოსანი, მშრომელი, მემთე ქალბატონი უზომოდ შეენოდა და უხდებოდა, ავსებდა და აფერიანებდა იქაურობას...

დღის ბოლოს ძირგამურულ ტაფაზე წამოდულებული ხაჭაპორბოს ყუათი და თითო ჭიქა „ალაღის“ მალამო მოგვეყვებოდა ბუბუნაურების სამოსახლოს სანახებიდან კვლავ ჩოხისკენ გამობრუნებულს... და მღვრიე, უსიამოვნო, გულის მკანრავი ფიქრი იმაზე, რომ ცოტაც და წაიშლებოდა მთური იდილიის ეს ძვირფასი, სანატრელი, ნამდვილქართული სახეები და სურათები.

ალიარება

„ხევსურული კილოკავი დავაგონჯე, მაგრამ მეორე გამოცემაში გავასწორე“. ამას რომ წერდა, თავის „თეთრ საყელოს“ გულისხმობდა მიხეილ ჯავახიშვილი.

მაღევე მიხვდა და ალიარა; სერიოზულ მწერლურ ცოდვაში ამხილა თავისთავი! ხევსურული დიალექტისა თუ კი-

ლოკავების მეტნაკლებად მცოდნეთათვის მართლაც ხელოვნურად, გამოგონილად, არაბუნებრივად ჟღერს რომანის პერსონაჟთა შორის გამართული დიალოგები. აგებს ავტორი: წარმოსახვით შექმნილი ყოფითი ნიუანსების რეალობად, „გასაღებისა“ და მოთხრობილი ამბების დამაჯერებლად ჩვენების ენიგმურ ძალას კარგავს ნანარმოები...

ენისადმი ძალადობრივი დამოკიდებულება პოზიტიური ნიშნით არასდროს ასახულა მხატვრულ ნანარმოებზე!

დღესაც არის ცდები (მეტწილად, წარუმატებელი) და „რეციტივები“ მთის დიალექტთა ენობრივი ფორმების ჭარბი თუ დოზირებული გამოყენებისა როგორც პროზაში, ისე პოეზიაში. და ხანდახან ტრაგიკომიკურ ვითარებამდეც კი მიდის ერთობ თამამი, მკრეხელურ გამბედაობასთან წილნაყარი ექსპერიმენტები. მითუფრო მაშინ, როცა ავტორთა დიდი ამბიციებისა და თვითრეალიზაციის მძლავრი სურვილის მიღმა ასევე დიდი, თვალშისაცემი უნიჭობა იმალება...

შეუწყნარებელია, როცა საკრალურ სივრცეში შეწვავსა და გაშიანურებას ცდილობს მწერალი და მითოური სიუჟეტების ყოვლად გაღარიბებულ, დამდაბლებულ, ღამის პროფანირებულ ვარიაციებს გვთავაზობს... და ეს ხდება ჯანსაღი დიალექტური მეტყველების უცოდინრობისა და უმოწყალო ექსპლუატაციის თანხლებით (ნანარმოები, რომელშიაც ერთმანეთთანაა გაიგივებული „გუდა“, „გუდანი“ და „გუდანური“, მეტი რომ არ ვთქვათ, ამ ცნებათა მნიშვნელობის მცოდნე მკითხველის მოწონებას ნამდვილად ვერ დაიმსახურებს!).

მიხეილ ჯავახიშვილმა თვითონ გამოუტანა ობიექტური მსჯავრი და განაჩენი საკუთარ „დანაშაულს“.

თანამედროვე ქართველი მწერლებიდან (სულ ცოტა სამი მათგანის დასახელება ახლავე შემიძლია) ჯერჯერობით ასეთი რამ არავის გაუკეთებია!

კანჭი. ქვა. ლოდი

სანდრო პაპა (ხუცურაული) მიაამბობდა: ერნოში, თრანის სათიბების ბოლოში, დღემდე დევს მრგვალი ქვა, რომელზეც თავის ფიზიკურ ძალ-ღონეს ცდიდა წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ტოლანთსოფელში მასწავლებლად მივლინებული, პრისტავებთან და ბოქაულებთან გამუდმებულ შეხლა-შემოხლაში მყოფი ვაჟა-ფშაველა.

განსხვავებული კონფიგურაციის ბრტყელ ლოდს ახლაც ნახავთ მადაროსკარის ზემოთ, კობალას სალოცავში; იქ, სადაც ფშავ-ხევსურეთის არაგვს ტყიანი ხევწვრილი, ე. წ. „ავთანდილის საქანი“ დასტატნებია. და იქვეა მურღალი დევისთვის დადებინებული, კლდის ფხიდან ჩამოშუქებულ მზის სხივებზე მრავალფერად მზინავი კობალას ქვა, სანთლების ნამწვი, მური და თავსხმა წვიმები რომ შემრობია ქარნიავისგან ნალოკ, გალიგვებულ ტანზე.

„საფლავის ქვის მსგავსი“ ეს ბრტყელი ლოდი, როგორც ვაჟა წერს, ამ ალაგას ყოფილ გოგოთურს მოუტანია და ისეთი მძიმეა — ორ კაცს გაუჭირდება ამ ქვის გადაბრუნება; მწერალი იქვე ამბობს, რომ ჯეილობაში თვითონაც ბევრჯერ ეჯავჯგურებოდა ქვას და ცდილობდა, გოგოთურზე მეტი ღონე გამოეჩინა...

ასეთივე დატვირთვისა თუ დანიშნულების ლოდის არსებობაზე მითითებს ხახმატის ხატში ცნობილი ექიმი და ეთნოგრაფი გიორგი თედორაძე.

გიორგი შატბერაშვილისა და მისი ერთი კოლორიტული პერსონაჟის სსოვნის უკვდავქმნის განზრახვით მიუტანიათ და მოუთავსებიათ ერთგულ მკითხველებსა და გულშემატკივრებს გლუვი ლოდი თვალადის შუაგულის მომცრე სკვერში, საავტომობილო გზის პირას...

საინტერესო ისტორიის უტყვად მეტყველი ქვები და ლოდები!..

ციხე-სიმაგრეებისა თუ საცხოვრებელი სახლების მკვირვ კედლებში ჩაშენებული ის ბასრი ქვებიც ვახსენოთ და გავიხსენოთ, რომელთა სწორ ზედაპირზე დამიფრული დამწერლობის უცნაური ნიშან-სიმბოლოები ამოკვეთილი... და უწყვეტად მომქეფარე ე. წ. „სულის წყაროები“, აგებული არა უხვედრ, არამედ ისეთ ადგილებში, სადაც ბევრი მგზავრი მიმოდის და გემონწინდა

წყლით გულგაგრილებულნი არა მხოლოდ ამგების გარჯასა და მარჯვენას, იმ გარდაცვლილთა სულელებსაც ლოცავენ (უნდა ლოცავდნენ!), რომელთა სახელზეც ეს მემორიალური ძეგლებია შექმნილი... და ეპიტაფიისთვის დამახასიათებელი ლაპიდარულობით აღბეჭდილი ლექსნარევი მინაწერები ამ წყაროების ფასადებზე დატანებულ სიბის წყლისფერ დაფებზე...

და კიდევ: საძირკვლის ქვა და ლოდი თავსაკიდური.

და კენჭი, როგორც პოეტური რეცეფციის განსულიერებული ელემენტი, ალაზას რომ აქემეინებს „სტუმარ მასპინძელში“: „ქისტეთში ჩემი ერთგული კენჭიც კი არსად არაა!..“

ლოდი. ქვა. კენჭი... და ძველადღესობის (ეკლესიასტე): ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა...

ქუხით გალა

შემღვრული გუნება გამომიკეთდება ხოლმე, ხევიდან გელა ქუშაშვილი რომ შემეხმანება. დადებითი აურის მატარებელი ანგელოზიანი კაცია! დაუყოვნებელი, მსუსხავი იუმორის პატრონი; საძმაცაცო ტაბლისა თუ სუფრის ნაღმა წამყვანი; ერთობის ტალკვესი და თაოსანი; ალღეშთა და ბროიანთა დამკვლიანებელი, დამწყნარებელი... თავდღიანი მოხვევა და სიტყვაც წრფელი, მოზომილი, გულითადი აქვს... ხევის წარსულის, წანართა ისტორიის საუკეთესო მცოდნეა; ნაკითხი, „წანართი“ და საინტერესო ნარატორი... უპატეტიკო ორატორობის ნიჭიც მიჰმადლებია და უხნიერესი ქართული მწერლობის ავკარგზე საუბრის ესოდენ სასურველი უნარიც... „ახალი რა არაფერია?!“ — გკითხავს და, სანამ სიტყვას განაგრძობდეს, უკვე იცი, რომ ახალ ნიგებს, წყალივით და ჰაერით საჭირო გამოცემებს, ყურადღების ღირს პუბლიკაციებს გულისხმობს... და შემთხვევითი არც ისაა, რომ მისი სატელეფონო ზარების ადრესატთა შორის საინტერესო ადგილზე როსტომ ჩხეიძე დგას... და ორი-სამი დღით თბილისში ჩამოსული სულის სარგო წიგნებით ხელდამშვენებული ბრუნდება სტეფანწმინდაში... გემოვნებით შერჩეული საკითხავით ჭერამდე სავსე საოჯახო ბიბლიოთეკა აქვს. ხევი კიდევ ხშირია წვიმა, ცრატი, თოვლი, სუსხი და ამგვარ ამინდებში ადამიანმა წიგნების ცხადსიზმრიან სამყაროში მოგზაურობაზე უკეთესი რა უნდა იხატოს!..

წელან დარეკა. აღდგომა მომილოცა. ლეგა ღრუბლებით წაგრაგნილი ციდან ჭირვეული გაზაფხულის ცქრილა მზემ გამოიხედა.

რეალური და ალემორიული

„და ამ პატარა მიწის ნაკვეთზე შემადრწუნებლად ვარ ბედნიერი“. ოთარ ჭილაძე

გაზეთ „საქართველოში“ (1917 წ. №1) გამოქვეყნებულ ესსეში პატარა სამშობლოს სიკეთეებსა და უპირატესობებზე წერს გერონტი ქიქოძე, კულტურულ-საზოგადოებრივი პროცესების „მაჯაშისა შემტყვევარი“ ბრწყინვალე მამულიშვილი და სამაგალითო ლიტერატურათმცოდნე.

„მაღალხარისხოვანი ზნეობრივი თვისებები“ პატარა სამშობლოში უფროა შენარჩუნებული, ვიდრე დიდში; პატარა სამშობლოს მკვიდრ კაცს ნაკლებად აწუხებს „უსაზღვრო და უპიროვნო მასაში“ გათქვევითა და გაქრობის პერსპექტივა; „პატრიოტული გრძნობა, ჩვეულებრივ, პატარა ხალხში უფრო ცხოველია, ვიდრე დიდში“...

მამაპაპეული მიწის ჩაუნაცვლებლობის, შინაობისა თუ სამშობლოების განცდა (ეს უკვე მოცემული თემის ნაწილობრივ ჩემული ინტერპრეტაციაა) პირდაპირ-პროპორციულია მისი ფართის სიმცირისა და სივინროვისა; თვალუწვდენელ სიმორეებში გადაჭიმული ტერიტორიის მიმართ სულისმიერი სიყვარულის მგზნებარება, როგორც ჩანს, მართლაც ბევრად ნაკლები, ნელთბილი და დაუკონკრეტებელია...


თანამედროვენი იგონებენ, რომ ვახტანგ კოტეტიშვილს გამორჩეულად უყვარდა გარეუბნებში გაგონილი და დაფიქსირებული ერთსტროფიანი ხალხური ლექსი.

გაეხედე ყარაიხზე: ორი ირემი სძოვდაო, მე დიდი გამოვარჩიე, თურმე პატარა სჯობდაო.

P. S. აქ ნახსენები ტანად პატარა ირემი „ოდესმე დიდი“ საქართველოს ალგორითული სახე-ხატია.

„ჯავარი“

ზაურ ჯაბუშანურმა, ლაფანყურელმა მოკაფიავემ და ხალხური პოეზიის მხურვალე, გულითადმა ქომამა, ვაკეში, საცურაო აუზის ახლომდებარე საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე, კლუბ-რესტორანი გახსნა და ვახუშტი კოტეტიშვილის რჩევით სახელიც ორიგინალური — „ჯავარი“ — დაარქვა... ძირითადად კულტმასობრივი ღონისძიებებისთვის განკუთვნილი დიდრონი დარბაზის „კურთხევის“ დღე რომ მოახლოვდა,



დედაქალაქის რამდენიმე უბანში თენგიზ მირზაშვილის განუყოფელი ხელწერით შესრულებული ფერადი აფიშები გამოჩნდა:

შვიდ ივლისს, შვიდ საათისთვის გამასპინძლობთ კლუბი „ჯავარი“, საქმელ-სასმელი ოხრად გვაქვ, მობრძანება მთავარი, ისეთ კაფიას გაჯახებთ, დაგიცურდებთ ყავარი!.. კაი ბიჭი თუ ხარ, მოიფიქრე და შექმენი ამაზე უკეთესი პიარ-რეკლამა!

ანანტასია

...და რომ ფიქრობდი, პაპა-ბებოსთან განმარტობას, ჟღერტულს, თამაშსა და გართობას არაფერი ერჩივნა, გამთენიისას, ალბათ, თავნება სიზმრებისაგან შემკრთალი და შეშინებული, „დედადო! — ისე მდულარედ ამოტირდება, გულზე უმწეო თანაგრძნობის მწველი, მკანრავი ნაპერწკლები გადავივლიან.

„კაცთ ენით გაგროტვილი...“

ჩეჩვა, რთვა, ქსოვა, ქარგვა, კერვა... ხევსურ ქალ-ღიაცებს ხელსაქმეში უთუნდებოდათ ზამთრის დიდი, მარაგანი ღამეები.

ქმარ-შვილს საკადრისად მოსაგდენ და, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ყოფითი ამბებისგან აწენილ ნერვებსაც ათირებდნენ, ითოკავდნენ...

„გამომსახველობითი“ საშუალებების სიახლითა და სიუხვით ღარიბ, მაგრამ ვეფხვის ტოტივით ღონივრად მოქნულ ლექსის სტრიქონებს ეჯობებოდა გაზაფხულის ფერადებით დამშვენებული ნაჭრე-ლა; და მოქნილობით ხარის ტყავის განედლებულ თასმას ბაძავდა დროის მღვრიე დინებისთვის წართმეული კიდევ ერთი მღვივანი, მარილიანი ლექსი... სწორფერთა ტკბილად მტკივან გულებს უებრო წამლად ედებოდა და ადნებოდა გზიანი სიტყვა; და მოხდენილი ნაჭრელაც მარჯვედ მოციქულობდა ერთი დროისა და წლოვანების ქალ-ვაჟთა შორის... ღრმა-აზროვანი ლექსები და ფარაგისა თუ საბეჭურის ორნამენტი თავის იდუმალ ხვეულებში ინახავდნენ ამაყი მოყმისა და მისი მორცხვი ნანდაურის საგონსაფიქრალს, წუხილს, გულის ნაღველსა და ლილარს...

და როცა ღალატისანი სოფელი ისევ ჭორ-საძრახის სენსა და სამსალას მიუსევდა ადამიანური ღირსებითა თუ ფიზიკური სილამაზით თანატოლებზე აღმატებულ ასულს, ამ უკანასკნელსაც სხვა რა დარჩენოდა, თუ არა დროებით გვერდზე გადადებული ხელსაქმის გაგრძელება და მოზღვავებული ვარამის ამ გზით მოგერიება: „გამაოლ წინგარდაზედა, სოფელს მავალებ თვალსა, კაცთ ენით გაგროტვილი ავიღებ საკერასა...“

„კაის დროების“ (ივანე ნიკლაური) უკანმოუხედავად დენა, სამედიცინო ენით რომ ვთქვათ, თვითაქიმობის ამ მარტივსა და მრავალგზის აპრობირებულ მეთოდსაც წვიმის შლიეფივით თან მიიყოლებს.

დაძვირდა (ანუ გაიშვიათდა) გამოყენებითი ხალხური ხელოვნების ისეთი რიგისა თუ რანგის ნიმუშები, რომ დაჰკვლევ და მანიწვე ნუგზარ მატაიძის ბრწყინვალე მოთხრობა „წერილი ძმას“ გაგახსენდება.

და ბედნიერია (ვინაიდან წინ დიდი სიამოვნება ელოდება), ვისაც ეს ნაწარმოები ჯერაც არ წაუკითხავს!..

ვის შვიკივლო?

მალაროსკარი. ნანგრევი სკოლის ორსართულიანი ნაგებობისა, სადაც საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ბაჩანა ასწავლიდა ფშაველ ბალებს; „ნაშთი ძველი დიდებისა“, აქამდე რომ მოჰყოლია შროიანი ხნოვანების გაუცრეციელი ხიბლი და რაღაცნაირი იდუმალბა... გვერდზე გაუვლი, შეხედავ, შეათვალაიერებ და გული წყრომით, წყენით, უმაღლამოო სინანულით მოგეწურება... „აბრეშუმის საბლით მარშილი“ ჩარგლიდან ცხენით ამგზავრებულ ი ვაჟა ხანგამოშვებით ესტუმრებოდა ხოლმე უმცროს ძმას. ამ მიდამოებს, ასევე არაგვსა და მალაროულას, ისევ ახსოვთ, და ალბათ, ესმით კიდევ ერთურთისკენ „დაწუხებული“ ძმების უკომპრომისო, დაუნდობელი, ჰამაღალი კამათი თანადროული ქართული მწერლობის ავკარგის გამო. და მერე დამშვიდება, დაშოშინება: საგულისგულო „იერიშების“ მშვიდობიანად დასრულება და ფანდურისა და ერთი დოქის თანხლებით მარაგანი ღამეების თეთრად თენება...

ხშირფოთლოვანი ფერდობის დასაწყისში სკოლის ახალი შენობა დგას — სტანდარტული, ტიპური, „ტრივიალური“. და მის სწორკუთხა, ჭაობისფერ კედლებს ცხოვრების უკულმართობისგან გულგაგლილი ობოლივით ამოჰფარება ბაჩანას ღვანლით და ამაგით ნასულდგმულარი სკოლის ნაშალი, ნაშთი და ნატამალი...

და ნაწილი თუ გაგრძელება ამ დანაშაულებრივი ქართული დაუდევრობისა: დიდთონეთის მოხატული ქვებით სავსე სასაფლაოს გადასწვრივ, ეკლესიის მეზობლად, 2014-ის დამლევამდე ფეხზე გაჭირვებით მდგარი ის შეურაცხყოფილი (ცხენისა და ნახირის სადგომად გადაკეთებული) შენობაც ჩამოიშალა, სადაც ვაჟა ორი წლის (1886-1888) განმავლობაში მასწავლებლობდა. და ვერც ძლიერთა ამა რეგიონისათა მოიცალეს ისტორიული შენობის საშველად და გადასარჩენად.

და მიაქვს ქარსა და ნიაღვარს ჩვენი წარსულის ოქროს ფურცლები. იკითხე მგლის თავზე წმინდა წერილი. „არსიდან ხმა, არსით ძახილი...“

ხდის ხეობაში

„თოფი — მეთოფეს“. ხალხური

ორ დღეს საწრიაპე წავარნებზე წარუმატებლად მავალთ უიმედობა გვერედა ხელს და წყრომა გვეძალებოდა, როცა ზემოთ, მზით არათანაბრად განათებულ აჩონჩხილ ქარაფებში, ბედისწერის ძალით გაკენტებულნი, სანიარზე ნებეირად გადმომდგარი ხარლალი შევნიშნეთ.

იმარჯვა ბაბუეთ გაგამ — სიბერის სამანს მიღწეულმა, ჩვენი მამების თაობის ჯუთელმა მონადირემ და ფრთხილი, შეყვონებული, ქვიშაუჩქამებელი ხობვით და სიარულით ცის ტატნობიდან წამოეპარა ბუნებრივ სიმაგრეებში თავშეფარებულ უბრალო, უცოდველ ზვარაკს... სასროლ მანძილზე მიუახლოვდა, ჩაიმუხლა,

ჩამოთოფა და ვინო, უმზისსხივო ღრანტეში ჩამოაგდო მკერდნატყვიარი ნადირი...

მე და ერთი ჩემი თანატოლი არც მუხლის ღონეს ვუწიოდით და არც მონადირულ ჟინსა თუ აზარტს, მაგრამ მაინც დაგვაძედა და გვაჯობა გაგამ, სახელხმინან წინამორბედთა მოუმცდარმა მემკვიდრემ, ვინც, სხვათა შორის, თამბაქოსაც ჩაუქრობლად ეწოდა და არც ქერის მწვერ ნვერზე ამბობდა უარს. ფიზიკური შეძლების მხრივ უპირატესობა ამაკრად ჩვენს მხარეს იყო, თუმცა, შემოძლია ვთქვა, ნადირობის ნამდვილი მასტერკლასი ჩაგვიტარა მარაისძეთა მამიშვილობის „ბერმა პაპამ“.

იმდღევანდელი ნატყვიარები, ალბათ, ახლაც „სწერია“ ხდის ხეობის ტინიან ფიცარკლდეებზე!

წარსულის ნისლს შერეულ ამ ამბის გახსენებაზე შურთხის ყრუნივით ამოფრთხი-ალდება ხოლმე, დიდი ხნის წინათ დასწავლილი ხალხური ლექსის სტრიქონები: „ჩაიარის და ჩაკაფის მარიემულისძემო, ყველამ ვერე ქნას ვაჟაცმა, ომ რალა იცის გრძელმამო...“

ზარი თუშაითდას

შენაქოდან ელდარ ბუქვაიძე მილოცავს ძველით ახალ წელს. მხნე, მხიარული კაცია. საუბარში, მადლს რომ მარილს მოაყრიან ხოლმე, აი, ისე გულიანად ჩაიცინებს და თავის უღრუბლო განწყობილებას შენც გადმოგდებს, გინილადებს...

დილის ათი საათია. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გაუვალ საცობში ვარ ჩარჩენილი. იჩქარე და იბოხოქრე რამდენიც გინდა, სად წახვალ, ხომ ვერ აფრინდები!.. მანქანების ნაკადს თავბოლო არ უჩანს... უბერავს ცივი, გამჭოლი ქარი და... წამით წარმოვიდგენ: თუშეთის ორკომლიანი სოფელი, სადაც ახლა წელსმწვედომი თოვლია და კურუმი სიჩუმე. კურდღლის სწრაფი ნაკვალევი ციდან ჩამოვარდნილი ანდრეზული შიბივით ატყვია უბაჭისკენ აალმაცერებულ ტყისპირა ფერდობს. პირმოლუშული დგანან ყორეებმინამქრული, ლამაზაივინიანი, კარგადგაუშული სახლები. მოწყენილია ბებენე — შენაქოელთა უკაცისძეო საფეხვნი. მწუხარების ნიშნად მსკლარტე ცირცლისა და არამტირალა ტირიფის ხეებსაც ძირს დაუხრიათ დათოვლილი, ძარღვებში ლოპოგაყინული ტოტე-ბი... უსიგრძევანო სივრცეში ორადორი „შინდან“ ადის ფიჭვისა და კვარის სურნელოვანი კვამლი და ამ ორ, ერთურთისაგან საისრე მანძილით დამორეზულ შინაში ელდარ და კაკო ბუქვაიძეები ცხოვრობენ. ელდარი — მარტო, კაკო (ვოლ-შვილით... ხოლო შენაქოს თავში, შემალლებულზე, ეკლესია დგას და მოწყალე თვალით დამზერს ბევრისმომსწრე, დამთმენ, გაზაფხულის მომლოდინე სოფელს...

წარმოსახვისმიერ განზომილებაში გადავარდნილს ისევ ელდარის ხმა მაფხიზლებს:

— როგორა ხართ, როგორ?! —

და რაც ელვისუმალ გამივლის გონებაში, ეს ერთი ცნობილი ქართველი მხატვრის სიტყვებია (ჩუბჩიკას უბადლო მონათხრობიდან), უშუქო და უშეშო ზამთარში თავპირშეფუთული ხაზის ტელეფონზე რომ აწყნარებდა გურიაში მყოფ ნათესავებს გამომცემლობა „მერნის“ გაბოლილი, გამოცივული, ოთახიდან: — ქე ვარ ფაქიზად!

მაგრამ ახლა ამ ტრაგიკომიკური ამბის არც დროა და არც ადგილი. ვიცნობ ელდარის ცნობისმოყვარეობას. ვიცი, რომ უეჭველად მომთხოვს ნამშობის კომენტარს, დეტალურ განმარტებას და წამდვილად არ ღირს ხათაბალაში (რა იცი, საიდან გამოჩნდება პატრულის ციმციმბიანი ავტომანქანა!) თავის გაყოფა.

— აბა, თქვენ იცით, გამხნეველი და გაიხარეთ, ღმერთმა მრავალ ახალ წელს დაგასწროთ! — ვამთავრებ მოკლე სატელეფონო საუბარს.

— ვმხნეობთ! ვმხნეობთ! — მესმის თეთრად გადასუდრული კავკასიონის მთებიდან ელდარ ბუქვაიძის მშვიდი, ცხვრის წლის დადგომის იმედიანი განცდით გაჯერებული ხმა.

პასი

ბანალური თამაშები

ბრუნავს სიტყვა — აზარტული კევრი. რისი — ზღვარი, ადვირი და ხუნდი. თქმა არ უნდა — სათქმელია ბევრი: ერთი. ორი. სამი. ოთხი. ხუთი...

გაიხედავ — ა და ბე და ზეტი და ვინც კიდევ ამათ შორის არი — აქ არი და ერთი იტყვის: ერთი. ორი იტყვის მერე: ორი. სამი.

ჩაიხედავ — არ იცვლება თარგი — ილბალია — ქებით უნდა ამკო — გიკავია ერთმანეთზე კარგი — კრუპიესგან ჩანყობლი ბანქო.

გადაშლიდი — ახლებურად — დამებს, მოიქნევი — ძველებურად — კიკოს, მოგინევი — კარგს იტყოდი რამეს — ეგ ბანქო რომ ამ თამაშის იყოს.

ახლა კიდევ — კარგად იცი, რად ღირს გაშიფრული შულერობა ქოსის — მიუჩენენ ერთ უხერხულ ადგილს ამ თამაშში იმ თამაშის კოზირს...

მაგრამ როცა ა და ბე და ზეტი და ვინც კიდევ ამათ შორის არი, აქ არი და ერთი ამბობს — ერთი, ორი-სამი ამბობს — ორი, სამი —

არ გამოვა, იმდუმარო მარტომ — ფეხი ერთხელ აქ დაადგი რაკი, რაკი ერთხელ აქ ჩამოდე... პარდონ — ჩამოკიდე პალტო ანდა ფრაკი.

ამიტომაც — ამოიღე ხამად ბანი, კრინი, ტენორი თუ ბასი... და დალოცე ამ თამაშის მამა — ამ თამაშს რომ დააყოლა პასი.

პასი — იტყვი — თითქოს იტყვი არც კი — დუმოლისაც ინახება ფასი; როცა — პასზე უკეთესი რაც თქვი — დაიკარგა, როგორც ცუდი პასი;

დაიკარგა ყველა კარგი პასი, მარგალიტის როგორც ყველა ფსონი... და სათქმელი, მარგალიტის მსგავსი — ამოსვლამდე იყლაპება, მგონი.

სულ ერთია — ყელს ეგ ველარ გატკენს, ამოსულმაც რაღა უნდა გარგოს? — რა აზრი აქვს ჩაუყლაპავ სათქმელს — აბა ჰკითხე მოუძებნელ გამგონს...

ოღონდ შენც რომ არ ჩავარდე ყბაში — რა ხეირი — გინდ შეერგო შხამად —

ზაზა ბიბილაშვილი

ამოუშვი ჯადოსნური პასი — კანტიკუნტად, იშვიათად, ხამად.

პასი — როცა არა დარად ფანთა ერთის, სამის, ხუთისა და ვისტის — სათქმელი გაქვს არაფერი, ანდა — ყველაფერი, მაგრამ — არავისთვის.

შენი საქმე

გუშინ მოკვდა მეზობელი — მსგავსი ერთი ბენო ბელის ანდა რომელიღაც უფრო უწყინარი ეზოპელის.

აბა, მე და სხვამ რა ვიცით — ერთადერთმა იცი მხოლოდ, რა ქენი. უცნობია გზანი შენი, აუხსნელი — შენი დიდი საქმენი.

გუშინ მეზობელი მოკვდა. თვისა იყო რაღაც ოცდა. თითქოს მღილი ამ ფურცლიდან იმ ფურცელზე გადაცოცდა.

მეც გავიგებ, რაც მომელის. ვერ გავიგებ იმას, რატომ მომელის. დაფარულის მეტი რაა, არასოდეს გაცხადდება რომელიც.

მეზობელი მოკვდა გუშინ — ახლა უკვე ბაიყუში — სახლი თავზე ექცევა და სულ არ არის ბაიბურში.

არას გკითხავ — რა ნესია სხვის ქოთანში ჩაკვებება ციცხვივით. მით უმეტეს, მე რომ მექნა, ხმასაც აღარ გავიღებდი სირცხვილით.

პითომანსონი

თუნდაც ცოტა მუქი ცა, მიწაც — ერთი მოკეცვა — მუქთად როცა მოგეცა — იცი — შანსი მოგეცა. ძირს ნარი და ხავსია, მაღლაც რაღაც მსგავსია — ლამის ყველა შარზეა — მაგრამ მაინც შანსია!

ამიტომაც — იტყვი, არა უშავსო, გულში თუნდაც ურჯულო და უხამსო — რაკი გემცნო — ლეგიონთა ლეგიონს გულისნაცვალს ყოფნის ნატვრა უჭამსო — ვერ დაუძვრა ვინც მეზაჟე-გუშავსო — ვერც აქამდე, აღარც პირი უჩანსო, და დარდიან დაუბადებლობაში ჩარჩენილა უსასოდ და უშანსოდ.

თუნდაც ცოტა მუქი ცა, მიწაც — ერთი მოკეცვა — მუქთად როცა მოგეცა — იცი — შანსი მოგეცა. — რომ აკლიხარ ნავსიან უშანსოთა შავ სიას — უკვე ეგეც შანსია! თუმცა მაინც შანსია...

ის მითხარი: უქონელს და ოხერსა, შენც არყოფნის არაფერი რომ გეცვა, და უეცრად უკვდავების ფართიდან მოგიზომეს ყოფნა — ერთი მოკეცვა, მოაყოლეს თხელი — არა ორკეცა — ცა და მიწა, ეზო-კარი-ლობეცა — ანუ მაშინ, როცა შანსი მოგეცა, ის თუ იცი — რისი შანსი მოგეცა?

თუნდაც ცოტა მუქი ცა, მიწაც — ერთი მოკეცვა — მუქთად როცა მოგეცა, მხოლოდ შანსი მოგეცა — არც ავსულის თავში ქვას, არც მომტვრევას ხელების — შანსი ნიშნავს: შანსი გაქვს შანსის გამოყენების.

მაგრამ კი არ დაუკარგავ ავში კარგს სააქაოს გველეშაპის შავ შიგანს, — შანსი რომ გაქვს და იცი, რომ შანსი გაქვს — აღიარებ — უფრო მეტი შანსი გაქვს. და ვინ იცის, მაგ ლაზერის მფლობელსა უბედობის ბოლო ბუდეც მოგეწვა — მიგედნია, რისი შანსიც მოგეცა — რომ იცოდე, რისი შანსი მოგეცა.

თუნდაც ცოტა მუქი ცა, მიწაც — ერთი მოკეცვა — მუქთად როცა მოგეცა, აკი შანსი მოგეცა. — მაშ, გაიძრობ ხან სიქას, ხან გაიცლი არაქათს — მაგრამ, რისი შანსი გაქვს, მიხედვ, შანსი არა გაქვს.

თუნდაც ცოტა მუქი ცა... მიწაც — ერთი მოკეცვა, როცა მუქთად მოგეცა —



ვაჟა ხორნაული

წყაროს წყალი და
სანთელი ვარ —
განა ღვინო მე
და დავინყებულ სამარეში
მზე და ძვლებია...
ძნელი ყოფილა,
როცა ძმები არავინობენ,
ძნელი ყოფილა,
როცა მტრები გედაძმებთან.

ხედავ და გტკივა
(მათთვის გული არ გენანება)
მინას სიკეთეს უწუნებენ
თუ მზეს გალობას
ძნელი ყოფილა
მონატრების გაფერმკრთალება
და სიყვარულში
სიმშვიდე და უმწვერვალობა.

ფიქრის სითაოში

ჯერ ჭიშკრამდე
მიმაცილებდა დედა
მერე აივნიდან
მიყურებდა
ჭალაზე მიმავალს
და ბოლოს საკუთარ
გულში შედიოდა
ჩემთან სასაუბროდ.

ღმერთი მოგივლენს
მზიან ტაროსებს
არ იარსებებს
შენთვის სამანი
იალმასებს და
იავგაროზებს
სიტყვა — ფიქრიდან
ფიქრში მავალი.

მშვენიერება
ყველა დროისა
იყო და არის
იალკიალი
სამოთხის ნექტარს
კვლავაც მოიტანს
გონება —
გულის სინათლიანი.

ღარღისა

არ დაგინდობს უმეცრება
(შენ ხარ მისი სამიზნე)
სიხარული უცებ ქრება
როგორც ნამი ყვავილზე.

ხან ცეცხლიდან აფრინდები
ხან მიდიხარ წვიმაში
აირია ამინდები
უმზეოა მირაჟი...

ვარსკვლავების მოლალატე
და ორპირმა მონებმა
მშვიდი ხმები მოგანატრეს
დაებინდათ გონება.

წყაროები დამზრალია
სიმრავლეა ჯილდოთა
სადაც ახლა ბაზარია
იქ ვენახი გინდოდა.

სასტიკია უმეცრება
(შენ ხარ მისი სამიზნე)
და სიცოცხლე უცებ ქრება
როგორც ნამე ყვავილზე.

აპრილი ღოჭაში

ქალი
მკერდიდან იწყება
როგორც სამყარო მზიდანა
ასე ინება ბუნებამ
(გინდ დაიჯერე გინდ არა)
ამ სილამაზის მხილველმა
რალა არ გადაიტანა —
ათასჯერ დანისლიანდა
ათასჯერ გამოიდარა.

მისთვის ღულუნებს ფანდური
მისთვის ნკრიალებს გიტარა
ქალი
მკერდიდან იწყება
როგორც სამყარო მზიდანა.



წყარო გაივლის უდაბნოს

სიხარული და ტკივილი
ღამეებს ერთად გითევსო.

ისევ დალოცავს აისი
ყვავილებსა და ჩიტებსო.

სითბო მოგივა ღულუნით
გულზე შეგახებს თითებსო.

დაამშვენებენ ჩრდილები
სინათლის
გზებს და ხიდებსო.

მოგეფერება ასკილი —
ანცი ლეკვივით გიკებნსო.

წყარო
გაივლის უდაბნოს
სამოთხისაკენ იდენსო.

მგზავრს —
სივრცით დამშვენებულსა
სიმაღლით აღელვებულსა
უფალი დაამშვიდებსო.

მამამ — ნამლებით
ხოლო დედამ
თვლებით უმკურნალა.

ნელი ქარისაგან
გადახრილ ყანას
გაგონებს ნაწერი
გაკრული ხელით.

თოჯინას გაელევიდა
და მზის
შვილიშვილი ეგონა
საათი — როიალზე
მბრწყინავი.

მე ჩემი ჩრდილი ჩამჭიდებია
და ჩემს ჩრდილს — ღრუბელი
და ვუახლოვდებით ჰორიზონტს.

თოვლმა
გარდა მწვერვალებისა
ყველაფერი
დაუთმო გაზაფხულს.

სარკიდან ორეული გამომყვა
ერთი ხელნაწერებთან დარჩა
და მეორე გავიდა სახლიდან.

სიყვარულით
რომ არა ცოცხლობდეს
არ ახვევოდა ლობიო სარზე

და მის კენწეროზე
ყვავილები არ გაიშლებოდა.

მაგრამ ის მიხაროდა
რომ ერთმანეთს
მზერას არ არიდებდნენ
და სხვაგან არ იყვნენ
კამათის დროს დედა და მამა.

ღმერთის მოსაწონი
გუთანი ისაა
რომელსაც
დარდი და სიხარული
უბია ხარებად.

ვის არ ენატრება
ის დრო
როცა სანოლში წამომჯდარი
ფეხებს ვერ უწვდენდი
იატაკს...

თოვლისაგან ნაქცეულ
ვაზსა და ჭიგოს
ფეხზე დააყენებ
და ნათესავებივით
ჩაეხუტებიან ერთმანეთს.

როგორც სკაში ფუტკრები
იბადებიან და კვდებიან
ტელეფონის
ნომრები ნიგნაკში.

სიყვარული

თოფის ნაცვლად
სალამური
ნაილო სამწყესურში.

განშორება
ზღვასაც გაუძნელდა
და გიძღვნა სახსოვარი —
ჭავჭავში გახვეული ნიჟარა.

ოკეანესთან — არა
წყაროსთან
შემირიგდა მტერი.

ზურგი რომ შეაქციო
ღმერთი მაინც
პირისპირ გეყოლება.

ხეებმა გვაჯობეს —
ჩასჭიდებიან
ცას ტოტებით
და მინას ფესვებით
და არსად მიდიან.

შეხვედროდა მთელი სასტაჟო. ლიდერი იყო. ოღონდ სასტაჟო ხშირად განუდგებოდა ხოლმე თავის ლიდერს და უფრო ჭკვიანურად ადგილას ვთქვით, იგივე ჩეხოსლოვაკიაში დაახვევდა. „როგორ თუ არ ნამოხვალთ,“ — გული ჩასწყდა თემურას. არა, უკან დამხვევი ნაღდად არ იყო, მაგრამ გული კი მაგრად დასწყდა. „შენა და ვაბზე უფერენი ხარ, რომ მაგ მიშოს ავლანეთში დუხებთან დაგნარი არ ურჩევინა ნანულის ხელში ყოფნას?..“ — ჰკითხა ძია ბარადამ, რომელიც, გარდა სისულელისა და თავზეხელაღებულობისა, ყველაზე ჭკვიანი და აზრზე მოსული იყო ამ სამში და სწორედ ამიტომაც უყვარდა ელე ლეჟავას ძია ბარადამ, როცა უყვარდა, ჭკუისთვის და აზრზე ყოფნისთვის, ცოლადაც იმიტომ გაჰყვა სწორედ მას, რადგან ქალები ცოლად ბოლოსდაბოლოს ჭკვიან და აზრზე მოსულ ტიპებს იმიჰყვებიან ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, იმ ბანდიდან ყველაზე ჭკვიანებს და აზრზე მოსულეებს, საიდანაც ამორჩევა შეუძლიათ.

„კი ავუჩუყებ ამათ — გულუბრყვილო იყო თემურა და გულუბრყვილოც მოკვდა, როცა მოკვდა — ნერილი მოვიდა, თვითონ ვნახე, რო სტაპარცენტნი თავს ჩამოვიხრჩობო რა, თავს იკიდებს, ტო...“

„ისე მაგის პონტნი ეგ ყველაზე ჭკვიანური გამოსავალია,“ — თქვა ძესნა ლალემ, რომელიც ამ სამში სისასტიკით გამოირჩეოდა, სისულელესა და თავზეხელაღებულობასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ მამამისი ცეკაში მუშაობდა. „კი, — დაემონმა ძია ბარადამ, — ეგ ყველაზე ფაიზალი გამოსავალი იქნებოდა, კაროჩე, არც ჩვენ მოვდივართ და ძმა ხარ, არც შენ გირჩევთ, მამენტ, არც გიშვებთ, ერთი მიშოს კარგის ტრაკიც...“

თემურა მაგრად გამწარდა. ორივეს აგინა, მაგარს დაგიაბაროტებთო — შეპირდა და თავის სადარბაზოში შევიდა, უარყოფილი და მიტოვებული, ვით მეფე ლირი. „რამ გადარია, ტო, თუ მე მიშოს გამო ტაშკენტი წავიდე კიდე... — ხმამალა იფიქრობდა ძესნა ლალე და თან ატახდნიაკისაგან დაჭყეტილი თვალის დახუჭვას ცდილობდა — ეტყობა, ნანულიმ შეუკიპინა. ისე, რას იზამს, ჩვენ არ მივყვებით და მარტო ხო არ წავა ეგ ჩემისა...“ „წავა, — თქვა ძია ბარადამ, — გიჟია. მულამში შევიდა და მორჩა. კიდეა. ნანულიც რომ აღარ წაყვებს, თვითონ წავა და გვირახს გამოთხრის ტაშკენტიდან დელისამდე, რო ის თავის თავგასიებული მეზობელი გამოაძვინოს. არ იცნობ?.. რამეზე თუ ავარდა, მერე ტორმუზი აღარა აქ... უეჭველი წამსვლელია...“ „წასულა და მიშოს კეთილებსაც მიყოლა უკან, — თქვა უკმაყოფილოდ ძესნა ლალემ, როგორც იქნა წამწამების ჭრიალით დახუჭა თვალები და ისევ გახელას შეეცადა, — პრალის პაეზდკას გავმაზავ და ნანულის შევაკვდები, ტო?.. ალაოთა ვარ?..“ ძესნა ლალე სისასტიკით იყო განთქმული და ელე ლეჟავასაც სწორედ სისასტიკისთვის უყვარდა ძესნა ლალე, როცა უყვარდა, სისულელისთვის და თავზეხელაღებულობისთვის, მაგრამ სულელები და თავზეხელაღებულები ეხლა ნახე რა ვქნა თემურა და ძია ბარადამ იყვნენ, ძესნა ლალე კი მაგარი სასტიკიც იყო. „იცი, როგორ კიდეა ეხლა მაგას ნანულიც და მიშო? — დარწმუნებით თქვა ძია ბარადამ, — თავის ხოშზე მიდის, თვითონ უბერავს, სუ რო გამოუშვან ეგ მიშო და ახლა აქ გაიჩითოს, ეს ნავაროტკიანი ფსიხი ისევ ხელსა სტაცებს, უკან ნათრევს და მაინც წავა ტაშკენტი“.

ძესნა ლალეს სიტყვით აუტყდა. ძია ბარადამ ცალყბად იღიმებოდა. თემურა ამ დროს სადარბაზოდან გამოვიდა და ბიჭებს ისე გაუარა წინ, ზედაც არ შეუხედავს. „თემო, რომ ჩამოხვალ, ხო ჩამომიყოლებ. ტაშკენტიდან ისე არ ჩამოხვიდე, ბიჭო, მაგრა ტეხვას“, — ძესნა ლალე ძალიან კმაყოფილი იყო, თემურას რომ აცოფებდა. „ბეზიათქვენის ნაბლა ტრაკებმა“, — ძალიან ალაღად მიუბრუნა გამწარებულმა თემურამ და ახალი ხალხის შესაკრებად ეზოს გასასვლელისკენ წავიდა.

„ტაშკენტიდან მოდის ქარავანიი დატვირთული ანაშით და პლანიით, აქლემებზე გადამჯდარა ქალიი“...

მიამდერა უკან ძესნა ლალემ. თემურამ — მივბრუნდები და სიფაის ამოვამტრევი, მაგრამ უკან მიბრუნება ცუდად ჰქონდა დაცდილი და ამიტომ ეს ღვთის სარგო საქმე საღამოსთვის გადადო.

„დალევს ეხლა ორ ბოთლ არაყს თავის ბანძ ძმაკაცებში, დადგება შუალამისას ეზოში და გვაგინებს ყველაფერს, უეჭველი გაგვიპათოლოგებს“, — გულწრფელად შეწუხდა ძია ბარადამ. „თუ მანამდე ძალღებამ არ წაამსერეს გაგარინზე...“ — კმაყოფილებით და იმედიანად აღნიშნა ძესნა ლალემ. „ე, ხო გამოუშვებენ, ტო, თან, არ იცი, რა უდაჩაა?.. მოვა უარესად გამწარებული და ისევ ჩვენ გვაგინებს. ბოლო პასადაც მაინც ჩვენთანა აქვს.“ „ცეცემოთ, — თქვა ძესნა ლალემ, — ეგ ერთხელ მაგრა უნდა ცეცემოთ ორივემ, თორემ ისე პონტია, ძან აუფარდა...“ „ბაზარი არ არი“, — დაეთანხმა ძია ბარადამ. „მე უეჭველი ჩაუვყარდები და დავაყრი...“ „მეც, მე ვიყო... ნამო, ჩემთან ავიდეთ, მაგრად მომშივდა.“ ეგრე დადეს ძესნა ლალემ და ძია ბარადამ — სულ ცოტა ხანში რომ ეხლა ნახე რა ვქნა გახდებოდა — იმ თემურას სანინააღმდეგო საერთო თვალახმის პაქტის და გულდამწვრთვებულები წავიდნენ ძესნა ლალესთან საჭმელად. ოცი წლის ლანირაკები იყვნენ. თხუთმეტი წლის ელე ლეჟავა კი აივანზე იყო გადმომდგარი, საკუთარი ცერა თითის ფრჩხილს კბილებით აწვალებდა და გულის წასვლამდე უყვარდა სამივე ერთად და ცალ-ცალკე — ეხლა ნახე რა ვქნა თემურა, ძესნა ლალე და ძია ბარადამ.

ახლა ნახეთ, თემურამ რა ქნა. ტაქსი გააჩერა, სამი მანეთი მისცა და სოლოლაკში გავიარა. იქ მამიდაშვილი ეგულეობდა, შოთიკო და შოთიკოს უერთგულების სომეხი ძმაკაცი ტურა. თემურა ტექნიკური ფინტების მთელი არსენალის გამოყენებით ვირტუოზულად გასცდა მამიდამისს, რომლის ნახვაც, ამ შემთხვევაში, არ უნდოდა, თორემ ისე მამიდა ძალიან უყვარდა და მამიდაც იმდენად თავის შოთიკოს ოინებზე არ ნერვიულობდა და არ დარდობდა, რამდენსაც თავისი ჯიშისა და მოდგმის ერთადერთ გამაგრძელებელ თემურას უსაქციელობაზე. იმის თქმა კი სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია, თუ რომელი გულწრფელობით, სიღრმითა და სიმძაფრით სძულდა თემურას მამიდას თავისი შოთიკოს უახლოესი და უერთგულესი ძმაკაცი სომეხი ტურა. და, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ ტურა სომეხი იყო — სუ რომ არაგვის ერისთავი ყოფილიყო, მაინც არ ეყვარებოდა მისი შვილის მართლაც ფანტასტიკურად ერთგული ტურა; სწორედაც რომ ამ ერთგულებისა და მათი განუყრელი ძმაკაცობის გამო სძულდა. რასაც შოთიკოს ბავშვობიდან ეჩინებოდნენ, დროა მეგობრების და ამხანაგების წრე გამოიცვალაო, რასაც მას მამიდა, ანუ დედამისი, თავისი დაქალები მონუსრობდნენ, სხვადასხვა უცხო ენით დაინტერესებულ, განათლებულ, ზრდილ, რაფინირებულ და დახვეწილ ინტელიგენტების ოჯახის შვილებს ახვედრებდა და უმარჯვებდა, რასაც შოთიკოს ეზუდარებოდნენ თუ ეჩხუბებოდნენ. ათასწიარად, თან ძალიან დამაჯერებლად უსაბუთებდნენ იმას, თუ რა დამამგრებლად იმოქმედებდა მის სამომავლო იმიჯზე და რეპუტაციაზე საპოზნიკ სამველას შვილთან განუწყვეტელი მეგობრობა, რომელსაც თვით მამამისი საპოზნიკი სამველა ძლივს ან ძალიან უხალისოდ უშვებდა სახლში. და რა აუცილებელი იყო შოთიკოსთვის გარკვეული საზოგადოების წევრობა, რკინა გაცვდებოდა და გატყდებოდა, შოთიკო კი ახლაც არხინად ჩამჯდარიყო თავისი იტალიური ეზოს ჭიშკართან, უზარმაზარ, ბებერ და მოსავალი სოლოლაკელის გამზრდელ თოსთან, იქვე მარჯვენა მხარეს ედგა მისი განუყრელი ერთგული ძმაკაცი სომეხი ტურა და ორივე ორბის თვალებით გაჰყურებდა მათი ეზოს წინ შემოხვეულ ქუჩას, რომ თავისი ტოლი ბიჭებისთვის, ცოტა უმცროსი და ზოგიერთი უფროსიც წავიდოდა, ფულები წაერთმიათ. საღამოს „ველიამინოვი“ აპირებდნენ გემრიელად და ბოლომდე ჩასხდომას და ამისთვის აგროვებდნენ.

ეგ იყო და თემურაც მივიდა. გამარჯობა და გადაკოცნაც არ დაამთავრებინა ნესიერად, ეგრევე გაჩქარებით დაიწყო თავისი ამბის მოყვლა. დედავდა — ამათაც უარი არ მოთხრანო. არადა, უკან დამხვევი აღარ იყო და ტაშკენტი ნანულისთან ერთად მარტო წასვლა ვის მოუნდებ?.. თან რაც უნდა თემურა იყო, კაცი ხო გინდა გვერდზე, ტაშკენტი ხო მაინც, შენი სამზარეულო ხო არ არი, რა იცი?..

შოთიკომ და ტურამ ბოლომდე არც აცალეს მოყოლა, თან ნერვიულობისაგან კაი არეულად ყვებოდა, მიშოს მამასაც კი გადასწვდა ხარკოვში, რამაც ტურას გონების დაძაბვა გამოიწვია და ნახშირივით შავი წამწამები ხშირ-ხშირად დაახამხამა. იმას კი მიხვდა, რომ მიშოს მამა ცუდად მოიქცა, და რამდენჯერმე მწარედ შეაგინა, მაგრამ წინ რა ელოდა, ამას მაინც ვერ ხვდებოდა. როგორც კი თემურა იქამდე მივიდა, რომ ტაშკენტი მივიდვარ მიშოს საშველად და ორი საიმედო და მაგარი კაცი მჭირდებო, ორივე ფეხზე წამოდგა, თემურა კიდე ერთხელ გადაკოცნეს და „გისმენთ და გემორჩილებით!“ — მოახსენეს.

თემურამ როგორც კი ხალხი, თანაც კარგი და შემსრულებელი ხალხი, დაიგულა და თავი ქუდში შეინახა, ახლა თავისი ძმაკაცების უდიერი დამოკიდებულება და წყენა გაახსენდა და რადგან და რამდენადაც გულბანი იყო, იმდენად ბოლმა და ბუტიაც გახლდათ, ჩამახსოვრება იცოდა, გადაგიხდიდა, მაგრამ მერე ავიწყდებოდა, ოღონდ ერთი კი უნდა ჩაეფარებინა და ახლაც ძმების, ძესნა ლალესა და ძია ბარადას კეთილებს დაუტრიალდა. მთელი ორი საათი ისე გულბანად თათხავდა და აგინებდა ორივეს, ისეთი სიყვარული და ერთგულება იგრძნობოდა ამ გინებაში, რომ თავადაც ერთგულ სომეხ ტურას ცრემლიც კი მოერია. ძესნა ლალეს ჩათლახი, კაგებეშნიკი, ცეკაში გამოკეცხებული მამით რომ დაიწყო, ჭკვიანი და აზრზე მოსული ძია ბარადას რუსი გუვერნანტკანატალიათი დაამთავრა, რომელიც ახლაც სახლში ჰყავდათ, თუმცა ძია ბარადას გაზრდა ძალიან დაგვიანებული იყო.

შოთიკო და სომეხი ტურა დაუფარავი სიამოვნებით უსმენდნენ თემურას ჩხუბსა და გინებს. ეგ კი არა — ტურა რამდენჯერმე აჰყვა კიდეც: „ეგ როგორ გაგიკეთეს, ტო...“ „აი, სუ ვიცოდი, ბოზიშვილი ვიყო...“ „შენ რაც მაგათთვის გარისკული და გაკეთებული გაქ, ტო...“ „სულელი ხარ, გეფიცები, ჩემი... გეტყვი, აი, გეტყვი, დედას გაფიცებ...“ „გითხრა, ტო...“ „იზინი, გაგანყვეტინებ...“ გაანყვეტინებ არა ისა. თემურას, შავლეგოსი არ იყოს, მამველი არ სჭირდებოდა, მთელ სიგრძეზე იქნებდა ხელებს და ისეთი ხმით ჩხუბობდა, ცოტა ხანში მთელმა უბანმა გაიყო მისი თანმზრდელი ძმაკაცების ვერაგობის ამბავი, რო, როგორ თუ მიშოს გამოსახსნელად დესანტად არა სხდებოდნენ მზიურ ტაშკენტი ზედ თავისი ნანულით.

ორი საათის შემდეგ, როგორც იქნა, თემურას არაქათი გამოელია, „ლაპარაკი ელარ მინდა მაგათზე“ და დაამთავრა. დარჩა ჰაერში ტურას უმწეო „გითხრა, ტო, გითხრა...“ ამასობაში, სანამ თემურა ქადაგებდა და ტურა მარჯვენა მკლავზე ექაჩებოდა — მეც მათქმეინეო, მდუმარე და საქმიანი შოთიკო ერთი სამჯერ ადგა თუთის ხის ძირიდან, ვინრო ქუჩა გადაჭრა, მოქალაქე მსხვერპლი შეიპყრო, ფული გამოართვა, ასევე უხმოდ გადმოვიდა და ისევ თუთის ძირში ჩაჯდა. თემურაც სახინკლის დასახმარებლად მოწყობილ საქველმოქმედო აქციაში მორიგი მოქალაქის მოსაკითხად დაძრულ შოთიკოს ბარე ორი ნაბიჯით უსწრებდა წინ.

საღამოსთვის რაც მოუგროვდათ — მოუგროვდათ. თან ამ დროს თემურას მამიდა — შოთიკოს დედა და ტურას მოსისხლე მტერი — ქალბატონი ლამარა სამსახურიდან ბრუნდებოდა და მათი აქ ყოფნა „აღარ ეგების“ რომ იტყოდნენ, სწორედ ეგ იყო — მათი შეხვედრა მართლად არ ივარგებდა, ამიტომ წართმეული ფული ჯიბეში ჩაიდეს და სამივე გრძელი ნაბიჯით დაემგა „ველიამინოვისკენ.“

„ველიამინოვი“ ამ დროს ისხდნენ: კლორთალები, მუსტაფა და ძმები შუშიკები, ასევე საბურთალოელი, კაცმა არ იცი რატომ და რისთვის გადმოხვეწილი ზიკო და ახალგაზრდა, იმედისმომცემი მეიდნელი ებრაელი არონიკა. არონიკას ცოტა ხნის წინ მდიდარი დეიდა ხავას ბაითი ნაელო. ასევე ებრაელმა დეიდა ხავამ თავისი უბნის მაცურებელი ქართველი რევაზა შავიშვილი მოინახულა, მამამისს — გარი ბაბუს მორიდებით, მაგრამ ღირსეულად ჰკითხა, სახლში თუა და თუსცალიო. როდესაც სახლში მიიწვიეს და ჩაიც შესთავაზეს, ჩაის მოლოდინში ყოველგვარი ზედმეტი მიეთ-მოეთის გარეშე დაიწყო: „მასკა ეკეთა, მარა ვიცანი, სანყალი

იეზიკა სულელის შვილიშვილი იყო, არონიკა. რაც ნაილო, ღმერთმა შეარგოს და მოახმაროს, ინვალა ბავშვმა, მილიციელებს ხო ვერ დავაჭერინებ და სულს არ წავიხდენ, მაგრამ ჩემი ნიშნობის ბეჭედი იქნება დამიბრუნოს. ჩემი ცხონებული დანიელისაგან, ყველამ იცით, ამ ნიშნობის ოქროს ბეჭდის მეტი არაფერი დამრჩენია, დაგენაცვლე... ჩემი დანიელი, კი გახსოვს შვილო, რეზო, აქაურობის მადლი იყო, არ ეკუთვნოდა მის ოჯახს, მარა რა ვუყოთ, მალაღმა ღმერთმა შეუნდოს, ბავშვი, დიდებს სცდებოთ, უთხარი: დეიდა ხავამ გთხოვა — ჩემი დანიელის ბეჭედი დამიბრუნე, დანარჩენი თქვენი ჭირის საწაცვლო და ჩემი დანიელის სულის მოსახსენებელი იყო. შენ დაგიჯერებს, შენი დიდი ხათრი და რიდი დაგაქვს თან, შენ დაგენაცვლოს შენი დეიდა ხავა...“

რევაზა შავიშვილს მართლაც დიდი ხათრი და რიდი ჰქონდა და დედაც განრისხდა. სასწრაფოდ დაიბარა პატარა სინაგოგელი და, ებრაელობის მიუხედავად, ძალიან მაგარი დამთხვეული მორისას და არონიკას მოძებნა და მასთან მიყვანა ურჩია. მორისა სწრაფად მოქმედებდა. საღამოს არა ისა, ორმოცდახუთ წუთში დეიდა ხავას თავისი ნიშნობის ბეჭედიც დაუბრუნეს და სხვა რამეებიც, რასაც ბარეგის განაფულ ხელეხამდე ჯერ არ მიედნია... რევაზამ დეიდა ხავას ქართულად ნათქვამ, მაგრამ ძველი აღთქმის, ებრაული ვარიაციებით გაჯერებულ დალოცვას აღარ მოუსმინა, მთანმინდაზე ეჩქარებოდა ძალიან, დეიდა ხავა კი მეორე დილა მდე არავითარ შემთხვევაში არ მორჩებოდა რეზოსა და მისი მარიფათისა და იღბლის ლოცვას. არც მორჩენილა, მიუხედავად იმისა, რომ რევაზა ძალიან ხერხიანად გამოეპარა...

ის ორმოცდახუთი წუთიც იმიტომ დასჭირდათ, რომ ხუთ წუთში მოყვანილი და მორისას იღლიაში ამორჩილი არონიკა რევაზას მთელი ორმოცი წუთის განმავლობაში საშინლად დაეტუქსა. ამ უბანში კიდე ვინმე შეგინუხებია კი არა, ჩემს უკითხავად ერთი ვინმესთვის ცერად შეგიხედავს და, ჩემი დედას გეფიცები, საშინლად დაგსჯიო — შეპირდა. უფროსი და უმცროსი არ იცი, უზრდელი ხარ, ერთიორს გაინძრევით, ახტებ-დახტებით და თქვენს ზევით აღარავინ გეგულეობათ... მე თქვენ გახტუნავებთ, ქურდებო გინდათ, არისტოკრატობა გინდათ და ერთი ა-ც კი არა გაქვთ არისტოკრატებისა, თვითონ არ იცით და არც მოსმენა არ გინდათ, არც სწავლა არ გინდათ, არა, ტო... ერთი კიდეც მომხვედრიხართ თვალში და არ დავიზარებ, დავედებ და დიდხანს ვიფიქრებ, რო რა შეიძლება მაგარი უბედურება და საშინელება დამმართოთ დასჯის პონტში, ვინა ხართ საერთოდ, საიდან მოხვედით, რა გაგიკეთებიათ, მე თქვენ განახებთ, რო თქვენსა და ღმერთს შორის კიდეც ხალხია... მორისა ამ დროს შეუმჩნევლად და დაუნდობლად უმუჯღუფუნებდა თავისი წვეტიანი იდაყვით არონიკას ფერდში, პირდაპირ ნექნსა და ნექნს შორის უმიხნებდა ისე, რომ არონიკას სუნთქვა ეკვროდა. „არა, ეს არის თაობა მოდის, მორის, აზრზე ხარ, ეს არის მომავალი, ამათ იმედზეა, ტო?...“ — რეზომ ალაღად გაშალა ხელები და მორისამაც ისე შეარჭო არონიკას ნექნებშია წვეტიანი იდაყვი, რომ ბოლო სულიც ამოართვა... „შენ მაგაზე არც... იფიქრო, რეზო, ამათ სუ ყველას სუ ფანჯრებდახსნილ წყალქვეშა ნავებში ჩავსხამ და აქვე მეტების ქვეშ დავდობამ მტკვარში...“ — მორისამ კინაღამ „არ ინერვიულო“ ჰკადრა რეზოს, მაგრამ დროზე გამართა სიტყვა და ახლა ამის გამო გადახედა რისხვით კაცისფერდაკარგულ არონიკას, მაგრამ აღარ დაუქიმუხვებია, ისეც ცოცხალმკვდარი იდგა და შა, რალა... რევაზა შავიშვილს კიდეც სინამდვილეში სულაც არ ეარონიკებოდა... მთანმინდაზე აზერბაიჯანიდან პრობლემებით და პრეტენზიებით გადმოსულ თალიშელ დამნაშავეებს უნდა შეხვედროდა და საფიქრალი წინა ჰქონდა. თავზეხელაღებული და საქმის მცოდნე ხალხის სახელი ჰქონდათ თალიშელებს და სერიოზული კავშირები-თაც იყვნენ...

არონიკას კი თავისი დამართნოდა და ახლა დატუქსული და საქციელნამხდარი უგუნებოდ იჯდა ბიჭებთან ერთად „ვე-



ლიამინოვი“, როდესაც თემურა, შოთი-კო და სომეხი ტურაც შემოლაგდნენ.

სოლოლაკელები, კლორთაღელები, მეიდნელი არონიკა და ასე ინკოგნიტოდ გადმოფრენილი საბურთალოელები სახელმწიფო მოღვაწეების შესაფერი ხაზ-გასმული თავაზიანობით, ღირსების შეგრძნებით და ამასთან საკმაოდ მინაგანი დაძაბულობით მიესალმნენ ერთმანეთს. განსაკუთრებით საბურთალოელები გააკვირვა ერთმანეთის დანახვამ. „ეს ხომ ყველგან ირითება, ტო. ნეტა, აქ რა ნახა ან ამის ბრატები სად არიან...“ უეჭველი აქვე იქნებოდა და ჩამოვლენ... — გაიფიქრა ზიკომ. გაცილებით ლაკონიური იყო თემურას ფიქრი: „ე, ამას აქ რა უნდა?...“ და მას მერე თვალი არ მოუშორებია.

ასეთი დიდი სულიერი ნიაღვრების მიუხედავად, ბიჭებმა სასწრაფოდ შეაერთეს მაგიდები და ისეთი სმა წავიდნენ, რომ ძესნა ლაღეს, ძია ბარადას და, საერთოდ, პავლოვის მყუდრო ეზოს, უღრუბლო ზეცას და უშფოთველ ძილს სულ უფრო და უფრო დიდი საფრთხე დაემუქრა. თემურა რაც უფრო თვრებოდა, მით უფრო იბოლმებოდა და ბოლოს მტკიცედ გადაწყვიტა, ამაღამ ორივეს ჩამოვართვე ეზოში, დავბრუნებ და ისე წავალ ტაშკენტში ნანულის მიმოს საშველადო. თან თავის თანამემამულე საბურთალოელ ზიკოს არ აშორებდა თვალს. თუმცა, ეტყობა, იმ ღამეს თვით განგება მფარველობდა პავლოვის მყუდრო ეზოს, ეზოში ჩეხური პროექტის ცხრასართულიან სახლს და იქ მცხოვრებთ, იმიტომ, რომ თემურა უფრო ადრე დათვრა და ვიდრე მშობლიურ უბნამდე მიაღწევდა, მანამდე გააფრინა. პირველ რიგში, საბურთალოელ ზიკოს აურია. ჯერ უსმინა, უსმინა, იქნებ რამეზე წავეციდო, მაგრამ ზიკო სულაც არ იყო ვინმე, ვისაც რამე ეშლებოდა და ეგრე ადვილად წამოიკიდებდი, ამიტომ თემურა პირდაპირ საქმეზე გადავიდა და ნელ-ნელა აუკრიფა ზიკოს ისე, რომ ყველა შეაწყა — მათ შორის, თვითონ ზიკოც, რომელსაც ბოლოს ყელში ამოუვიდა და სუფრის იქიდან საყლოში სწვდა. არონიკამ სახელოში შემალული ტისაკისკენ გააპარა ხელი, მაგრამ დილანდელი რევაზა შავიშვილი და მორისას მუჯღუგუნები გაახსენდა, გადაიფიქრა და ემბაკურად მოჭულული თვალებით, ფეხი ფეხზე გადადებული დაელოდა, რითი დამთავრდებოდა ორი გიჟი საბურთალოელის ხმაური. სამაგიეროდ, დანარჩენებმა — შოთიკომ, ტურამ, მუსტაფამ და ძმებმა უშიკებმა — თემურა და ზიკო ერთმანეთს ხელიდან გამოართვეს. თემურა შოთიკოს და ტურას მისცეს, ზიკო თვითონ დაიტოვეს და ასე გაემგნენ, მაგრამ თემურა უკვე გალაქტიკას იყო გაცდენილი და ასე ადვილად ვეღარ მობრუნდებოდა ცივილიზაციისა და გონიერების სამყაროში. ჯერ ხო ისე გამაყრუებლად, ისეთი ხმით ყიჟინებდა, რომ ბერის მნახველი და ალა-მაჰმად-ხანთან ნაჩხუბარი ბებერი სოლოლაკიც კი შეაძრწუნა, მერე კი სომეხ ტურას, რომელიც მის დაშოშინებას ცდილობდა, ორიოდე აპერკოტი უთავაზა და ეგ იყო. სადღაც ჩავარდა, ავარდა თუ გავარდა. აღარსად აღარ, აღარაფერი... გაქრა!

დილით არარსებული უსასრულო-ბიდან, წყურვილისგან და თავის ტკივილისგან დაბრუნებული თემურა კარგა ხანს ვერ გაერკვია, ვინ იყო, სად იყო, რა უნდოდა და დაფეთებული და თვალბდაჭყეტილი ამოდ ათვალეებდა გარემოს. ბოლოს, როგორც იქნა, იცნო მამიდამისი ლამარას სახლი, შოთიკოს ოთახი, გაახსენდა გუშინდელი ღამე, „ველიამინოვი“ — „გაგაზიკოვებ, შე ახვარო...“, რისფერ ნისლში ზიკოს ამოძრავებული პირი და დამცინავი თუ გაცოფებული თვალები, მერე მასა და ტურას შუაში ჩამდგარი შოთიკო და შეძრწუნდა. გვერდით საწოლში პატარა ბავშვივით თანაბრად სუნთქავდა მისი მამიდაშვილი, რომელსაც ტანსაცმელი, ჩვეულებისამებრ, საგულდაგულოდ დაეკუჭა და იატაკზე დაეყარა, პირდაპირ ბოტასებზე. თემურა ცოტა ხანს შურით უსმენდა შოთიკოს თანაბარ სუნთქვას. მერე ჩურჩულით, საწყალი ხმით დაუძახა — „შოთა!.. შოთიკო!“ შოთას დამსახურებულად ეძინა. ღრმად და უშფოთველად. თემურას ახლა მამიდამისი გაახსენდა: „აუ, ლამარა, ტოო...“ და უარესად შეძრწუნდა. სასონარკვევითი ტანჯვით იხსენებდა წუხანდელ საღამოს, არყისგან

მახსოვრობა ძველი კინოფირივით დანყვეტილიყო, იხსენებდა — იტანჯებოდა, ვერ იხსენებდა და უარესად იტანჯებოდა. ოთახში ჩამოფარებული ბორდოსფერი ფარდებიდან ძლივს იპარებოდა მზის ათინათი: „აუ, ვანო, ჩემი!..“ ახლა ბიძამისი გაახსენდა, შოთიკოს მამა და ლამარა მამიდას ქმარი. „აუ, მნახა, ნეტა?... როგორ ტეხავს, ჩემი... მე თუ კიდევ ეგრე დავთვრე, დავთვრე კი არა, მე თუ კიდევ დავლიო, ჩემი კეთილების...“ საშინლად სწყუროდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თავში გამდნარი ალუმინი ჩაახსეს, თვალეები ბუდიდან სცივოდა. სამზარეულოსკენ გასვლას კი არა — გახედვასაც ვერ ბედავდა. არ იცოდა, მამიდამისი სახლში იყო თუ არა. „მამაჩემთან დარეკავს...“ თემურას მამამისის დარდი არ ჰქონდა, ძმაკაცობდნენ, თუ რამე და მაგრად იჩხუბებდნენ და ეგ იყო, უფრო დედამისის და მამიდამისის დარდი ჰქონდა. „ნეტა, დედაჩემი მაინც არ იყოს ტელეფონთან, დააგვიკავონ ერთმანეთს, აუუ... ვაახ, ჩემი...“ და უცებ რძისფერ ნისლში ცხადად ამოტივტივდა

ბექა ქურხული

სამოთხიდან გაქცეულები



გაცეცხლებული ლამარა მამიდას სახე! „არა, რა სახლში არ იყო, მა სად იქნებოდა, ობეხეს უფრო ადვილად დაუძვრები, ვიდრე მამიდაჩემს, აუ, ახლა აქედან გამაღწეონა, ტო...“ და რაკი იცოდა, რომ ჯერ ვერ გააღწევდა, სინდისის ქენჯნისგან განამებული, სხვანაირად გაქცევას — დაძინებას — შეეცადა. „აუ, ბიჭებთანაც როგორ ტეხავს, არსადაც აღარ წამომყვებიან და მარტომ უნდა ვდიო უკან ნანულის. სუ იმ ჩემი კაზიოლების ბრალია, სიმონ. დამთარსეს, უფრო იმ ახვარმა ძესნა ლაღემ, მაგათ...“ და ასე წვალებით და წრილით ჩაიძინა თემურამ, რომელსაც ეს საშინელი დილა სულ ცოტა ხანში სამოთხედ, მიუწვდომელ ოცნებად და აუხდენელ ბედნიერებად მოეჩვენება, რადგან ასეთი სულელია ადამიანი, ვერასდროს ვერ ხვდება, რა ბედნიერია ამ წუთის და მერე, რომ ახსენდება, უკვე გვიანია. ძალიან გვიანია...

ქალბატონი ლამარა კი დილაადრიან, სწორედ იმ დროს, როდესაც თემურა ვერ ხვდებოდა, რა ბედნიერი იყო და იტანჯებოდა, თავის ძმასთან რეკავდა, თან ხელში რატომღაც ისევ ის ცოცხი აედო, რომელიც წუხელ თავის გატიალებულ ძმიშვილს უთავაზა ზურგში, და ამავე დროს სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა. თემურას ბედზე ტელეფონი თემურას მამამ აიღო, რომელიც შვილის ღამე სახლში მიუსვლელობას ვერაფრით შეეგუებოდა და პირველსავე ზარზე დააცხრა ყურმილს, მაგრამ, როდესაც თავისი უფროსის ხმა გაიგო და ისიც შეიტყო, რომ მის დედის ერთა ბიჭს — მართალია, უმსგავსეს, გამსკდარს, სამარცხვინოს და ცოცხით ნაცემს, მაგრამ აბსოლუტურად სალ-სალამათს — მშვიდად ეძინა, ხელად მოხასიათდა და ხუმრობის ხასიათზე დადგა.

ქალბატონი ლამარა დიდხანს, ყოველგვარი ქალური ფშრუქუნისა და ნატირების გარეშე, მტკიცედ და ლოგიკურად უსაბუთებდა თავის ძმას, თუ რა სირცხვილის, კატასტროფისა და დაღუპვის ნინამე იდგა ორი ოჯახი. არც თავისი უმცროსი ძმის გაკიცხვა და ძველი და არც ისე ძველი ცოდვების გახსენება დავინყებია და თავის ნესიერ და პროფესორ ქმარსაც გაჰკრა კბილი — „ინერტულობის, წარმოუდგენელი უპრინციპობის და ზედმეტი სირბილის გამო“. ბოლოს კი, რა თქმა უნდა, იმ „დევექტურის და მახინჯი“ სამეფლას საზიზღარ „პირმშოს“ — საწყალ ტურას დააბრალა, რომელმაც „მისი ოჯახი დააქ-

ცია და ახლა მის ძმიშვილსაც ლუპავს“. სხვათა შორის, ქალბატონ ლამარას ის ამბავი რომ გაეგო, თემურამ ტურას ყბაში როგორ ამოჰკრა, იქნებ, ისე გამეტვითაც აღარ ჩაეცხო ცოცხი, მაგრამ ყველაფერს ბედი უნდა.

თემურას მამამ მშვიდად მოუსმინა. ფრთხილად და ტაქტიანად უარყო საკუთარი, თავისი სიძის და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვით ტურას ბრალეულობაც კი. შემდეგ დაამშვიდა:

— მაგათ, თემურას და ტურას, ვერავინ დალუპავს, იმიტომ, რომ კარგა ხნის დაღუპულები არიან. მაგალითად, შენი საყვარელი ძმიშვილი — აქამდე თუ ღერებით მპარავდა „მაღბოროს“, ახლა „პაჩკებით“ მპარავს...

— კარგი და რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, რაში ხედავ გამოსავალს? — იკითხა ქალბატონმა ლამარამ, თან საათს უყურებდა. ხუთ წუთში უნდა წასულიყო, თორემ სამსახურში დაგვიანდებოდა.

— ეგ რა არი, — თქვა თემურას მამამ, რომელსაც ბავშვობიდან უყვარდა უფრო-

სი დის გაბრაზება, — შენ მთავარი არ იცი, შენი საყვარელი ძმიშვილი ტაშკენტში აპირებს ნაბრძანებას. ჩვენი მეზობელი ნანულის თავგასიებული მიშო ავლანეთში მიჰყავთ ძალიან საპატიო ინტერნაციონალური ვალის მოსახდელად და ამან უნდა დაიხსნას, იმ ნანულის მიჰყვება, რომ მიშო ავლანეთში წაყვანას გადაარჩინოს... ვერ არი რა... თავისმა განუყრელმა ძმაკაცებმა, რა თქმა უნდა, უარი უთხრეს წაყოლაზე და შოთიკოს ხო არ უპირებს რამეს?! იქნებ, ერთი შენ მაინც გაარკვიო...

— ვინ ნანული, შენ წინ რომ ის საშინელი ისტერიკა დედაკაცი ცხოვრობს, ქმარი რომ გაექცა, შიზოფრენიკა რომ არის — ის?..

— აი, კაკ რაზ ის, მაგ ნანულის მიჰყვება ტაშკენტში და, მგონი, შოთიკოც თან მიჰყავს, მაგიტომ გამოვარდა გუშინ მაქეთ...

ქალბატონი ლამარა გაშრა. თვალეები საათზე გაუშტერდა და ხელში ცოცხმერჩენილს ერთი წამით სამსახურიც გადაავიწყდა.

— კი მაგრამ, მოიცა, რას ჰქვია?... მერე რა არხინდა ლამარაკობ, ბიჭო, ჭკუაზე ხარ?... რას ჰქვია — ტაშკენტში, რას ჰქვია — მიდიან? იმ ნანულის თუ ვილაცას ამათ მეტი პატრონი არა ჰყავს? სად უშვებ, გაგიფიქდი?..

— როგორ დავიჭირო? არ იცნობ? მაინც წავა, გაიპარება ან, რავი... უარეს სისულელეს იზამს, თუ რამე აიტეხა — მორჩა!.. ამოვიდნენ მაგის ძმაკაცები, მე-ლაპარაკენ, ჩვენ ვერ მივყვებით... ვუთხარით, არც შენ არ გიშვებთო და გაგვიგიჟდით... ეგრეც იქნებოდა. მაგათ არც ვამტყუნებ. ეს არის, ჩვენი, თავი დედამინის ღერძი რო ჰგონია, ტო, ყველამ მაგის ჭკუაზე უნდა იაროს... არადა, სინამდვილეში სუ თვითონ დადის ყველას ჭკუაზე, ვისაც კი დედა დაწყევლის, ტო. მაგას ვინ სად უნდა გაყვეს, ერთი მამალი პარტაპარატრიკის შვილია და პრალაში უბერავს, მეორე კიდევ აქედანვე ისეთი ტიპია — მთელ თბილისს იყიდის და გაყიდის, როცა დასჭირდება. მაგათ ნანული უნდათ?... ეს არი რა, გეუბნები, ლეტნად, საქმე არა აქ, ცოდოები არიანო, გამოივიდა კეთილშობილი, ეს ჩემისა...

— დედა, რა დღეში ვართ?... რა უნდა ვქნათ?... — ქალბატონმა ლამარამ დაბნეულობისა და უმნებობისგან რატომღაც ცოცხი მიუშვირა საათს, თითქოს დიდი

ისრის გაჩერება უნდაო.

— იქნება, შოთიკოს ჰკითხო, შოთიკოს ნალდი ეცოდინება...

— შოთიკოს რა უნდა ვკითხო, რა აზრი აქვს, არავითარ შემთხვევაში არაფერს მეტყვის, შოთიკო არის მუნჯი, შოთიკო აღარ არსებობს, — ქალბატონ ლამარას ისე მოემალა ნერვები, ნატირება გადაწყვიტა, მაგრამ რომ არ გამოუვიდა და ისევ მტკიცედ განაგრძო, — დამიღუპა და გამოიკრეტინა შვილი იმ ტურტლიან საპოჟინკის, სამველას ნაძირალა შვილმა. ადამიანს რომ ბავშვობიდან ზედმეტსახელად ტურას დაარქმევინ... ამის კლასში ისეთი ბავშვები იყვნენ, ინტელიგენტები, ოჯახიშვილები, ყველა სწავლობს, ყველა სტუდენტია, რომ მხედებიან, გული მისკდება, ამ ასაკში გავიგე, შური რა არის, რომ შემხვდებიან — ღმერთმა სიკეთე მისცეთ — როგორ ბრძანდებით, ლამარა დეიდა, შოთიკო როგორ არისო, და ცხარე ცრემლით მიხდება ტირილი, არც ვიცი, რა ვუპასუხო, ჩაგდებული ჰყავს ამ დაუნ ტურას ხელში და რასაც ეტყვის, იმას აკეთებს. ხომ გახსოვს, რამდენს კითხულობდა ბავშვობაში, უკვე ვუშლიდი, ღამე ჩუმიად ფარანს ანთებდა და საბნის ქვეშ კითხულობდა. ახლა კითხვა კი არა — აღარც სწავლობს, დადო ამ მამამისმა გეპეში, რაც სხვისი არ მიყვარდა. ერთი თხოვნით, ნაცნობობით და პროტექციით და იცაც არ დადის, რა ნიგნის კითხვაზეა ლაპარაკი. სამი წელია, ვეხვეწები ლესინგის „ლაოკოონი“ ნაიკითხე-მეთქი...

— რა ლესინგის „ლაოკოონი“, გოგო, — შეწუხდა თემურას მამა, მაგრამ ქალბატონი ლამარას გაჩერება უკვე ძალიან ძნელი იყო.

— არა, ხო, რად უნდათ ნიგნი, ნიგნი კი არა, აღარ ლაპარაკობს, გამოაკრეტინა და დაამუნჯა ამ მახინჯმა ტურამ.

შოთიკო ტურამ კი არა, მთანმინდის მილიციამ და იქაურობის მთავარმა ძაღლებმა — ძმებმა როგავებმა დაამუნჯეს. მთანმინდის განყოფილებაში შოთიკო ოთხჯერ მოხვდა — სამჯერ სულ ტყუილად, ერთხელ კი მართლა. რა თქმა უნდა, ოთხჯერვე თავის ტურასთან ერთად. იქ როგავებმა ისეთ პრესში გაატარეს, რომ შოთიკოს შეეშინდა, წამებას რომ ვერ გავუძლო და რამე ვთქვაო, და სულ დამუნჯდა, დადგა ეგრე ზვიდაურით და ვერც ხმა ამოაღებინეს და ვერც თვალი დაახამხამებინეს, ტურამ კი ხან იტირა, ხან იცი-ნა, ხან ძაღლები აცინა, ხან თქვა, ხან მაინც არ თქვა, ამასობაში შოთიკოს მამამ, ვანომ, ძველი ნაცნობები ჩართო და, როგორც იქნა, ორივე გარეთ გამოაგდო, ტურას მამა სამველას კი თავისი ჯიხურიდან ფეხიც არ მოუცვლია, იქიდან აგინებდა ქართულად და ხმამაღლა თავის ტურას და მთანმინდის მილიციას ხმადაბლა, ჩუმიად და სომხურად — არ გამოგონო — შოთიკოს და მამამის ვანოსაც კარგად უკურთხავდა. ეგ კი არა, პირიქით — თვითონ შოთიკომ დაამუნჯა ტურა, რომელსაც ძალიან უყვარდა ლაპარაკი, და შოთიკო კი, როგორც უშიშროება — რადიო „თავისუფლებას“, ისე ახშობდა. ყბედი ვინ ანამა და მუნჯმაო, ეგ იყო.

თემურას მამამ ძალიან კარგად იცოდა ტურასადმი თავისი დის განსაკუთრებული დამოკიდებულების ამბავი, რომელსაც თვითონ სულაც არ ეთანხმებოდა — „ხოშიანი, უფროინი სომხის ბიჭია“, და ძალიანაც უყვარდა ეს ჩვენი ტურა. თანაც ძესნა ლაღეს მამასთან იყო დაპატიჟებუ-ლი ჩეხურ ლულზე და ეჩქარებოდა.

— კაი, ჰო, წავლენ და წავიდნენ, ბოლოსდაბოლოს, რა მნიშვნელობა აქვს, სად წაიმტვრევენ ცხვირ-პირს — თბილისში თუ ტაშკენტში...

— კი, მაგრამ მამამისი გადაირევა, ვანო რას იტყვის?..

— ვანოც მაგას იტყვის...

— რა თქმა უნდა. დარწმუნებული ვარ. რაც თქვენა ხართ, ის შვილები გყავთ. ოდნავი პასუხისმგებლობის გარეშე, — ქალბატონმა ლამარამ დაუშვებულად დაკიდა ყურმილი და ძალიან გაბრაზებულმა გადაწყვიტა, საღამოს სერიოზულად დალაპარაკებოდა ქმარს. მერე ცოცხი დადო და სამსახურში წავიდა. უკვე მართლა აგვიანდებოდა.

გაღვიძებული თემურას იქვე შოთიკოს (თავის) საწოლზე ჩამოხსდარი მამიდაშვილი და მისი განუყრელი ძმაკაცი

ნინასნარ მომზადებული, აღმოფთვებული და განმსჯელი სიფათებით დახვდნენ.

— აუუ, ჩემი... — გულიდან აღმოხდა თემურას და ლუდის ბოთლებს თვალი აარ-იდა.

— რა იყო, რას გავდი გუშინ, — ტრად-ციულად დაიწყო შოთიკომ.

— რაღა, ტო, — თავის ჩაღუნვა დააპი-რა ლოგინში მწოლიარე თემურამ, ტურას ჩაღუნვებული უპისკენ გააპარა თვალი და უხერხულობისგან ფეხები გაჭიმა, — რამ გამამხეცა, — გაუბედავად ჩაიბურ-ტყუნა.

— არა, გაგამხეცა არა, მაგას გამხე-ცებაც აღარ ჰქვია, — შოთიკოს უკვე დაეზარა ლაპარაკი. ყოველთვის ეზარებო-და. ტურა კი არა, როგავებიც კი არაფერ შუაში იყვნენ, უფრო გენეტიკური ამბავი იყო. მამამის ვანოს ჰგავდა, იმასაც ეგრე ეზარებოდა ლაპარაკი, რაც ქალბატონი ლამარას სამართლიან აღმოფთვებას იწვევ-და, — პროსტა, მივედით, ხალხი, ახლობე-ლი ბიჭები დაგვხვდნენ, ძაან ჯიჯივად, ძაან ჩვენიანსკის პონტში და შენ კიდე ჩაუხ-ტი სუფრაში, არიე, იმარე, უსიამოვნება, რაღაცა, რათ გინდა, ტო... ან იმ შენ უბ-ნელს რაღას აუხტი სუ უაზროდ, კი, მამენტ ერთი მაგათიც, მაგრამ რატო, ტო, სირცხ-ვილის პონტია რა, ტეხავს, პროსტა, შენი დაღვევა არ შეიძლება რა, მაგრა ხაზავ, — შოთიკოს არაქათი გამოეცალა, ლუდის ბოთლი გახსნა, მოიყუდა და თემურას შესთავაზა, — მამიდაშენმა სუ თავში მირტყა ცოცხი შენი გულისთვის, შენ ერთხ-ელ ჩაგცხო ზურგში, მე სუ თავში მირტყა, მთელი უბანი შეყარე. ან ის ზაკოა თუ ვი-დაცა — თუ არ გეგასება, იქ არა გყავს, აქ გაგახსენდა?..

— ჰე ჰე ჰე ჰე, სუ ალემო და ედერი ეძახა, ბოზიშვილი ვიყო, ისე მაგარი უკატ-ავა, რა გინდა: „შენა, ძმაო-ალემო...“ — თემურას ხმას გამოაჯავრა ტურამ, — შეუსრულა, სიმონ, ჰე ჰე ჰე ჰე...

შოთიკომ მკაცრად გადახედა ახვის-ვინებულ ტურას და ტურამაც ეგრევე მოკ-ერა სიფათი.

— კაი, მე რაღას მერჩოდი, ტო, ისეთი ამომარტყი — ყბა წაიღე, დილიდან პირი მტკიცა, პროსტა, ახლობლობის პონტში, მარა, მართლა მაგრა ტეხავს, ტო... ჩემი შოთიკოს ბიძაშვილი ჩემი ძმაა, მე ვიყო შპროტის ბანკა, მარა, — ტურამ თემურას შენუხებულ სახეს შეხედა და გული მოუკე-და, — ცუდათა ხარ ძალიან?... — მერე შო-თიკოს გადახედა და თავის ბოთლი მიანო-და, — ჰა, ხმი ელი, ხმი, ახპერ ჯან, დალიე, დალიე... შენ ცოტა სომხური უნდა გასწავ-ლო, ცუდი სიმთვრალე გაგივლის, ხო იცი, ჩემი ჩათლახი პაპიკა სამეველა რას ამბობს — ვინც სომხური არ იცის, თბილისელი არ არიო...

— აუ, ჩემი, — ისევე გულით აღმოხდა თემურას და ისეთი თვალებით შეხედა ბი-ჭებს, ორივემ, ისევე ფეხებზე რომ ეკიდათ თემურას ნუხანდელი გაფრენა, ახლა მარ-თლა დაიკიდეს. თემურას ცივი ლუდის ბოთლი ჩაებლუჯა და დაღვევის თავი არა ჰქონდა.

— მიდი, მიდი, დალიე, — გაამხნევა ტურამ, — კიდეა. მე წავალ, კიდე ჩემთვის მოვიტან, — ტურა სამზარეულოში გავი-და, მაცივრის კარი გამოაღო და აყიჟინ-და, — ე, მთელი ხალაღელნიკი სამსეა.

— ძია ვანო კი არა, ჩემი დაზავაჟნიკე-ბულია, — ჩაიბურტყუნა შოთიკომ.

— შენც ჯიჯარი ხარ, რა იყო, — არ დაუკარგა ამაგი ტურამ, — შენც წამოგი-ლო?... კაი ცივი...

— მაიტა, — თქვა შოთიკომ და ფიქრი დაიწყო.

თემურამ ლუდი დალია და განათდა. ტურა საწოლებს შორის შემოეკვება ცივი ლუდის ბოთლებით. თემურამ ახედა ტუ-რას ბედნიერ სიფათს და გაეცინა.

— მოდი აქა, — საწოლზე მიიწია, ტურა მოითრია და ჩაღუნვებულ ყბაზე აკოცა, — იზვინი რა, ხო იცი, ჩემი ძმა ხარ...

— ე, მაიცა, შე ჩემბა, პროსტა...

— მისმინეთ ეხლა, — თქვა თემურამ, თან ისევე ფიქრობდა.

— შენა, ბიჭო, როდის მივედივართ?..

— ორ-სამ დღეში, — გამოცოცხლდა თემურა, — კაროჩე, წინა დღეს დაგი-რეკავ... არა, ამას დაფურეკავ, — ტურასკენ გააქნია თავი, — კაროჩე, გვიან ღამე და-

გირეკავ, ხვალ, გვიან ღამე...

— თვითმფრინავით? — იკითხა შო-თიკომ.

— აბა... უნდა ჩავუხსნოთ, შე ჩემბა, თორე, თუ ავღანეთში უკრეს თავი, მერე რა — ნანულის თუ ჩამოვასვენებთ... საწყ-ალი მიშო იქ გამქაჩავი არ არი, გრუხ დვეს-ტის პასაჟირია უეჭველი...

— ფაიზალი, ტო, — შოთიკოს ყურება-ში ტურამაც ფიქრი დაიწყო და რაკი დაიწ-ყო, სრულიად ჯანსაღი და ლოგიკური კითხვა გაუჩნდა, — და მამენტ, აი, მართ-ლა ნამსერეს იმ ავგანისტანში, მერე ჩვენ რას ვუშველით, რატო შენი ძმაკაცის ცე-კას მდივანი მამას არ უთხრეს?..

თემურამ ლუდის ბოთლი ჩაცალა, ფე-ნიქსისებრ აღსდგა და სასწრაფოდ შეუშ-ვირა თავი ტურას ანუელ ტოპკას, თან ისიც გაახსენდა, ნუხელ ძესნა ლალესა და ძია ბარადას დარბევა რომ არ დასცალდა და ეგრევე გამოცოცხლდა.

— აი, ნუხელ მაგათთვის უნდა დამე-ყარა, მაგ გოთვერნებისთვის, მაგიტომაც ავიჭერი, მაგათ მაინც, მაგ...

— ჩაიცვი, ჩაიცვი, მიდი დროზე, იმი-ტო აიჭერი, რო ჰალაოთა ხარ და მორჩა. ადექი დავლიოთ, აზრზე მოვიდეთ და გავიშალოთ. თუ მივედივართ, მომზადება ხო გვინდა. თან ვინმე არ მოვიდეს, — შოთი-კო ადგა და სამზარეულოდან გავიდა.

— შო, ტო, ლამარა დეიდა არ მოვიდეს, თორე სუ ყველას ბეზ სუდა ი სლედსტია დაგვხვრიტავს, — დაახუსტა ტურამ და შოთიკოს მიჰყვა უკან.

სამი დღის შემდეგ თემურა, შოთიკო, ტურა და ნანული დეიდა თბილისი-ტაშკენ-ტის თვითმფრინავში ისხდნენ და მიშოს დასახსნელად მიფრინავდნენ. ნანული ნესიერად და, რაც შეეძლო, თავდაჭერ-ილად იქცეოდა, ერთი ეგ იყო — განუწ-ყვეტილვ ლოცავდა და შინ გამომცხვარი ნამცხვრით „plätzchen“-ებით უტენიდა პირს ბიჭებს, რითიც განსაკუთრებით შო-თიკოს უმწარებდა სულს, იმიტომ, რომ თემურა მორიგი ხათბაღის მოლოდინში ისეთი ბედნიერი იყო, plätzchen-ს კი არა — ქვას შეჭამდა, ერთი ისა ჰქონდა გულში ჩარჩენილი, რომ ნამოსვლის წინ ძესნა ლალესა და ძია ბარადას ვერ დააყარა და ვერ აგინა, თუმცა პატიოსნად ეძება, მა-გრამ ძესნა ლალეცა და ძია ბარადაც საეჭვოდ იყვნენ გამქრალბები. თუმცა, ეგ არაფერი, სად წავიდოდნენ, როდემდე გაქრებოდნენ. რაც შეეხება ტურას, მან აბსოლუტურად გენიალური სვლით აიცი-ლა ნანულის plätzchen-ები, როდესაც გულზე ხელის დადებით და აზნაურული თავის დაკვრით მოახსენა: „სპასიბა, ნანუ-ლი დეიდა-ჯან, დიდი მადლობა, მაგრამ ვეგეტარიანელი ვარო“. ამან თვით უძლევე-ლი ნანულიც კი ისე დააბნია, არა მარტო „ფლექსიკები“ აღარ შეუთავაზებია, აღარც გაუხედა ტურასკენ. ტურას მსგავ-სი უყურადღებობა სულაც არ ენაღვლე-ბოდა, მთავარი ის იყო, რომ თავის შოთი-კოსთან და ჩვენ ძმა თემურასთან ერთად სადღაც ტრაკში მიდიოდა და მორჩა!

ამასობაში კი თხუთმეტი წლის წითელთმიანი და საშინელი ელე ლეჟავა აივანზე გადმომდგარიყო და თავისი უცნ-აური ცერად აჭრილი თვალებით უყურებ-და იმ ადგილს, სადაც მისი შეყვარებულე-ბი — თემურა, ძესნა ლალე და ძია ბარადა იდგნენ და ბლატაობდნენ. ადგილი ცარი-ელი იყო. თუმცა ძესნა ლალე და ძია ბარა-და ორ დღეში გამოჩნდებოდნენ. თემურა კი კარგა ხნით დაიკარგებოდა და მის ადგ-ილას მისი უცნაური, უცნაურად გრძელი მეტსახელი — ეხლა ნახე რა ვქნა თემურა დაბრუნდებოდა. ელე ლეჟავა კი აივანზე იდგა, მზისგან დაეღმებული ჭროლა თვა-ლებით უყურებდა სივრცეს, ცერა თითის ფრჩხილის მაგივრად წითელი, დაწული თმის ბოლოს ანვალედა კბილებით და ჯერ ყურადღებებსაც არ აქცევდა თერთმეტი წლის ბიჭს, რომელიც უგონოდ იყო მასზე შეყვარებული და რომელიც მამამისთან რუსული პადეჟების სასწავლებლად მოეყ-ვანათ. ბიჭს, თავისი თერთმეტი წლის მი-უხედავად ან სწორედ მაგიტომაც, სულ ფეხებზე ეკიდა რუსულიც და მისი პადე-ჟებიც და გაცილებით მნიშვნელოვან რამე-ს სწავლობდა — თავის პირველ ქალსა და მის სხეულს, რომელიც აივანზე იდგა და მზისგან აჭორფილი ეზოში იყურებოდა...

ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი

გამომცემლებისთვის
მთარგმნელებისთვის
მწერლებისთვის

ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი

10.05-15.05.2015

Literary Forum & Dialogue

for Publishers
Translators
Writers

Georgian National Book Center

სუთდღიანი კულტურული პროგრამა

საპარტიზმოს კულტურისა და ძეგლ-თა დაცვის სამინისტროსა და ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით თბილისში რიგით მესამე ლიტერატურ-ული ფორუმ-დიალოგი ჩატარდა. პირველ დღეს ფორუმ-დიალოგის უცხოელ და ქართველ მონაწილეებს ეროვნულმა მუზეუმმა უმასპინძლა. ღონისძიება მინის-ტრმა, მიხეილ გიორგაძემ და ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის დირექტორ-მა, მედეა მეტრეველმა გახსნეს.

თბილისს ეწვია თვრამეტამდე უცხოე-ლი გამომცემელი, საავტორო უფლებების მენეჯერი და რედაქტორი, ლიტერატურ-ის კრიტიკოსი და ჟურნალისტი. ფორუმის საგანგებო სტუმარი იყო ბერლინის ლიტ-ერატურული ფესტივალის დირექტორი, ულრიხ შრაიბერი. ისინი ჩამოვიდნენ, რათა ქართველი საგამომცემლო სფეროს წარ-მომადგენლების, მთარგმნელებისა და კრიტიკოსებისგან მეტი შეეტყობ ქართვე-ელ ავტორებზე, აქ მიმდინარე ლიტერატურ-ულ პროცესზე, მოესმინათ რეკომენდა-ციები მწერლებსა და ტექსტებზე და ემ-სჯელათ თარგმანების საზღვარგარეთ პოპულარიზაციასა და ქართული წიგნის ინდუსტრიის განვითარებაზე.

გერმანელი და ბრიტანელი სტუმრები სამუშაო სესიების, პრეზენტაციებისა და დისკუსიების ფორმატში გაეცნენ საგამომ-ცემლო სექტორის მუშაობას და შეხვდნენ ქართველ მწერლებს.

ხელოვნების მუზეუმში გამართული სხ-დომის შემდეგ გერმანიისა და ბრიტანეთის ოთხი წამყვანი გამოცემის — The Independent, Süddeutsche Zeitung, Die Zeit, Tageszeitung — წარმომადგენელი ლიტერატურის კრიტიკოსები და ჟურნალისტები ქართვე-ელ კოლეგებს შეხვდნენ. დისკუსია თემაზე „ქართული ლიტერატურა და ევროპა“ „თი-ბისი გალერეაში“ შედგა. სტუმრებს ლიტ-ერატურული პრემია „საბას“ თანადამ-ფუძნებელი რატი ამალბოელი მიესალ-მა. დისკუსიას წინ უძღოდა „საბას“ პრეზენ-ტაცია, რომელიც საგანგებოდ უცხოელი სტუმრებისთვის მომზადდა. შემდეგ კი გაიმართა ცოცხალი დიალოგი. ისაუბრეს

თანამედროვე ქართველ ავტორებზე, აქ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე, კრიტიკაზე, თარგმანებზე. შეხვედრა ევროპელი ჟურნალისტების გამოცდილბე-ნისა და ჩვენი პრობლემების ურთიერთ-გაზიარების ერთგვარი მცდელობა იყო. დისკუსიას ნიკო ნერგაძე უძღვებოდა.

ფორუმ-დიალოგის სპეციალური ხუთ-დღიანი კულტურული პროგრამის ფარ-გლებში უცხოელი ჟურნალისტები ასევე შეხვდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, გამომცემ-ლებს, ლიტერატურის კრიტიკოსებსა და მთარგმნელებს. მოინახულეს სახელოვნე-ბო და სამეცნიერო ცენტრები, ეწვივნენ მუზეუმებს და გაეცნენ იქ დაცულ უნი-კალურ კოლექციებს, მათ შორის ეროვნუ-ლი მუზეუმის ოქროს ფონდს, ხელნაწერ-თა ეროვნული ცენტრის საცავებს, ეროვნულ გალერეას, მწერლის სახლს, ლიტერატურის მუზეუმს.

ღონისძიების მონაწილეებმა მოინახ-ულეს წინანდალი, სიღნაღი და დარიალის ხეობაში იმოგზაურეს.

ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბა-ზრობაზე საქართველოს საპატიო სტუ-მარი ქვეყნის პროგრამის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში განხორციელდა და უცხოელებისთვის საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურის გაც-ნობასა და პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად.

პროექტის პარტნიორი ორგანიზაციე-ბი იყვნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართვე-ლოს ეროვნული მუზეუმი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მწერალთა სახლი, ლიტერატურის მუზეუმი, წინანდალის სახლ-მუზეუმი, გოეთეს ინსტიტუტი, ბრი-ტანეთის საბჭო, საქართველოს წიგნის გა-მომცემელთა და გამავრცელებელთა ასო-ციაცია, „თიბისი ბანკი“.

ფორუმ-დიალოგი ხუთ დღეს გაგრ-ძელდა.

სინამდვილეში სსოვნისა და დავინ-ყების ეს ანტიონომიები ფანტომურზე მეტად რეალური ცნებებია. მათ შესახებ უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო საფუძვლიანად საუბრობენ საბჭოური და პოსტ-საბჭოური კულტურის მკვლევრები, მათზე თავიანთი ტექსტებით მეტ-ნაკლებად რეფლექსირებენ მწერლებიც. თუმცა მწერლები ამკარად იმაზე ნაკლებად, ვიდრე ამას ვისურვებდით. შექმნილი ვითარებას ყურადღების ფოკუსში აქცევს მალხაზ ხარბედია თავის ლაკონიურად, მსუბუქად და საქმიანად დაწერილ ნიგნში „ტექსტი და სიმართლე“. პირველივე კრიტიკულ ესეში — „რომანი და განმეორებები“ — საუბარია ევროპულ ნოდებზე, „აქტუალური ლიტერატურის“ სიახლეებზე, რომლებიც, ავტორის აზრით, „მეტ რეფლექსიას, მეტ თვითდენტიფიკაციას და პასუხისმგებლობას მოითხოვს“ და სწორედ ამიტომ ეს თემატიკა, ანუ წარსულზე წერა, ერთგვარად მარგინალიზებულია. „თანამედროვე ქართული ლიტერატურა ძალიანაა მონაცვტილი რეალურ თანამედროვეობას, ისტორიას, ჩვენივე ქვეყნის ახლო წარსულს...“ (მალხაზ ხარბედია). არადა, თანამედროვეობაც, ახლო წარსულიც და, მით უფრო, ისტორიაც სერიოზული საფრთხის შემცველი სააზროვნო სივრცეებია, რომელთა არაადეკვატურად აღქმვა გააზრება სულაც არაა უწყინარი ან თავშესაქცევი საქმე. ამ მიზეზებმა განაპირობა კიდევ — უკანასკნელ პერიოდში საბჭოური გამოცდილების მქონე აღმოსავლეთ ევროპის ინტელექტუალურ წრეებში სერიოზული ინტერესის საგნად ქცეული — ევროპული ნოდებუმი პოსტკოლონიური თეორიების შექმნა, რომლებშიც ჩვენსაირი ისტორიული გამოცდილების მქონე ქვეყნები, მეტი რომ არა ვთქვათ, სიცილის ოთახების მრუდე სარკეებში არეკლილ უფორმო, დესტრუქციულ ფიგურებს გვანან. თუმცა კეთილსინდისიერ მკვლევართა მიერ ეს უფორმოებაც მოხელთებულ-სახელდებულა და მათი „გასწორების“ კონკრეტული საშუალებებიც დეკლარირებულია. მეხსიერებათა არქივი, კონტრმეხსიერება, კოლექტიური ტრავმა, ტრავმული ცნობიერება, კულტურული ტრავმა, ჩაკეტილი საზოგადოება, მეხსიერებათა ომები, სსოვნის დეზაფორმება ამ და მონათესავე თეორიების არსენალიდანაა.

გადაჭრითაც ვერ ვიტყვით, რომ ქვეყნის სტრუქტურული ცვლილებების საწყის ეტაპზე არავინ გაგვფრთხილა, გასაგებად არ გვესაუბრა საბჭოთა ადამიანებისთვის დამახასიათებელ დიდი ხნის თვლემასზე, ეგზისტენციული დიდი გაყინვაზე, სიცოცხლის სიკვდილისგან, შესაბამისად რეალობის ოცნებისგან გარჩევის აუცილებლობაზე; იმაზე, თუ როგორ უნდა ვემზადოთ ჩვენივე ზნობიდან და საქმიანობიდან უფიცობისა და ისტორიული წყევლიან განდევნისთვის... შევძლოთ თავის დაღწევა „ფიგურა მდგომი გვამების უღრანიდან...“ და ასე შემდეგ (მერაბ მამარდაშვილი, „ფრანგული არქივიდან“). თუმცა მაშინ ეს ხმა „ადილი თავისუფლების“ ხელმისაწვდომობის იდეამ გადაფარა.

არადა, რა უნდა თანამედროვე ცხოვრების რიტმში ჩართულ ადამიანს. რა თქმა უნდა, ისტორიის ერთი მონაკვეთიდან მეორეში უმტკივნეულოდ გადასვლა, გაუაზრებლად, თუნდაც ხანმოკლე ანალიზის გარეშე, ქრონოსის ახალ სუფთა ფურცელზე გადახატვა და ყოველდღიურობას ამოფარება. სსოვნისა და მეხსიერების დაუბალანსებელ სივრცეს კი, რომელსაც სხვაგვარად „დუმილის ზონასაც“ (კ. კარუტი) უწოდებენ, ნაღმიან ველზე გავლის მოულოდნელობა ახლავს. ამიტომაც იგი ერთნაირად საშიშია როგორც ფხიზლად, ასევე ზეზეურად ძილში ყოფნის მსურველთათვის.

პოსტკოლონიური თეორიის ერთ-ერთი ტრანსლაციური ალექსანდრე ეტიკინდი გვაფრთხილებს: თუ წარსულს არ გავიაზრებთ, მასში მართებულად გარკვევაზე არ დავიხარჯებით, იგი გაუპატიოსნებელი ცხედარივით სწორედ მაშინ მოგვადგება, როცა საკუთარ თავს სამშვიდობოს გასულად წარმოვიდგენთ (სხვათა შორის, „საბჭოთა ტრავმის“ ამგვარი ახსნის დროს მკვლევარი ეყრდნობა ფსიქო-ანალიტიკური ესთეტიკის ნიმუშად მიჩნეულ ფროიდის

ნაშრომს „საზარელი“ და მიაჩნია, რომ „რეპრესირებული წარსული ბრუნდება, როგორც „საზარელი“). წარსულთან მიმართებით მეტი თვითდაჯერება ისმის ნაირაგელაშვილის რომანში „პირველი ორი წრე“ (ამის შესახებ მალხაზ ხარბედიას იმავე ნიგნშიც ვკითხულობთ): წარსული „თან უნდა გვახსოვდეს და თან არა. წარსულიდან მხოლოდ ის უნდა იცოდეს, რასაც აცნობიერებ, სხვა ყველაფერი უნდა გადაყარო, რათა ტვირთად არ გექცეს“. მილან კუნდერა კი, რომელიც ნამდვილად არ განიცდიდა ერთპიროვნული მმართველობის ინდივიდის ცნობიერებაზე დამანგრეველი ზეწოლის ნაკლებობას, საკითხს მკაცრი სიმბარტივით აყენებს: „ადამიანის ბრძოლა ტირანიასთან — ესაა სსოვნის ბრძოლა დავინყებასთან“. იფქლის და ღვარძლის გამორჩევის ეს პრინციპი, შესაძლოა, ერთგვარი საბოლოო ინსტანციაც იყოს ტრავმული ცნობიერების დანმენდის

ნონა კუპრეიშვილი

სსოვნისა და დავინყების ფანტომები



როულ გზაზე, თუმცა იქამდე ჯერ უნდა მიაღწიო.

კულტურულ ტრავმაზე ყველას მეტ-ნაკლები წარმოდგენა გვაქვს, რადგან ტოტალიტარიზმის ნანგრევებს თავი ჩვენც დიდი გაჭირვებით დავალწიეთ, გავიარეთ (ვერ გავიარეთ) გზა ცხოვრებასა და ანტიცხოვრებას შორის. მაგრამ თვით ეს ცოდნა ემოციური უფროა, ვიდრე ინტელექტუალური (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით). იგი, ბუნებრივია, სხვა ეგზისტენციისა, ვიდრე ამ მიმართულებით მომუშავე ცნობილი მეცნიერების კეტი კარუტის, დომინიკ ლაკაპრას, პერტე შტომპკას, იმავე ალექსანდრე ეტიკინდის, ბორის გროისისა თუ ილია კუკულონის, ქართველ მკვლევრების ბელა ნიფურისას, მანანა კვაჭანტირაძის და სხვათა დეტერმინაციები. მაგრამ საქმე აქ არა იმდენად აზროვნების მასშტაბშია, რამდენადაც რეფლექსირების ჩვევაში, საკუთარი ცნობიერების განჩნრევის, საკუთარ თავზე უშეღავათო მუშაობის სისტემატურობაში, რაც კულტურული ტრავმის, მასთან ერთად კი წარსულის გადაჩრევის, მეხსიერების დალაგების უპირველესი პირობაა და რითაც ასე განსხვავდება ერთმანეთისგან თავისუფლებისკენ მიდრეკილი და თავისუფლებით დამფრთხალი სული. „სსოვნის იკონოგრაფიის“, სხვაგვარად „სსოვნის ევროპული პეიზაჟის“, შემქმნელმა ცნობილმა ფოტოგრაფმა ჯეიმს იანგმაც, რომელმაც ჩვენგან დრო-სივრცულად დისტანცირებული მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული მემორიალური ადგილების შთაბეჭდავი ფოტო-კოლაჟები შექმნა, სსოვნასთან უშუალო შეხებისას, ფაქტობრივად, იგივე გამოცდილება შეიძინა: „საჭიროა არა მესხიერების უბრალოდ შენახვა, არამედ მასზე მუდმივი მუშაობა“.

საგულისხმოა ისიც, რომ ლიტერატურული კვლევებისგან, ერთი შეხედვით (მხოლოდ ერთი შეხედვით), შორს მდგარი სოციოლოგები, რომლებიც გარდამავალი პერიოდის სამართლის აღდგენის იურიდიული მექანიზმებით არიან დაინტერესებუ-

ლი, წარსულის დანაშაულებათა სამართლიანი განსჯის შესაძლებლობას კოლექტიურ ტრავმასთან სწორ მიდგომას უკავშირებენ. მაგალითად, ლონდონის ეკონომიკური სკოლის პროფესორი, სოციოლოგი სტენლი კოენი სპეციალურ ნაშრომში „უარყოფის სტრუქტურა“ რამდენიმე საკითხს პრინციპულად თანაბარ სიბრტყეზე აყენებს. აი, მის მიერ დასმული კითხვები: „შეუძლია თუ არა მთელ საზოგადოებას, დაივიწყოს ან ახსოვდეს წარსული ისე, როგორც ამას აკეთებს ინდივიდი საკუთარი ბიოგრაფიული ფაქტების მიმართ? ერთმანეთისგან ასე რატომ განსხვავდება მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ ადამიანის სსოვნაში შენახული მოგონებანი და ამავე მოვლენების ოფიციალური ვერსიები? როდის გადადის „ცოცხალი სსოვნა“ „ისტორიული“ მოვლენების რანგში?“ დაბოლოს: „როდის იქცევა „კოლექტიური მეხსიერე-


ად მეორე მსოფლიო ომში ნაცისტური გერმანიის მიერ ებრაელთა დევნის ფაქტები გამოიყენა, თუმცა მიღებული დასკვნები სრულად მისადაგება ჩვენს ისტორიულ-კულტურულ გამოცდილებასაც. მეტიც, ზოგიერთი ქართველი მკვლევარი ეყრდნობა რა ამ დეფინიციებს, გარკვეულ წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ „ტრავმის გადათამაშებისა და ირონიზების“ პრინციპი, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა ქართველ მწერლებს აქვთ არჩეული, წარსულის გააზრებისთვის კონტროლდუქტულია, რადგან ასეთ შემთხვევაში „იკარგება ფოკუსი და ტრავმის გენეზისი, შემაღვნილობა, არსი ბუნდოვანი ხდება... თამაში ძნელდება სწორი აღქმისა და დისტანციის შენარჩუნება“ (მანანა კვაჭანტირაძე, „ტრავმული სსოვნა პოსტსაბჭოურ ნარატივში“).

დავუბრუნდეთ ისევ მალხაზ ხარბედიას ნიგნს — „ტექსტი და სიმართლე“, — რომელშიც წარსულის სწორედ რომ გააზრებაზე აგებული ნაწარმოებების მოკლე ჩამონათვლია მოცემული (ნაირაგელაშვილის „პირველი ორი წრე“, ირაკლი სამსონაძის „ყურთბალიში“ და „ლესას საათი“, მარინა ელბაქიძის „გაცვლა“ და თამთა მელაშვილის „გათვლა“). კრიტიკოსი თავისი კონცეფციის თუ უბრალოდ გეგმების მიხედვით არჩევს ამა თუ იმ ავტორს და არავის შეუძლია, ამის გამო უსაყვედუროს — ეს თავისთავად — მაგრამ ამავე სიაში, თუნდაც უანრობრივი მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ურიგო არ იქნებოდა, მოხვედრილიყო როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანები გალაკტიონ ტაბიძისა და ვახტანგ ჭელიძის შესახებ. განსაკუთრებით კი ეს უკანასკნელი, სახელწოდებით „საგა ვახტანგური“, რომელიც ჩვენი უახლესი წარსულის რეინტერპრეტირების წარმატებული ცდაა.

აქაც საბჭოური წარსულია, მხოლოდ სპეციფიკური, რადგან XX საუკუნის 60-80-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრების ქრონიკაა ასახული, მაგრამ ისე, რომ თვალნათლივ ჩანს „ხელოვანის სულის გამაჩანაგებელი“ (ხშირად ვიხსენებ დავით წერეთლის ამ გამონათქვამს) ის ატმოსფერო, რომელშიც მრავალნი აღმოჩნდნენ ჩართულნი, მცირედნი კი „გადარჩენილნი“.

როსტომ ჩხეიძის ნიგნები, ვფიქრობ, მკითხველთა ერთ ნაწილს თავისი მოცულობით აფრთხობს. მართლაც, დღევანდელ პირობებში შვიდასი გვერდის შევსება ბევრისთვის წარმოუდგენელია და თანაც ისე, რომ ინფორმაციული დატვირთულობა თანაბრად იყოს შენარჩუნებული. „საგა ვახტანგურის“ ავტორი ნამდვილი Homo memory-ია, რადგან ახსოვს ყველაფერი და ყველაფერზე პასუხისმგებლობას გრძნობს. არსებობს ბიოგრაფიული რომანის ავტორის ორგვარი პოზიცია: პირველი, როდესაც იგი თავისი ლოგიკური მიგნებებით, მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობის ამოხსნით ალადგენს საჭირო სურათს, ახდენს დროისა და პიროვნების ამბივალენტურობის რეპროდუცირებას და მეორე, როდესაც მთხრობელი თავდადა იმ ლიტერატურული პროცესის მონაწილე, რომლის შესახებაც გვიყვება. ჩვენ მეორე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. როსტომ ჩხეიძეც და მისი რომანის გმირი, ვახტანგ ჭელიძეც, პირველი იმხანად დამწყები, მეორე კი პროფესიონალი ლიტერატორი, ასაკისა და გამოცდილების შესაბამისად იმდროინდელ ქალაქის სისხლიან და უსისხლო ბატალიებში იყვნენ ჩართულნი. ამ გამოცდილებას ემატება ერთი მომენტიც: როსტომ ჩხეიძეს ყოველდღიურობის განზოგადების იმგვარი უნარი აღმოაჩნდა, რომ ნიგნში არა მხოლოდ მოვლენათა იდენტიფიცირებით, არამედ უფრო დეტალების აქცენტირებით მთელი ეპოქის ხასიათი დაიხატა. სხვა შემთხვევაში არც იქნებოდა საშუალება პოსტკოლონიური თეორიების იმ ასპექტებზე საუბრისა, რომელსაც ჩვენ წერილის შესავალი ნაწილი დავუთმეთ.

ვახტანგ ჭელიძე, რომელმაც სტალინ-იზმის სუსხი პირადად იწვნია (20-იან წლებში დაპატიმრებული, 1937-ში კი რესპრესირებული მამა, ჭლექითა თუ კით შემუსრილი ან სულაც 1942-ში დახვრეტილი,



ეგრეთ ნოდებული, დაწყებული თაობა, რომელიც ძირითადად მისი მეგობრებისგან შედგებოდა) 70-80-იანი წლების ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ფიგურაა. თუმცა ასე (ლიტერატურული ცხოვრება) მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება, ენდოს კონტროლს დაქვემდებარებულ მწერლობაში ტრიალს, სადაც გემოვნებას, სტილსა და მიმართულებას ეგიტალური (ანტიელიტარული) ოფიციაზი აწესებდა (გალაკტიონს ჰქონია ერთი ასეთი მინაწერი: რა არის მასზე მწეველი, როცა ტეტია, მშვენიერების შემფასებელი/და ესეთგია...). ასეთ პოზიციაზე ყოფდა არა მარტო რთული, სამიშც იყო. და მაინც, როგორც წინააღმდეგობა, ყველაწვრილმანზე ცეკაში დაბარება თურმე ბოლომდე ვერ ახშობდა მწერლობის რეანიმირების ბუნებრივ სურვილს, ნიჭს, შემოქმედებით აქტივობას... შეიძლება ვინმემ იკითხოს, რამდენად აქტიუალურია, ვთქვათ, მამინდილი კრიტიკის მეტოდებში გაკრევეა, იმის გაგება, თუ რამდენად კომფორტულად გრძნობდა თავს გამოცხადებულ სიკვდილთა ქრონიკორი ან, როგორც როსტომ ჩხეიძე უწოდებს, „ლიტერატურული ჯალათი“ ბესო ჟღენტი, როგორ წმენდად საკუთარ სამწერლო გზას არც მეტი, არც ნაკლები, მრავალნადავი ვეზირის თვისებებით შემკული პოეტი (სხვათა შორის, არცთუ ურიგო პოეტი) ირაკლი აბაშიძე, როგორ დაიდო კისერზე მომავლადევი ლადო ასათიანის ცოდვა, რადგან დაჭრევირა მისი უკვე აწყობილი ლექსთა კრებული „წინაპრები“ და მერე ყველა „დაარწმუნა“ იმაში, რომ ასეთი წიგნი საერთოდ არ არსებულა. მერე რა? ფრანსუა ვიიონი, პოლ ვერლენი, ოსკარ უაილდი, ედგარ პოე არ იყვნენ უნიკლო ადამიანები — ხომ გვეტყვიან. ასეა, მაგრამ „სადა ვახტანგური“ არც მწერლურ პურიტანიზმზეა და არც შურისმაძიებლის ობსტრუქციულობაზე. ღირსება ამ წიგნისა ისაა, რომ იგი უფრო ნომენკლატურული, გავლენიანი მწერლების გარშემო შემოკრებილი იმ რეფერენციული ჯგუფებისკენ მიგვახედებს, რომლებიც დიდი ხანია, გასცდნენ ერთი სუბიექტის მომსახურების არეალს და სამომსოციალურ მოვლენად იქცნენ. ვალიართ, მათაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ჩვენს ასეთ დახშულობაში და, შეიძლება ასეც ითქვას, გადაგვიკეტეს ის სააზროვნო არხები, რომლებიც წარსულისგან გათავისუფლებისთვის გვჭირდებოდა და ახლაც გვჭირდება. ამიტომ „კულტურული რეპრესიების“ ტერმინით ცნობილი „უხმო შეთანხმება“ იმაზე, წარსულის რომელ მხარეებს უნდა შევეხოთ და რომელს არა, აქ ვერ იმუშავებს...

ინტერესი ზაზა თვარაძის ლექსების, პროზის, განსაკუთრებით კი ამ ბოლო დროს გამოცემული ნერილების, ინტერვიუებისა და ჩანაწერების მიმართ (ამ გამოცემის ავტორი კვლავ მწერლის მეუღლე მანანა ჯიქიაა) სხვადასხვა მხატვრული ფორმით მკითხველთან უშუალოდ საუბრით უნდა იყოს გამოწვეული. წიგნში, ექსპრესიული სათაურით „ჩადექი მანდი!“, ავტორის პოზიციონერობის ხარისხს თავისთავადაც რომ ავლენს, ფოკუსირებულია ტკივილი, რომელიც არშედეგობის (მიუფერო, თუ ეს არშედეგობა მთელ ქვეყანას ეხება) დაუსრულებელ მისტერიაში ჩართულობითა და მისგან თავდაღწევის

სურვილითაა გამოწვეული. მხოლოდ ესაა, აქ შედაპირზე ტიციციის ნაცვლად მზერა პრობლემის სათავეებისკენაა გადატანილი. „ეს კომუნისტური უთავბოლო შენება არაფრისმომტანია, თუ არ განხორციელდა უნიკალური პიროვნული შემოქმედებითი აქტი (შემოქმედებაში ხელოვნებას არ ვგულისხმობ. ყოველი გულიდან მომდინარე წრფელი ადამიანური აქტივობა — შემოქმედებაა)“, „ამირანი და არქეტიპი“, (2004). ზაზა თვარაძე თავის შეფასებებში საკუთარი თავისადმი სიძულვილის რთულ მონაკვეთსაც გადის (ახლა რატომღაც მისი ერთი ლექსი — „ალმასხანი“ — გამახსენდა), რაც განსჯისა და აზროვნების გარეშე ცხოვრების პროტესტადაც შეიძლება აღვიქვათ. ის, რომ დღეს ბრმად არაფრის, მათ შორის თვით ქრისტიანული დოგმების, მიღება არ შეიძლება, კარგად ჩანს „მამაო ჩვენო“ გათანადრობებულ, ერთგვარი ლუთერიანული იმპულსით შექმნილ ვარიანტში („მამაო ჩვენო“, 2006), რომელიც არა მკრეხელთადაც, არამედ ძალიან მნიშვნელოვან ათვლის წერტილთან დაბრუნებად უნდა მივიჩნიოთ. ეს იმ წარსულის მიგნებას, გნებავთ აღმოჩენას ჰგავს, რომელიც მსგავსი შემოტრუნებების კონტექსტში ადამიანად, პიროვნებად ჩვენი ჩამოყალიბების მოტივაციას მხოლოდ აძლიერებს. ცხადია, იგი ადვილად გადაიღვრება ანმეოსა და მომავალში, რადგან არ არის და არც შეიძლება იყოს ბერნი, უნაყოფო. „კომუნისტებმა პირდაპირი გაგებით მოკლეს საქართველო... დაანგრეს ეკლესიები, გააპრეს მღვდლები, დახოცეს ხალხი, მოსპეს ეროვნული ცნობიერება, გაჟლიტეს ინტელიგენცია, თავდაზნაურობა, ჩაკლეს სულიერება...“ ზაზა თვარაძის დაკვირვებით, განხორციელდა (ილიადან დაწყებული დღემდე), ბიბლიური იროდის მსგავსად, მრავლის დახოცვა იმ ერთადერთი შემოქმედი სულის (სულიების) გასანადგურებლად, „რომლის შემოქმედება აშენებს ღვთივსურთხეულ ქვეყნიერებას“. ნადირობა საკუთარ გამორჩეულ შვილებზე კი, გარდა იმისა, რომ მრუდედ გავლილი გზის, ამ სიმრუდისგან დაღუპილი ტრავმული ცნობიერების შედეგია, ასე ვთქვათ, მასტიმულირებელი საშუალებების გარეშე ქვეყნის შემდგომ განვითარებასაც შეუძლებელს ხდის. ასე „ჩაინერგა ჩვენს გონებაში მისტიკური ცნობიერება და აღიმართა კერპი, სახელად „საქართველო...“ რაც იმას ნიშნავს, რომ აღარ არის თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობა იმაზე, საყარო, ავტორის მიერ დამონებული ჯიმ მორისონის ერთი სიმღერის ტექსტის არ იყოს, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენზე რომ დგას... ზაზა თვარაძე, ისე, რომ ამ და მსგავს ტერმინოლოგიურ გამართულობაზე ნაკლებად ფიქრობს, ფაქტობრივად, ხსოვნისა და დაზინების ოპოზიციურ წყვილებს განიხილავს. ეს აწვალბებს, ეს უქმნის დისკომფორტს და სწორედ ამიტომ ეძებს მათ მეტ-ნაკლებობის მიზეზს. რატომ ვივინყებთ იმას, რაც უნდა გვახსოვდეს და პირიქით, ვერ ვეღვივთ იმას, რაც გვკლავს და გვანელებს, რატომ ვიკეტებით უკვე მომხდარ — წარმოსახულში და „არ ვეძებთ სიცოცხლესთან ახალ კავშირებს“. იმიტომ ხომ არა, რომ საკუთარ თავს დაზინების ტრანსში ჩავარდნის უფლებას ვაძლევთ... შეგვიძლია, პირდაპირ ჩამოვწერთ ის სიტყვები, რომლებიც ამ წიგნის მიხედვით

ავტორს განსაკუთრებით სძულს (ფარისევლობა, მატრახაზობა, უბადრუკობა, მზაკვრობა, ნამხედურობა, უმოქმედობა, უპასუხისმგებლობა, ჭკვიანი კაცების დევნა) და ზუსტად გვეცოდინება, რაში ხედავს იგი გამოსავალს.

ხედვის საინტერესო რაკურსს ირჩევს კვინი პლათი, როდესაც თავის წერილში „ტრავმა და დისციპლინა“ მოზარდებთან კოლექტიური ძალადობის პრაქტიკებზე მუშაობის სირთულეებს განიხილავს. საილუსტრაციო მასალად ერთგან რუსულ სკოლებში გამართულ სტალინისა და სტალინიზმის გასამართლებებისადმი მიძღვნილ სპეციალურ გაკვეთილებს იყენებს. ამ ჭრილში განიხილავს კიდევ ტრავმის დეზავიურების ანუ სუბიექტის მიერ ტრავმული აღქმის რეალობაზე უარის თქმის თავისი არსით არა მკვეთრ, თუმცა ეფექტურ ფორმებს; აქცენტს კი ტრავმული აღქმის რეალობასთან ერთობ სპეციფიურ დამოკიდებულებაზე სვამს — როდესაც ასე თუ ისე იცი, რაც მოხდა, თუმცა ამაზე დაიდი საბჭოეთის პატრიოტული მითის გავლენით ღიად არ საუბრობ. ხდება ტრავმის სახელმწიფოს ამალღებული (თუ ამამალღებელი) გრანდიოზული იდეით გადაფარვა. აქედან კი წარსულთან დამოკიდებულების ობერქონთა ის სიმრავლე, რითაც არა მარტო სკოლები, არამედ სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუციები გამოირჩევა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენი მოზარდებიც სახელმწიფოს მონოლითურობის ამგვარი იდეით სარგებლობდნენ, როდესაც ეროვნულ გამოცდებზე რეზო ინანიშვილის მოთხრობა „ლარას“ ანალიზს ირჩევდნენ. ეს მოთხრობა მწერლის გვიანდელი პროზის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. იგი არა მარტო თავად ავტორისთვის, არამედ ზოგადად ლიტერატურისთვის ახალი პირობების შექმნის ტენდენციას ასახავს. ამასთან მეხსიერების არქივის გადასინჯვისა და წარსულისგან გათავისუფლების პროდუქტიულ გზას წარმოგვიჩენს და იმ მეტი თვითიდენტიფიკაციისა და მეტი პასუხისმგებლობის შედეგაცაა, რაზედაც ზემოთ ვსაუბრობდით. აბიტიურიენტთა არაადეკვატური შეფასებები იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ ეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის კომისიამ ამაზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება. თავდადებისა და ერთგულების საპასუხოდ ყოფილი ჩეკისტის მიერ საკუთარი ოჯახის წევრების დასამენის მცდელობა ხომ არც მეტი, არც ნაკლები, ზნეობრივ გამირობად და რაინდულ თავგანწირვად იქნა აღქმული. თუმცა ფაქტია, რომ სკოლებს, საიდანაც წამოვიდა ასეთი დამოკიდებულება, საგამოცდო კომისიისგან განსხვავებით, არანაირი რეაგირება არ მოუხდენია.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ხანის ინტერპრეტაციული სირთულე, ცხადია, სათავეს წინა პერიოდებიდან იღებს. რომ არაფერი ვთქვათ ვორონცოვისა და გრიბოედოვის საკულტო ფიგურების დემითოლოგიების (ვიმეორებ, დემითოლოგიების და არა ლანძღვის) აუცილებლობა-



ზე, გარკვეული არა ვართ კუპიურების გარეშე მოთხრობილი ჩვენივე ისტორიის მნიშვნელობებშიც. კვლავინდებურად მყარია ამა თუ იმ მოღვაწის კერპად მოქცევის ტენდენცია, ნაცვლად მისი მემკვიდრეობის სერიოზული ანალიზისა. ჩაიხედეთ თუნდაც ჩვენს ყველათვის ხელმისაწვდომ ხშირად გაურკვეველი წარმომავლობის ვიკიპედიურ ტექსტებში და დარწმუნდებით, რომ მათში ინფორმაციული სიმწირე დიდი ხანია, დასაშვების ზღვარს გასცდა. არაერთი სახელი ისეა მოწოდებული, თითქოს უკანასკნელი წლების მანძილზე არც არაფერი მომხდარიყოს და საბჭოთა „ქრესტომათიული ჭეშმარიტებისგან“ სხვა განზომილებაში არ ამოგვეყოს თავი. რა აზრი აქვს ვითომ პოზიტიურ შეფასებათა ტრადიციული შკალის შენარჩუნებას, თუ აქცენტები ხელუხლებელი დარჩება. თუმცა ამ მხრივ ლიტერატურას, ორიგინალურსა და ნათარგმნს (გნებავთ, აქვე ვიკიპედიური ვნებებიც გავიზიაროთ), ალტერნატიული საშუალებები გამოუჩნდა. ეს, პირველ ყოვლისა, ის საჯარო ლექციები, რომლებიც ხშირად ახალგაზრდებით საესე დარბაზებში იმართება და სამოქალაქო აქტივობის პლატფორმადაა წოდებული. ლევან გიგინეიშვილი მარკესის „პატრიარქის შემოდგომასა“ და ინტონი ბერჯესის „მექანიკურ ფორთოხალზე“ საუბრით, ვილაცის გაგებით, დიდ რისკზე მიდის, რადგან აუდიტორიას თავისუფლებას (ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით) ასწავლის. იმავე მიზანს ისახავს ზაალ ჩხეიძე, გიორგი მაისურაძე, ლევან ბერძენიშვილი, ალექსი ელისაშვილიც თავისი უცნობი ფაქტებით გაჯერებული ისტორიებით თბილისის ძველი ყოფის, კულტურის შესახებ. ოღონდ აქ, ვფიქრობ, ერთი არც თუ ისე უმნიშვნელო დეტალია გასათვალისწინებელი. საუბრისას უნდა წარმოაჩენდე არა იმდენად საკუთარ თავს, რამდენადაც თემას, პრობლემას, რომელსაც იხილავ. ამასთან უმჯობესია, ბოლომდე თუ არა, ნაწილობრივ მაინც გაითვალისწინო სასაუბრო ინტონაციაზე გადასვლის, ასე ვთქვათ, დააპირებული წესები, რომელსაც იცავ ან ვერ იცავ. მაგალითად, თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში მაზდეანული საკულტო ნაგებობის აღმოჩენის სიხარულის სხვისთვის გაზიარების პროცესი არ უნდა გაანელო მსგავსი ფრაზებით: „აი, ამასაც რომ გაუკეთდეს რესტავრაცია, იქნება მარწყვივით“, ან „ესაა კლუბიერა რამე“, „შენობები ხათრით დგანან...“

ლევან ბერძენიშვილის ლექციას „ვეფხისტყაოსნის ეპოქა“, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა უკანასკნელ წლებში პირადად ჩემ მიერ მოსმენილ მსგავსი ტიპის საჯარო გამოსვლების შორის, ფაქტობრივად, იქ მივყავართ, საიდანაც დავიწყებ კიდევ საუბარს: ავტორისა და ლიტერატურის დაუნერულ ვალდებულებებზე მომხდარ განცდილის წინაშე ანუ წარსულის რეპრეზენტაციების მზაობაზე, ხსოვნისა და დაზინების გადაუდებელ დაბალანსებაზე აქამდე მოუწყობედ ისეთ ქვეყანაში, როგორც ჩვენია. ლევან ბერძენიშვილმა, ამ შემთხვევაში, ალბათ, უფრო როგორც პოლიტიკოსმა (მინდა, აღვნიშნო, რომ ბოლომდე არასოდეს ვიზიარებდი მის პოლიტიკურ შეხედულებებს), თავის დროზე ბევრი რამ გააკეთა „ძველი უფარგისი ფესვიდან“ თანამედროვე მწერლობის სრული მონყვეტისათვის. თუმცა რამდენად დააკმაყოფილა მიღებულმა შედეგმა, ეს სწორედ ახალი გამოცდილებებით „ვეფხისტყაოსნისკენ“ მიბრუნების მისეულ მონდობაში გამჟღავნდა. ლექციის პათოსი რუსთაველის ღია და საიდუმლო კოდების ამოცნობის აუცილებლობის შეგნებაა და არა მარტო ეს. ლექტორის სურს, ეს უნიკალური ცოდნა ჩვენივე იდენტობის საფუძვლად დარჩეს.

ერთი რამ ცხადია — წარსულის შეფასებებზე გახარჯული ავტორებისა თუ ლექტორების, ისევე, როგორც მათი მსმენელ-მკითხველების იაფფასიან კომპრომისებზე დაყოფილება, ვფიქრობ, გაჭირდება. ისინი უკვე ვერ იქნებიან განურჩევლად დამეინყებელთა შორის და არც ბოსხის იმ ერთი ცნობილი ხომალდის (ცხადია, „პრიყვთა ხომალდს“ ვგულისხმობ) გემბანზე ისურვებენ ასვლას, რომელიც გულარხინთა გამო ქვიშაში ჩაფლულა და ვერ იძვრის. და ეს ძალიან კარგია.



სალიმ ბაბულალოლი

ლიტერატურის გაკვეთილი მეთევზის პაპოპოპისათვის

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩვევებსა და ყოველდღიურ დამქანცველ საქმეს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დაბადებას და დასალიერის მიმართულებას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ არვინ ცხოვრობს ისე, როგორც ელოდება დღის გათენებას. მივდივით და პირველ წინადადებაზე ვფიქრობდი გზა-გზა, იგი ფურცელზე დაახლოებით ამნაირად მოეწყობოდა: ადამიანს ლაპარაკი უნდა ყოველთვის, მაგრამ ხშირად კი იქ არ არის, სადაც უნდა იყოს, და არ არის მთლად სასურველ გარემოცვაში.

ყველა მარცხდება თავის თავთან, და როგორც ჩრდილი იბლანდება თავის ფეხებში. ამას როცა გრძნობს, ფეხებს მიწას ურტყამს სიმწარით, მაგრამ ჩრდილებს ვერვინ გათელავს.

რუსული ფილმი მახსოვს: ჩრდილები შუადღით ქრებიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ: მზის ხუმრობა ნივთებთან და ადამიანებთან. უჩრდილოდ ხატავდნენ ადამიანებს აღმოსავლეთში, ეს ალბათ მაშინ მზისგან ისწავლეს. ალბათ ეს არის მინიშნება იმაზე, რომ ყველგან, ყოველთვის მოსალოდნელი არის სიკვდილი.

8.15-ია. ძვალ-რბილში გვატანს დრო, ვით სიცივე. ცოტა ხანში ზარი იქნება. ზარს ელოდება ყველა ყოველთვის...

წიგნის თარო საამაყო არ არის სულაც, საშიში კია. წარმოიდგინეთ, რომ შანსი აქვს ყველას, სულ ყველას, 100 წელი იცხოვროს ქვეყნად, და პირველ დღიდან შეეძლოს კითხვა. დღეში ერთ წიგნს თუ ვიანგარიშებთ, დაახლოებით 36 500 წიგნი გამოვა ბოლოს. მსოფლიოში კი უამრავი წიგნია ახლა. ამიტომაც წიგნებით არა, საქმეებით დაიკვებნეთ, უმჯობესია. დაიმახსოვრეთ, ჩვენ მუდამ ცოტა გვეცოდინება. თუმცა არის წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხოთ აუცილებლად...

ბედი არ არჩევს, ახალია თუ ძველის ძველია. იგი ჩვენ გვერწყმის. აი, ამბავი ლელისა და მეჯუნისა, ოღონდ ცალმხრივი. ასეთს კი, ასეთს „ადნალუბი“ ჰქვია რუსულად... თუმცა რა აზრი აქვს, თავი ცოტათი თავი თუა, ცოტათი კიდევ ვარია გახლავთ.

სიტყვები ჩვენი, ჩვენი სიტყვები. ბავშვებო, იცით, ისეთებიც არსებობენ, რომ ისინი, რომ არ ყოფილიყვნენ, არაფერი შეიცვლებოდა. მაგალითად, სიტყვა ასფალტი. ეს მაშინ ვიგრძენ, როცა ჩამოველ სანაპიროზე. პატარა ყვავილს ამოურღვია სქელი ასფალტი, ამით ყვავილმა მიანიშნა მიწისა და გზის სიძლიერე. მასწავლებელი გვყავდა ჩვენ ერთი, იგიც ვით ყველა, აორთქლდა ყოფის ცხელი ქვაბიდან. აღელვებული შემხვდა ერთხელ, გული გამიხსნა. ერთი ქალი შეუჩნდა თურმე. „კალთა ჩამოიბერტყე, მოიშორე ეშმაკიო“, უთქვამს ქალისთვის. ქალს გასცინებია, ჭკუის დარიგება არავის უყვარს. ადამიანი, ვიდრე ალიქვამს თავის სქესს კარგად, პირველ დღეებში ტირის და მოსთქვამს.

სალიმ ბაბულალოლი 1972 წელს დაიბადა აზერბაიჯანში. მისი ლექსები და ეს-სეები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. სხვადასხვა წლებში იყო მონაწილე არაერთი კონფერენციის, სემინარის, წიგნის გამოფენა-გაყიდვისა თუ სხვა მნიშ-ვნელოვანი ლიტერატურული ფორუმისა. 2002 წელს საუკეთესო თარგმანისთვის სალ-იმი აზერბაიჯანის ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრომ გამოაჩინა, ფიზუ-ლის საერთაშორისო ლექსთა შეჯიბრის ყიურიმ კი 2004 წელს ანკარაში სპეციალური ჯილდო გადასცა. ბაბულალოლი „ოქროს კალმის“ პრემიის ლაურეატიც; დაჯილდოებულია „Salý ART“ ჯგუფის დიპლომით (სტამბული 2006) და აზერ-ბაიჯანის პრეზიდენტის სტიპენდიანტია. ამასთანავე, თავმჯდომარეობს აზერბაიჯა-ნის მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთ-ბათა ცენტრს; რედაქტორობს ჟურნალ „ქითაბჩის“ და „ATV-PRES“-ის გამომცემ-ლობის პრეზიდენტია. გამოცემული აქვს ლექსების კრებული – „ეული“ (ბაქო, 1996), „პოლკოვნიკს არავინ წერს“ (ბაქო, 2010), „საივნისო სიმღერები“ (სტამბული, 2006), „მიძღვნა გულისცემისადმი“ (ვროსლავი, პოლონეთი, 2007), „ქარის საპირისპიროდ მიმავალი ქალი“ (თებრიზი, ირანი, 2009). არის აზერბაიჯანის მწერალთა კავშირისა და ცენტრალური აზიის პენ-კლუბის წევრი.

თუ გადაწყვეტთ, რომ მწერალი გახდეთ, არ აცდებით სატირისა და სარკაზმის წვიმა. მაშინ ტირილი თუ მოგიწდებათ, რწმენა მაინც შენარჩუნეთ. და იცოდეთ, რომ ნამდვილი რწმენა ურწმუნობის სიძლიერით არ იზომება, თუმცა მისით სტაბილირდება. მუდამ გახსოვდეთ, ყველა შედეგი და ანგარიში გარკვეულწილად მცდარი არის თითქმის ყოველთვის. „ერთიო“-ო ვამბობ, და იმ წუთში ეს მე გახლავართ, ხვალ სხვა იქნება. თქვენ, ჩვენ და სხვანი.

თუ არ დავნერთ ნაცვალსახელებს, არაფერი არ შეიცვლება. მაგალითად: მე სკოლაში მივიღივარ ახლა. ანდა: სკოლაში მივიღივარ ახლა. მე, ქედმაღლობა და სიამაყე. რეფორმის არა, არსებობს შეცვლის საჭიროება. ისევ დუმილი...

დუმილი რითმავს სუყველა სიტყვას. ისევე ნათლად და გასაგებად, ვით თავად არის. იგი ყველა სიტყვის დედაა.

მომხრე არა ვარ თუნდაც პირადი გამოცდილების სულ ბოლომდე გაზიარების. და გულწრფელობა თქმაში კი არა, უთქმელობაში არის მეტადრე. თუ დუმილი დროული არის, წრფელია იგი. მაგალითისთვის ჰკითხეთ, მეთევზე მამიკოს ჰკითხეთ, და იგი გეტყვით, რატომ იჭერენ და ჰკლავენ თევზებს? მაშინ თევზები დუმილჩამდგარ თვალებს მოგაპყრობთ. ეს არის ღრმა და ზუსტი პასუხი. რეპროდუქციაში არ აგერიოთ ესე ცხოვრება, იგი გახლავთ ორიგინალი. მისი გაყოფა, ან გამრავლება, რა თქმა უნდა, შემცირებაა. და ნუ დახარჯავთ თქვენ ამ ცხოვრებას სიცოცხლესა და ლამაზ ტექსტებში.

მუზეუმები ხალხის მზითვია სახელმწიფოსთვის... სულ სხვა რამის თქმა მინდოდა ახლა. გალერეაში, ან მუზეუმში თუ მოხვდეთ ოდეს და სულელური ნამუშევრის წინაშე მდგარი, უფრო სწორად, თავმეყრილი ხალხი თუ ნახოთ, იქვე სულ ახლოს დოინჯუმეოყრილ მხატვარსაც ნახავთ. მას ფურცელი მიეცით უმაღ და სთხოვეთ, რომ დაგინეროთ ორიოდ სიტყვით, რა აზრსა და შინაარსს დებს ის ამ ნახატში. თუ შეყოყმანდა და ვერაფერი ვერ დაგინერათ, გნამდეთ, ნახატი გაცილებით ღრმა ყოფილა, ვიდრე გვეგონა, ზუსტად ისე, როგორც თქვენი ნაფეხურები. მნამს, რომელიღაც წმინდა ტექსტში შეხვდებით ასეთ წინადადებას: „მან ცა და მიწა შექმნა და მიხვდა, რომ ლამაზია ეს ყველაფერი“. თუ წაიკითხავთ, იცოდეთ, რომ ეს კაცის ხელით ჩაწერილია. მიხვედრა, თუნდაც მოგვიანებით რამის მიხვედრა ადამიანური თვისება გახლავთ.

ბავშვებო, თქვენთან როს მოვდივით, წიგნის მოტანას ვაპირებდი, რომელსაც ყდაზე კალმახისა და მოხუცი მეთევზის სურათი ექნებოდა გამოსახული.

თუმცა შემეშინდა, ვაი თუ თევზი დაგისხლტეთ და გადაეშვას ოცნების ზღვაში... მოხუცი კი... თქვენს წინაშეა.

თარგმანი იმირ მამედლინი



პილნიუსი

ბევრი არაფერი სჯობს ბებიაჩემის კაბებით ფრიალს, ჩემი ტოლა ბებიაჩემის. სანამ პატარა ვიყავი, შევეძვრებოდი ჩუმად კარადაში, ამოვქექავდი ლამაზ-ლამაზ სარაფნებს, თმას ისე ჩამოვიშლიდი, როგორც მას ჰქონდა ახალგაზრდობის რომელიღაც სურათზე და დაფრიალებდი სარკის წინ. მერე დიდი ხნით მიმავიწყდა ეს ამბავი, ბებიაჩემმაც დაივიწყა თავისი ჭრელი კაბები და გამოეხვა შავებში. მეც ჯინსებით სიარული მერჩინა, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ერთი გადასარევი ბიჭი ჩამივარდა გულში და ჯინსებიანი და ჩამონელილ ჟაკეტისანი ჩემი თავი აღარ მომეწონა, მივუტყუე ისევე ბებიაჩემის სარაფნებს. ამოვქექე ყველაფერი და სათითაოდ მოვისინჯე ყველა კოპლებიანი და ჭრელა-ჭრულა კაბა. უჰ, როგორი კარგია-მეთქი და გამოვაფრიალე გარეთ, მიყურა მიყურა ბებიაჩემმა, თითო კაბაზე ათასჯერ შემომაბრუნა, რალაცნაირი დარდი ჰქონდა, მივუჯექი მუხლებთან და ჩამომინა თმა, ასე ვატარებდი შენხელა რომ ვიყავიო, ზუსტად ჩემნაირი ნაწნავი გაქვსო. დიდხანს მეფერა თმაზე, მერე მტკივანი მუხლები ძლივს აიტანა მეორე სართულზე და კარგა ხანს არ გამოჩენილა. ვიჯექი იმის დარგულ ყვავილებში, იმის გაზაფხულში და მესმოდა როგორ გადადიოდა ქარი ერთი ხიდან მეორეზე. არც ფარდა შერხეულა, არც რაიმე ხმა გამიგონია ზემოდან, ვიჯექი გატრუნული და ველოდებოდი. როდის როდის ჩამოვიდა, დაპატარავებული, უფრო სევდიანი, ყვავილებიანი კაბა ეკავა ხელში, სუნთქვა რომ შეგეკვრება ისეთი ლამაზი, რომ ჩაიცვამ და გეგონება — გოგო არ დადის შენზე მშვენიერი ამ გაზაფხულზე. პირველად ვნახე ეს ლურჯყვავილებიანი, გულამოჭრილი კაბა, ერთი კი გავიფიქრე, აქამდე როგორ არ შემხვედრია-მეთქი, მაგრამ მერე კაბა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე მისი გამოჩენის ამბავი და მიმავიწყდა. ვაფრიალე დიდხანს და მივუჯექი მერე გვერდზე ბებიაჩემს, დამადო მხარზე თავი პატარა გოგოსავით, ისე ამოისუნთქა, ვიფიქრე, მხარზე რომ დავიხედო დიდი ქვები და გამხმარი ხეები დამხვდება-მეთქი. იჯდა დიდხანს ჩუმად და დაიწყო მერე უცებ, ეს კაბა მეცვა პაპაშენმა რომ მომიტაცაო, არდადეგები იყო და ჩაის საკრეფად ვიყავი, იქიდან ერთად მოვდიოდით გოგოები გზაზე რომ დამხვდნენ და მანქანაში ჩამტყუნესო, ვიყვირე, ვიყვირე და ვერაფერს გავხდით.

გაეშრი და შემომიცოცდნენ კანში ჭიანჭველები, სულ ცოტათი მახსოვს პაპაჩემი, ზორბა, კეთილი კაცი იყო, დიდი ხელებით, დილაობით ლოგინში ჩამიგორებდა, ზღაპრებს მიყვებოდა, დათვებს და მგლებს მიხატავდა. ეს დევივით კაცი ამ გაცრეცილ გოგოს ხელს როგორ ახლებდა-მეთქი. მერე ისიც გამახსენდა, როგორ ჭრიდნენ ხოლმე ერთად ჭინჭარს ჭუკები-სთვის, როგორ ეხმარებოდა საჭმლის კეთებაში, როგორ უთევდა ბებიაჩემი ღამეებს გაყინულ საავადმყოფოში. ეს როგორი ამბავია-მეთქი ვფიქრობდი და მეტყუებოდა გული. ბებიაჩემი კიდევ ყვებოდა ნელა და სევდიანად. ამდენი მთა გადმომატარა, თან ისეთი თვალები ჰქონდა და ვერჩიო, ან კი სადაღა და როგორ უნდა დაგბრუნებულიყო. თურმე, არდადეგების მერე ვიღლიუსში მიდიოდა სასწავლებლად, ეს რომ ცხრა მთას აქეთ გადმოსახლდა, სხვა გოგო გაუშვიათ ბებიაჩემის მაგივრად, ეს თქვა და ჩამოუგორდა ცრემლი. ჩემმა ცოდვამ დაავადმყოფა საცოდავი პაპაშენიო — ესლა მითხრა და ნავიდა თავის ხბორებთან. მომენურა, მომენურა გული.

ვიჯექი დიდხანს, მეგონა მინაში ჩამეზარდა ეს ნაწნავი, ეს ფეხები და ვეღარც ავდგები-მეთქი. ჩემივე მხარზე მქონდა ნიკაპი ჩამოდებული და უცებ ვიგრძენი ჩაის სუნი, ზაფხულის ხვაზი და მინდვრების მტვერი. მერე ჩემი ტოლა ბებიაჩემიც დავიანახე, ამ მინდვრებიდან მთაში გადმოსახლებული, შემინებული და გაცრეცილი. მერე ისიც გამახსენდა, როგორ მიგზავნიდა წვალებით შეგროვებულ კაკიკებს აბიტურიენტობისას, კარგად მომეზადეო, ისიც, როგორ წვრილად მაყოლებდა უნივერსიტეტის ამბებს, როგორ სხვათაშორის მეკითხებოდა წასვლას ხომ არ ფიქრობო. გამახსენდა ყველაფერი და ამეხვა ცხვირით.

ანი ლაზვიაშვილი

ჭიანჭველების დღე



ჭიანჭველა ამოცოცებულიყო მუხლზე და კაბაზე გადმოძრომას ცდილობდა. ნელა მოძრაობდა, მოზომილად. მერე ქარმა ნამოუბერად და თან გაიყოლა. ვეღარ მივყოლე თვალი, ვიყურე, ვიყურე ძირს და ველარ დავიანახე. ბინდებოდა უკვე, არც ბებიაჩემის ხმა ისმოდა. ჩამწყდა გული, ძალიან ჩამწყდა.

სს მდინარე ღამურალია

ფარვინი თეირანის აეროპორტში დამხვდა, დიდი, დიდი კეთილი თვალები ჰქონდა. უამრავ ადამიანში მოიკვლევდა გზას და თან ჩემს სახელს ყვიროდა. ჩამკიდა ხელი, თავშალი გამისწორა, აეროპორტში მკაცრი კონტროლიაო და გამიღიმა ისე რომ ყველა შიში, რომელიც თბილისიდან გამოვიყოლე, ერთბაშად ჩამომეფანტა მხრებიდან. სადღურამდე ათასი რამის მოყოლა მოასწრო, უგემრიელესი ტკბილეულიც მიყიდა და ჩავსხედით ისპაჰანისკენ მიმავალ ავტობუსში. ვიჯექი ფანჯარასთან თვალგაფართოებული და ვუყურებდი უდაბნოს გზებს, ბრინჯის ყანებს, საზამთროთი და ნესვით დატვირთულ მანქანებს, უზარმაზარი მზე ჩადიოდა მინდვრებს იქით. ოღონდ არ გამეღვიძოს, ოღონდ სიზმარი არ იყოს-მეთქი ვიმეორებდი. დამშრალ მდინარეზე ძალიან გრძელი და ლამაზი ხიდი გადვიარებდა, თაღებიანი, უზარმაზარ კალაპოტში ბალახები ამოსულიყო და ბიჭები ველოსიპედებს დააქროლებდნენ. ეს ამოდენა წყალი სად წავიდა-მეთქი ვკითხე. გამომხედა და ბოლოს ექვსი წლის წინ იწვიმო, დახარა მერე თავი და გავაგრძელებოდა გზა.

ფარვინის ოთახში დავბინავდი, ჩვენი ფანჯრიდან ზუსტად ეს ხიდი და მდინარე ჩანდა. უთენია მალევიდა, მზის ამოსვლამდე იწყებოდა ლექციები, საზაფხულო კურსებზე ვიყავი ჩასული და ვცდილობდი ყველაფერი მომესწრო. ფარვინს დაეყვადი ყველგან, მთელი ქალაქი მაჩვენა. ჩამოვსხდებოდი ხოლმე სადმე პარკში, ათას რამეზე ვლაპარაკობდი და აჯილს ვჭამდი. შუადღისას, ძალიან რომ დაცხებოდა, მივეყრებოდი ხალიჩაზე და მიყვებოდა როგორ უნდოდა პარიზში სწავლის გაგრძელება, საერთოდაც ცოტა ხნით მაინც იქ ცხოვრება. საღამოს ჩაის სმით ვტკბებოდი და ფარვინის დედის გამოცხვარი ტკბილეულით. მამა არ ჰყავდა და გაჭირვებით გაჰქონდათ თავი. დედა მასწავლებლად მუშაობდა, ფარვინი კიდევ უცხოელი სტუმრების გიდობით მოულობდა ცოტა ფულს, ამისთვის ყოველ საღამოს ინგლისურში ვარჯიშობდა, დადიოდა ოთახში და წარმოსახვით ტურისტებს მთელი არტისტიზმით უყვებოდა ისპაჰანის ღირსშესანიშნაობებზე. საზაფხულო კურსების მონაწილეთა მასპინძლობისთვის აღებული თანხაც ეხმარებოდა. ფარვინი ყულაბაში აგროვებდა ფულს პარიზისთვის, მაგრამ ხან დედა ხდებოდა ავად, ხან ტელევიზორი გაფუჭდებოდა, ხან რა და ხან რა. და ფარვინიც აკლებდა ყულაბაში შეგროვილ ფულს.

ქოთნის ყვავილებით სავსე ჰქონდათ

პატარა აივანი, აივანიც არ იყო, პირდაპირ მოცუტქნულ ეზოში გადიოდა. ჩამოვსხდებოდი მე და ფარვინი ამ ყვავილებში და ვჭორობდით ბიჭებზე, მეზობელ ჰასანზე ვიცინოდით, აივანზე გამოსულ, უთავშლო, ჭრელკაბიან ფარვინს რომ მოჰკრავდა თვალს და დახრიდა თავს, მე ჩემს ბიჭზე ვუყვებოდი და იმაზე, რომ ჩემს ქალაქში შეიძლება ისე ისეირნო ბიჭთან და ისე აკოცო, რომ იმის ცოლი არ იყო. გადასარევედ იცოდა ფარვინმა, როგორ ცხოვრობდნენ სხვა ქვეყნებში, სხვა ქალაქებში, მაგრამ ყულაბის ავება არ უხერხდებოდა, ეგეც რომ არა, ეს სახლიც უყვარდა, დედამისიც და მგონი ჰასანიც. ერთი უცნაური ჩვევა ჰქონდა ფარვინს, ჩაის რომ დავლევდით და ტკბილეული მოგვრჩებოდა, დაფშენიდა და ეზოში, კიბესთან ყრიდა. მოგროვდებოდნენ ჭიანჭველები, გადაშავდებოდა იქაურობა, იდგა ფარვინი, დიდხანს უყურებდა, როგორ დაფუსფუსებდნენ, როგორ მიათრევდნენ თავისზე დიდი ნამცეცხვებს და ელიმებოდა.

წამოსვლის წინა საღამოს ფარვინის უნივერსიტეტული ჰადი მოვიდა თავის ოჯახთან ერთად. მივხვდი, რომ არ გაკვირვებია ფარვინს, აქამდე ამ ბიჭზე არაფერი მოუყოლია, წყალს იგუბებდა, თევზი იყო. ყველა რომ ნავიდა, ჩამილო კალთაში თავი, დახუჭა თვალები, არ უტირია, არც რამე მოუყოლია. დანვა მერე სანოლში, გადაბრუნდა კედლისკენ და ძლივს გასაგონად მითხრა, დედა მიძიმედა არის ავადო, — ეგ იყო და ეგ.

ავტობუსამდე მიმაცოლა, მეზუტებოდა დიდხანს, ვცდილობდი გამეღიმა და აუცილებლად ჩამოდი-მეთქი თბილისში, მერე იქნებ რა იცი, რა მოხდეს და პარიზშიც ნავიდეთ-მეთქი. დამპირდა ჩამოვალო და ჩანთიდან პატარა ქოთნით ყვავილი ამოაძვრინა. სწრაფად ავედი ავტობუსში, არ მინდოდა უკან მიმეხედა. მერე ფანჯრიდან გავიხედე, მდინარე ისევ დამშრალი იყო, მიდიოდა ფარვინი ნელა, ფრთამოტეხილი ჩიტისვით, შავ ბურკაში გამოხვეული, ბოლოს იმასლა მოვკარი თვალი, როგორ შეერია სხვა შავ მოსასხამიანებს. ყველანი ჩიტებს გავდნენ. სევდიან ჩიტებს. ან უფრო ფარვინის მოფუსფუსე ჭიანჭველებს.

ღრუბლები გროვდებოდა ცაზე.

თავჯახის კედელი

არის ღამეები, როცა საერთოდ არ მძინავს. საერთო კედლის იქით ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხოვრობს, პატარა გოგოც ჰყავთ, ქერა, დიდი და ლურჯი თვალის. ალბათ, მეათე კლასში ვიქნებოდი, რომ დაქორწინდნენ, გოგოც ჩემს უბანში ცხოვრობდა, საღამოობით ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ ასწავლიდა ეს ჩემი მეზობელი ამ გოგოს ველოსიპედის ტარებას, ყვავილებსაც ჩუქნიდა და მის გამო სხვა უბნელებთან ჩხუბობდა. ჩვეულებრივი თბილისური სიყვარულის ისტორია იყო. ერთ ღამესაც გამეღვიძა და ხე დამხვდა ამ ჩვენს საერთო კედელში, გამხმარი ხე, საცოდავად დაკრუნხული ტოტე-

ბით. კი შემეშინდა, მაგრამ დავიძინე მაინც. მერე წყალმა დაიწყო გადმოსვლა, ჭაობის წყალმა, მწვანემ, დახავსებულმა. გვივლის-მეთქი და დავიძინე ისევ. ყვიროდნენ გამუდმებით და ყველაფერზე. ავდექი და თევზები მივახატე ამ ჩემს კედელს, პატარა, პირში წყალგაგუბებული თევზები. მშვიდად ვიძინებდი ამის მერე, მთების ჩამონგრევა არ მალევიდა, არა უცებ მოვარდნილი მდინარე. მშვიდად ვარ, ისინიც დამშვიდდებიან, ან საერთოდაც მე რა უნდა ექნა-მეთქი.

მერე უცნაური მხეცი გამოჩნდა ქალაქში, თვალით არავის უნახავს, მარტო მოკლულ გოგოებს პოულობდნენ ხშირად. ზოგს სასაცილოდ არ ყოფნიდა ეს ამბავი, მე კიდევ შემეშინდა, ძალიან შემეშინდა. ეძებდნენ ამ მხეცს, ხან სად ჩაუსაფრდებოდნენ, ხან სად. ყოველ დილას გულგახეთქილი ვიყურებოდი ფანჯარაში, დავინახავდი ამ გოგოს, ბავშვი რომ მიყავდა ბაღში და ამოვისუნთქავდი. მაგრამ ეს მხეცი ნამდვილად არსებობდა და თანაც ახლოსვე იყო, ვგრძნობდი.

გოგოს მშობლები მოვიდნენ ერთხელაც, მესმოდა კედლის იქიდან როგორ სლუკუნებდა ეს გოგო, დედამისის ტირილიც მესმოდა, მარტო მამა ლაპარაკობდა, შენი ოჯახი ეს არის, შენი ქმარი და შენი სახლიო. მეტი აღარაფერი გამიგონია, ფანჯრიდან დავინახე, როგორ გავიდნენ მშობლები სადარბაზოდან და იქ იყო ის მხეციც, უკან მიყვებოდა იმათ. იმ ღამით აღარც თევზები შევლოდა, იმხელა ხმაზე ყვიროდნენ. ავიფარე ყურებზე ხელი და უცებ ვიგრძენი, როგორ გამომიძვრა ისეთივე მხეცი მაჯებიდან. მერე სხვა მეზობლებთანაც დავინახე. ნელა გული გამისკდეს-მეთქი, — ვფიქრობდი.

ლექციებიდან გბრუნდებოდი და ტროტუარზე იჯდა იმათი პატარა გოგო, დიდი ადამიანისვით თვალები ჰქონდა, მივუახლოვდი და დავინახე, ორი ჭიანჭველა დეუჭირა და ცოტაც და გასრესდა. უნდა ვუშველო-მეთქი და მივუჯექი გვერდით, გადავუსვი თმაზე ხელი და ყველაფერი სიზმარია, მარტო ეს მზიანი დღეა სინამდვილე, ამ ჭიანჭველების სიცოცხლე, ჩვენი ხელების ჩაკიდება-მეთქი. მიყურა, მიყურა და დასვა ჭიანჭველები. მერე ნაყინის საჭმელადაც გამომყვა. იმის მერე ცოტა უკეთ ვარ, იმ ურჩხულს თითქოს ხელები და კუდი აღარ აქვს, მაგრამ ყველა გათენებულ ღამეში კბილები ემატება, ალბათ ხელები და კუდიც გავზრდება. უნდა შევულოცო ამ ურჩხულს, ჩემს ღამეებს, იმ პატარა გოგოს თვალებს, მზიან დღეებს და ჭიანჭველებს.

ჯერ თევზებს მოვამორებ ამ კედლიდან. მერე კიდევ მოვიფიქრებ.

ჭიანჭველების დღე

გაზაფხული მიყვარს, გამოვხვევთ მე და ბებიაჩემი პომიდვრის, ბადრიჯნის, კომბოსტოს ჩითილებს, ჩავყრილი ნაჭრის პატარა ტომრებში ათასნაირ მარცვალს და ვთხრით მერე მინას. ჩავრგავთ, ხელით მინას მოვუმაგრებთ, წყალს დავუსხამთ და შევულოცავთ. მერე მინას ხელებს პატარა მდინარეში დავიბანთ, ბალახზე ჩამოვსხდებით და პურს და ნაშემოდგომარ ვაშლს შევჭამთ, ან ზამთარგამოვიღო თხილს ჩავაკნატუნებთ. ბებიაჩემს ყელის ჩასატკბარუნებელს რა გამოუღვია.

მომენტარება ხოლმე იმ მინის სუნი და ბებიაჩემის ხელები. ახლაც მენატრება. უნდა ჩავიდე და ჭიანჭველების დღე მოვანყო. ასე იქნება — ტკბილ პურს გამოვაცხობთ, როგორც ფარვინი აკეთებდა, დავტეხავთ და დავყრით ეზოში. მოგროვდებიან, გააშავებენ ეზოს და თავიანთ ნილს წაიღებენ, შელოცვასაც მოიგონებს ბებიაჩემი, აი, ასეთს:

კარგად იყვენ გოგოები, გამხმარი ტოტები ნუ შეამინებთ, ჭაობის წყალი, როცა უნდათ, ჭრელი კაბები ეცვათ და შინ დაბრუნების არ ეშინოდეთ, რომელ გზაზეც უნდა დადგნენ, იმ გზის ღმერთმა დაიფაროს, მშვიდად იყოს ჩემი გოგო, საღამოს სამსახურიდან რომ ბრუნდება და ბნელ აღმართს ადის, ნუ შეუმინდება, რომ ზემოდან იმ გზას ვინმე ხელზე გადაიხვევს, ფეხქვეშ მინას გამოაცლის, ოღონდაც ნუ შეეშინდებათ, ოღონდაც.

უნდა მოვანყო ჭიანჭველების დღე. ბებიაჩემის, ფარვინის და სხვა გოგოების დღე. უნდა შევულოცო.

თეონა დოლენჯაშვილი

„თიბისი ბანკი“ მრავალ კულტურულ, საგანმანათლებლო თუ სოციალურ პროექტს ახორციელებს. 2003 წლიდან ბანკი ლიტერატურული პრემია „საბას“ თანადამფუძნებელია. სხვადასხვა ნომინაციაში წლის საუკეთესო ნამუშევრის დაჯილდოება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენაა საქართველოში. თუმცა დიდი ხანია, „საბა“ გაცდა ცერემონიის ფარგლებს და გაც-ილებით ფართო მასშტაბი და შინაარსი შეიძინა. საზოგადოება იცნობს „საბას“ არაერთ პროექტს — ელექტრონული ბიბლიოთეკა, „დასაბამიდან საბამდე“, შეხვედრები ლიტერატურული პრემიის ლაურეატებთან მწერალთა სახლში და სხვა. დაახლოებით სამი თვეა, რაც „საბამ“ მორიგი სიახლე შესთავაზა საზოგადოებას — პროექტი „საბა-ბი“, რომელიც დღეს რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება. გვესაუბრება „საბა-ბის“ პროექტების ორგანიზატორი, მწერალი თეონა დოლენჯაშვილი.

— პროექტის ერთ-ერთი მიმართულებაა „ფიქრის საბა-ბი“. რას გულისხმობს იგი?

— ეს გახლავთ ქართველი მწერლების ვიდეობლოგები, რომელსაც კულტურის არს „არტარეასთან“ ერთად ვთავაზობთ მაცურებელს. შეიძლება ითქვას, ამგვარად ფიქრის საბაბს ვაძლევთ საზოგადოებას. საბაბი კი არაერთია. მწერლები მათთვის მნიშვნელოვანს არჩევენ და ყოველ სამშაბათს „არტარეას“ ეთერით აქტუალურ, საინტერესო თემებზე — ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, სოციალურ თუ საზოგადოებრივ პრობლემატიკაზე, განათლებაზე და, ზოგადად, ცხოვრებაზე საუბრობენ. ეს ერთგვარი ტრიბუნაა მათთვის, ხოლო მაცურებლისთვის საშუალება — უკეთ გაიცნოს თანამედროვე ქართველი მწერლები, მოუსმინოს მათ ნააზრევს. თემის არჩევამ შეზღუდული არაფერია არის და ამიტომ ვიდეობლოგები, სტილისტურადაც და შინაარსობრივადაც, მრავალფეროვანია. უკვე არაერთი ავტორი ჩავსწრეთ — „საბას“ ნომინანტები და ლაურეატები; მათ შორის, წლებგანდელი დებიუტანტები — ტორესა მოსი და ლია ლიქოკელი. მაცურებელმა ასევე იხილა გიორგი კეკელიძის, ბესო ხვედელიძის, გაგა ნახუცრიშვილის, ანა კორძაია-სამადაშვილის, შოთა იათაშვილის, ბექა ქურხულის, დიანა ანფიმიადის, ნენე კვინიკაძის ვიდეობლოგები, მოუსმინა უფროსი თაობის მწერლებს — ლია სტურუას, ზურაბ კიკნაძეს, გივი შაჰნაზარს. „ფიქრის საბა-ბის“ ვი-ზუალური მხარეც ისეთია, რომ ვიდეობლოგები ერთგვარ სატელევიზიო ესსეად თუ ტელენოველად აღიქმება. მწერლის სამოქალაქო პასუხისმგებლობა ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომ მიხარია, როდესაც ჩვენი ავტორები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან თემებს ეხებიან. ასეთი იყო, მაგალითად, ბექა ქურხულის „ვაშლი და ნიგნი“, რომელიც ახლახან გავიდა ეთერში და კონფლიქტურ ზონაში მცხოვრებ ბავშვებს ეხებოდა. საერთოდ, ყველა ვიდეობლოგი განსაკუთრებულია და ავტორების ინდივიდუალიზმს წარმოაჩენს. ძალიან საინტერესო და კარგი მწერლები გვყავს, ეს ამ პროექტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

— პროექტის მეორე კომპონენტზე, „შეხვედრის საბა-ბზე“ გვესაუბრეთ.

— რაც შეეხება „შეხვედრის საბა-ბს“, ვფიქრობ, ეს პროექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია — ერთგვარი სოციალურ-საგანმანათლებლო და კულტურული აქცია. ჩვენი მიზანია, „საბა“ გაცდას დედაქალაქს, გავიდეს რეგიონებში და მაღალმთიან სოფლებსაც კი მიანვიდინოს ხმა. ამისთვის ორი სახის აქტივობა გვაქვს — „საბას“ ლაურეატების შეხვედრა მკითხველთან და სოფლის

სკოლებისთვის „საბას“ ელექტრონული ბიბლიოთეკის გადაცემა.

— ბიბლიოთეკას რა სახით გადასცემთ?

— სკოლებს ვჩუქნით ლეპტოპს, რომელშიც ექვსსაზე მეტი ნიგნია ჩატვირთული და ასევე, სპეციალურად დამზადებულ „საბას“ სამკითხველო სტენდს, სამკითხველო კუთხეს მაგიდით, სავარძლით, განათებითა და ყველა საჭირო აქსესუარით, რომ კითხვა რაც შეიძლება მოსახერხებელი და კომფორტული იყოს ბავშვებისთვის. მაღლობა მინდა, ვუთხრა ქართველ გამომცემლებს, ისინი აქტიურად ჩაებნენ ამ აქციაში და ნიგნების



ელექტრონული ვერსიები უსასყიდლოდ გადმოგვცეს. ბავშვებისთვისაც საინტერესოა ასე კითხვა. ამასთან, ცოტა უჩუქოლოც არის, რადგან აქამდე კომპიუტერი სხვა დანიშნულების ნივთად მიაჩნდათ, ახლა კი ხედავენ, რომ თურმე მასში ნიგნის კითხვაც შეიძლება. არჩევანიც დიდი აქვთ, ნებისმიერი ნიგნი ხელმისაწვდომია მათთვის, სასურველ ლიტერატურას სწრაფად პოულობენ და ეს პროცესიც ახალისებთ. სოფლის ბიბლიოთეკების მწირი ან საერთოდ არარსებული ფონდების ფონზე, „საბას“ ელექტრონული ბიბლიოთეკის ჩუქება სკოლებისთვის ძალიან საშური საქმე მგონია.

— ალბათ შეუძლებელია, თითოეული რეგიონის ყველა სოფლის სკოლას ესტუმროთ. რის მიხედვით ირჩევთ ადრესატს?

— ბევრი ვიფიქრეთ იმაზე, რა პრინციპით გვეხელმძღვანელა და დასაწყისისთვის შევარჩიეთ სოფლები, რომლებიც ჩვენი ცნობილი კლასიკოსების დაბადების ადგილებია ან მჭიდროდა დაკავშირებული მათ ბიოგრაფიასთან. ვიყავით ქყვიში, სიმონეთში, წინანდალში... ივნი-

სის დასაწყისში კი ზემო აჭარას ვენგვეით და „საბას“ ელექტრონულ ბიბლიოთეკას ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის მშობლიური სოფლების სკოლებს ვუსახსოვრებთ. შეხვედრას კი ბათუმში გავმართავთ — იქაურ მკითხველს გურამ დონანაშვილთან შეხვედრის დიდი სურვილი აქვს. ასეთი პრინციპით ვმოგზაურობთ — ელექტრონული ბიბლიოთეკა მიგვაქვს სოფლის სკოლებში, ხოლო მწერალთან შეხვედრას ცენტრალურ ქალაქებში ვმართავთ. ასე იყო იმერეთშიც. „საბას“ ლაურეატებთან რატი ამალღობელთან, ზვიად რატიანთან, დიანა ანფიმიადისთან და ლია ლიქოკელთან ერთად მოვიარეთ სოფლები, მკითხველს ქუთაისში შევხვდით. კახეთში წინანდალსა და ვაზისუბნის ახალგაზრდებს ელექტრონულ ნიგნებთან ურთიერთობის სპეციფიკა რომ გავცანით, თელავში გადავინაცლეთ, სადაც საზოგადოებამ კოტე ჯანდიერს მოუხსმინა. ქართლში კი დათო ტურაშვილი წეროვანის დევნილთა დასახლებას ეწვია და წეროვანის საჯარო სკოლაში შეხვდა მკითხველს. რთულია სიტყვებით გადმოცემა, თუ რამდენად თბილი და ემოციით სავსე საღამოები გამოდის.

„ ანეყო წარსულის გამოცდილებით “

ასე რომ, „საბა“ მოგზაურობას აგრძელებს. და ის აღარ ასოცირდება მხოლოდ ლიტერატურულ კონკურსთან და დაჯილდოების ცერემონიასთან, რომელიც წელიწადში ერთხელ იმართება, „ფიქრისა“ თუ „შეხვედრის საბა-ბის“ ის ყოველთვიურ, ყოველკვირეულ მოვლენად აქცია, ლამის თითოეულ ოჯახში შეიყვანა, პროექტის იდეაც სწორედ ეს იყო — შეეძინა საგანმანათლებლო დატვირთვა და ამასთან, გამხდარიყო უფრო მოზილური, უფრო სოციალური და დემოკრატიული.

— როგორც ვიცით, თქვენ ახორციელებთ კიდევ ერთ აქციას, სახელწოდებით „საუბრის საბა-ბი“.

— ეს გულისხმობს დისკუსიების ციკლს, ერთგვარი ინტელექტუალური კერების შექმნას. გვინდა, საუბრები გაიმართოს ისეთ თემებზე, რაც მხოლოდ მწერლებს კი არა, კულტურის ნებისმიერ სფეროში მოღვაწე ადამიანებს ანუხებთ. მაგალითად, 11 მაისს „თიბისი გალერეაში“ მოენყო უმსხვილესი ევროპული გამოცემების — The Independent, Süddeutsche Zeitung, Die Zeit, Tageszeitung — ლიტერატურის კრიტიკოსებისა და ჟურნალისტების შეხვედრადისკუსია ქართველ მწერლებთან, ლიტერ-

ატორებთან, მედიის წარმომადგენლებთან და ბლოგერებთან. საუბრის თემა გახლდათ „ქართული ლიტერატურა და ევროპა“. ლონისძიება ლიტერატურული ფორუმ-დიალოგის ფარგლებში გაიმართა და მისი თანაორგანიზატორი იყო ქართული ნიგნის ცენტრი. შეხვედრას ნიკო ნერვაძემ გაუწია მოდერაცია. ცოცხალი საუბარი გაიმართა თანამედროვე ქართველ ავტორებზე, ლიტერატურულ პროცესებზე, კრიტიკაზე, თარგმანებზე. ეს ევროპული ჟურნალისტების გამოცდილებისა და ჩვენი პრობლემატიკის ურთიერთგაზიარების ერთგვარი მცდელობა იყო.

ლიტერატურის ფესტივალის ფარგლებში, რომელიც 18-23 მაისს გაიმართება, მწერლის სახლთან ერთად ვანყოფინა დისკუსიას თემაზე „მწერალი და სამოქალაქო პასუხისმგებლობა“. მონვეული გვყავს უცხოელი მწერლები და ლიტერატორები. შეხვედრას ლევან ბერძენიშვილი გაუძღვება. „საუბრის საბა-ბს“ ამ შემთხვევაშიც „თიბისი გალერეა“ უმასპინძლებს. ვფიქრობ, ძალიან მტკივნეული და საჭირო ბოროტო თემაა, განსაკუთრებით დღევანდელ საქართველოში. ადრე მწერალს ლამის ერის მამად მიიჩნევდნენ, დღეს სხვა დამოკიდებულებაა. საინტერესოა, სად არის ჩვენი ადგილი, უნდა ვიყოთ თუ არა სოციალურად და საზოგადოებრივად აქტიური, თუ ჩვენი ტრიბუნა მხოლოდ ტექსტი და ნიგნია? უნდა ვილაპარაკოთ თუ არა, როცა საყდრისი ფეთქდება, ან უნიკალურ ხელნაწერს ემოქრება საფრთხე. იქნებ ჯობს, სათქმელი მხატვრულ ტექსტებში ავსახოთ მხოლოდ. ეს პრობლემა მეც მანუხებს და ვფიქრობ, მწერალს, როგორც შემოქმედს და როგორც მოქალაქეს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვს და მისი ხმა, სიტყვა გაცხილებით მყდერი უნდა იყოს. სწორედ ამ თემაზე გაიმართება საუბარი უცხოელ და ქართველ ავტორებს შორის.

— თქვენი საგანმანათლებლო პროექტი „საბა უნივერსიტეტში“, რომელიც „შეხვედრის საბა-ბის“ ერთ-ერთი ნაწილია, დიდი პოპულარობით სარგებლობს. „საბას“ შეხვედრის საბაბი არ ელევა.

— ესეც საგანმანათლებლო პროექტი გახლავთ და გულისხმობს უმაღლეს სასწავლებლებში „საბას“ ლაურეატების საჯარო ლექციებისა და მასტერკლასების ციკლს. პროექტის პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა, სადაც რატი ამალღობელმა ნაიკითხა ძალზე საინტერესო ლექცია — „პოეზია, როგორც თავისუფლებაში ვარჯიში“. შემდეგ კი, შეხვედრის საბაბით, თავისუფალ უნივერსიტეტს ლევან ბერძენიშვილი ეწვია. მისი ლექციის — „რას გვამდევს მხატვრული ლიტერატურა“ — მოსასმენად დიდი აუდიტორია შეიკრიბა. რაც შეეხება მასტერკლასებს, იგი შემოქმედებითად მოტივირებული სტუდენტებისთვისაა — მათთვის, ვისაც წერა უყვარს და სურს, პროფესიონალებისგან მიიღოს რჩევები.

ჩვენ სხვაგვარადაც ვეხმარებით ასეთ ახალგაზრდებს: „საბას“ ელექტრონული სახლის დირექტორი ირინა ჯავახაძე მიდის მათთან უნივერსიტეტებში და სთავაზობს, დარეგისტრირდნენ ელექტრონულ გამომცემლებად, შემდეგ ვეცნობით მათ ტექსტებს, რედაქტირებას ვუკეთებთ,

დასასრული მე-16 გვერდზე



სამოცარია, რამდენად სიცოცხლისუნარიანი და ცხოველმყოფელი შეიძლება, იყოს სხვადასხვა ეროვნების ორი დიდი შემოქმედის ადამიანური და შემოქმედებითი კავშირი, რამდენად ზემოქმედებს იგი კულტურებზე და ქმნის რაღაც არნახულ ველს, რომელშიც ოჯახები, მეგობრები, ნათესავები, ხელოვნების წარმომადგენლები და მილიონობით მკითხველი ერთიანდება.

„ბორის პასტერნაკი და ტიცინ ტაბიძე: პოეტების მეგობრობა, როგორც კულტურათა დიალოგი“ — საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ბორის პასტერნაკის 125 წლისთავსა და ტიცინ ტაბიძის 120 წლისთავს მიეძღვნა, მოსკოვში 5-6 აპრილს გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი და მასპინძელი იყო ბორის პასტერნაკის სახლ-მუზეუმი პერედელკინოში, სადაც მოეწყო, ასევე, ტიცინისადმი მიძღვნილი გამოფენა. საიუბილეო დღეებს გამოეხმაურა პეტერბურგიც. კონფერენციის ფარგლებში ანა ახმატოვას სახლ-მუზეუმმა „ფანტანკაზე“ (მადრევის სახლში) მოაწყო მრგვალი მაგიდა — „რუსეთი და საქართველო: კულტურათა დიალოგი დღეს“. იქვე გაიმართა საიუბილეო დღეებისთვის საგანგებოდ გამოცემული წიგნის — გალინა ცურიკოვას „ტიციან ტაბიძე: ცხოვრება და პოეზია“ — პრეზენტაცია და ლორეტა აბაშიძე-შენგელიას ნამუშევართა გამოფენა.

კონფერენციის იდეა ორი წლის წინ თბილისში გაჩნდა, როდესაც ტიცინ ტაბიძის სახლ-მუზეუმს ბორის პასტერნაკის სახლ-მუზეუმის დირექტორი ირინა ერისანოვა, მწერალი და მთარგმნელი ნატალია სოკოლოვსკაია და მწერალი, ლიტერატურის ისტორიკოსი ნატალია გრომოვა სტუმრობდნენ. ახლახან ქალბატონი ირინა ისევ ეწვია თბილისს. ჩვენ მაჩაბელზე, მწერალთა სახლში შევხვდით. მასთან ერთად იყვნენ ტიცინ ტაბიძის შვილი-იშვილი, პოეტის სახლ-მუზეუმის დირექტორი ნინო ანდრიძე და მწერალთა სახლის დირექტორის მოადგილე ნანა ნიბლაძე.

ირინა ერისანოვა: „იდეა სპონტანურად დაიბადა, თუმცა მგონია, რომ იქვე იყო, ხელის განვდენაზე, ჩვენ ხომ ბორის პასტერნაკის მეგობრის სახლში ვიმყოფებოდით. ის და ტიცინი, როგორც ჩანს, დღემდე გვგულმდგვანებდნენ, მათი მეგობრობა ჩვენზეც ვრცელდება და ბუნებრივია, გაგვიჩნდა სურვილი ამ საერთო კულტურულ ველში მოგვექცია რაც შეიძლება მეტი ადამიანი... გადამწყდა კონფერენციის გამართვა. თავიდანვე ცხადი იყო, უნდა მიგვეძღვნა ამ ორი ადამიანის მეგობრობისადმი, სწორედ — მეგობრობის და არა მხოლოდ თანამშრომლობისადმი, რადგან ასეც ხომ ხდება — თარგმნიან ერთმანეთის ლექსებს, აქვთ კარგი ურთიერთობა, მაგრამ არ მეგობრობენ, ეს აუცილებელი არ არის. ისინი კი მეგობრები იყვნენ. შემდეგ უკვე დავიწყებე იდეის დამუშავება-განხილვა — გვიანტერესებდა, რამდენად აქტუალურია ეს თემა დღეს. აღმოჩნდა, რომ — ძალიან. ადამიანებს ამ ორი პოეტის მჭიდრო კულტურული და ადამიანური კავშირი ჯერ კიდევ ალღევს. კონფერენციის სახელწოდებაც შესაბამისად შეირჩა.“

ღონისძიებისთვის „ოფიციალური“ მიზეზიც გვექონდა: ორი იუბილე. ვინ უნდა ყოფილიყო წინააღმდეგი? ყველაფრის მიუხედავად, რაიმე სერიოზული დაბრკოლება, არგუმენტირებული წინააღმდეგობა არც შეგვხვებოდა. ყველაზე უსა-

მართლო ის არის, რომ ჩვენ თავისუფლად ჩამოვდივართ საქართველოში, თქვენ კი ათასი სულელური ბარიერის გადალახვა გინევთ. დამიჯერეთ, მორალურად ეს ძალიან რთულია ჩვენთვის. საერთოდ, უსაფუძვლო ოპტიმიზტი ვარ და მაინც მჯეროდა, რომ დღევანდელ რთულ ვითარებაშიც კი, ჩვენს ჩანაფიქრს განხორციელება ეწერა. და მართლაც, ყველაფერი შესანიშნავად გამოვიდა“.

დაიწყეს კონფერენციისთვის მზადება. საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, პროგრამის შედგენა, მომხსენებელთა შერჩევა, დაპატიჟება. 5 აპრილს რვაკაციანი ჯგუფი საქართველოდან — ნინო ანდრიძე, ნანა ნიბლაძე, ზაზა აბზიანიძე, გრიგოლ ჯოხაძე, მარია ფილინა, ირმა რატიანი, ირინა მოდებაძე, ელენე ყიასაშვილი — უკვე მოსკოვში იყო. გერმანიიდან ჩავიდა ელენე ჩხაიძე. კონფერენციაში მონაწილეობდნენ პოეტის შვილიშვილი ელენე პასტერნაკი და ცნობილი მოსკოველი და პეტერბურგელი მწერლები, ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსები — ნატალია სოკოლოვსკაია, ტატინა ნიკოლსკაია, ოლეგ ლეკმანოვი, კონსტანტინე აზაღოვსკი, ნატალია გრომოვა, ვლადიმერ აბაშევი, ემილ კაზანჯანუ, ლუდმილა გორელიკი, ანა აკიმოვა, ანა სერგეევა-კლატისი და სხვები, ასევე მარია კომოდური გერმანიიდან.

ზოგადად, სახლ-მუზეუმში ხომ მხოლოდ ექსპონატების საცავი და ექსკურსიის ადგილი არ არის, მისი მნიშვნელობის სრულად გააზრების შემთხვევაში, ის იქცევა ხოლმე მძლავრ სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერად, ინტელექტუალური

ორი პოეტის მეგობრობა

რესურსის თავმოყრის ადგილად, ცოცხალ ორგანიზმად. ბორის პასტერნაკის სააგარაკო სახლს პერედელკინოში, სადაც შემოქმედმა სიცოცხლის ბოლო 25 წელი გაატარა, განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა ლიტერატურულ და კულტურულ ცხოვრებაში. ის სახლი ბევრის მომსწრე და მნახველია. 1941 წელს იქ დაინერა ლექსების ციკლი „პერედელკინო“, რომელსაც ავტორი მისი პოეზიის საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევდა, იქ დაასრულა მუშაობა რომანზე „ექიმი ჟივაგო“ და შეთხზა „იური ჟივაგოს ლექსები“, რომლებიც რომანშია შესული, იქ თარგმნიდა გოეთესა და შექსპირს, თავის უკანასკნელ ლექსებზეც იქ მუშაობდა, სწორედ პერედელკინოში შეიტყო, რომ 1958 წლის 23 ოქტომბერს ნობელის პრემია მიანიჭეს.

პასტერნაკის სასურველ სტუმრებს შორის იყვნენ ახმატოვა, ეფრონი, ჩუკოვსკი, ნინო ტაბიძე და სხვები. მის ცნობილ, „ბერნშტეინის“ როიალზე (რომელსაც კიდევ ცალკე ისტორია აქვს) უკრავდნენ ნიეგაუზი, რიხტერი, იუდიჩი.

1960 წლის 30 მაისს ბორის პასტერნაკი პერედელკინოში, „როიალნაიად“ წოდებულ ოთახში გარდაიცვალა, მას შემდეგ სახლი თანდათან არაოფიციალურ მუზეუმად იქცა, პოეტის ოჯახის წევრები — მეუღლე, ვაჟი, რძალი და შვილიშვილი აგრძელებდნენ ცხოვრებას პერედელკინოში და დღემდე ორჯერ-სამჯერ დამოუკიდებელთა დიდ ჯგუფებს მასპინძლობდნენ. მოგვიანებით, პოეტის შვილი-იშვილი ელენე პასტერნაკი აი, რას დანერს თავის ესეში „И́тъя́йя́ а́а́а́“ (კრებულიდან „А́а́а́а́ и́ и́а́а́а́“): „მეგობრები და ნაცნობები, თუკი პირველად სტუმრობდ-

ნენ ჩვენთან, გაცემული რჩებოდნენ, ოჯახის წევრებისთვის კი ეს ჩვეული სურათი იყო: ვსხედვართ სუფრასთან, ვსადილობთ, ამ დროს ისმის ფეხის ხმა და ძაღლები ყუფას იწყებენ. ვდგებით, ძაღლებს აბაზანაში ვკეტავთ და კარიც იღებთ. შემოდიან უცნობები, უხერხულად დგანან, გვიბოლომებენ და სახლის დათვალიერებას გვთხოვენ. ერთ-ერთი ჩვენგანი ექსკურსიას იწყებს: „ეს სასადილო ოთახია, ამ მაგიდის გარშემო იკრიბებოდა ოჯახი და აქვე იყრიდნენ თავს მეგობრები...“

ცხადია ასეთი „მომლოცველობა“ საბჭოთა ხელისუფლებას აღიზიანებდა და მალე კიდევ მოსთხოვეს პასტერნაკებს აგარაკის დატოვება. 1985 წლამდე, ოფიციალური სტრუქტურების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, პასტერნაკებს პერედელკინო არ დაუტოვებიათ. იმ ხნის განმავლობაში სახლი ნამდვილ ნაციონალურ მუზეუმად იქცა — ადგილად, სადაც დამთვლიერებულთა ნაკადი არასოდეს წყდებოდა და საიდანაც საზრდობდა თაობები.

1990 წელს სახელმწიფომ დათმო — პერედელკინოში ოფიციალურად გაიხსნა ბორის პასტერნაკის სახლ-მუზეუმი. წლები განმავლობაში სახლის უცვლელი დირექტორი იყო ნატალია პასტერნაკი — პოეტის რძალი, რომელმაც ჯერ კიდევ პოეტის მეუღლის, ზინაიდა პასტერნაკის სოცოცხლეში გადაიხარა მისგან დისასხლისისა და მცველის მემკვიდრეობა, შემდეგ კი — ქალიშვილმა, ელენე პასტერნაკმა.



ირინა ერისანოვა

დღეს სახლ-მუზეუმს ახალი დირექტორი ჰყავს — ირინა ერისანოვა, რომელიც უკვე ორი წელია, მუშაობს იმისთვის, რომ პოეტის სახლმა, პოეტის ცხოვრების მემკვიდრეობა კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინოს და თანამედროვე სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურული პროცესების აქტიურ მონაწილედ იქცეს.

ბორის პასტერნაკისა და ტიცინ ტაბიძისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯია მუზეუმისთვის. ასე ვთქვათ, დიდი და საინტერესო გზის დასაწყისია.

ნინო ანდრიძე: „არაჩვეულებრივი კონფერენცია ჩატარდა — ძალზე საინტერესო, სერიოზული თემებით და სავსე სიყვარულით, მონატრების გრძობით. მომხსენებლებმა შემოგვთავაზეს ძალიან სერიოზული და საინტერესო თემები. ხშირ შემთხვევაში, კონფერენციები ხომ მოსაწყენი ღონისძიებებია, ლამის მთქნარებით უსმენენ მოხსენებებს, აქ კი პირიქით, საოცრად ცოცხალი სამუშაო გარემო იყო, ყველა ინტერესით უსმენდა ერთმანეთს, სხდომის შემდეგ კი არავინ მიდიოდა, გრძელდებოდა დისკუსია და საუბრები თემის გარშემო. კონფერენცია ემოციურადაც ძალიან დამუხტული იყო. ნამდვილი ზეიმი მოგვიწყეს.“

ბავშვობაში ხშირად ჩავდიოდით პერედელკინოში, მას მერე იქ აღარ ვყოფილვარ და ახლა იმავე გარემოში აღმოვჩნდი, თითქოს დრო გაჩერდა, მოგონებები გამიცოცხლდა. ნივთების ადგილმდებარეობა სახლში, იქაური ატმოსფერო — არაფერია შეცვლილი. თითქოს ოჯახის უფროსი ის-ისაა შინიდან გავიდა. აი, ამდენად ცოცხალია იქ ყველაფერი და ეს ირინას დამსახურებაა“.

ნანა ნიბლაძე: „ვფიქრობდი, ალბათ ზამთარში სახლ-მუზეუმში იკეტება-მთქი, აკი ის ქალაქგარეთ მდებარეობს. აღმოჩნდა, რომ დამთვლიერებულთა ნაკადი ზამთრობითაც არ წყდება. ისინი ბევრს მუშაობენ, ბევრი საინტერესო პროექტი და აქტივობები აქვთ“.

ტიციან ტაბიძის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა გამოფენაც პერედელკინოში. სახლ-მუზეუმის შემინულ ვერანდაზე მოეწყო ექსპოზიცია ტიცინის ხელნაწერებით, მისი და მეგობარი პოეტების ფოტოებით, ძველი თბილისის სურათებითა და ქართული სიმღერის თანხლებით. ირინა ერისანოვა: „იქ, ვერანდის მთელ გაყოფაზე ფანჯრებია, ამიტომ სივრცე ბუნებრივი შუქით ისე იყო განათებული, რომ ფოტოსურათები გამჭვირვალე ჩანდა, გეგონებოდა, თბილისის ქუჩებში დადიოდი და პოეტებს ხვდებოდი. მოსალამოვებულზე თითქოს თოვლით იფარებოდა ქალაქი, მზის ჩასვლის შემდეგ კი ფარნებით ვანათებდით სივრცეს და ექსპოზიცია, თანაც ქართული სიმღერის ფონზე, ჯადოსნურ ელფერს იძენდა. იმდენად შთაბეჭდილი გამოვიდა გამოფენა, ხალხი ორჯერ-სამჯერ მოდიოდა სანახავად. ერთ-ერთმა სკოლის მოსწავლემ, თორმეტი წლის გოგონამ, შთაბეჭდილების ქვეშ, ტიცინის პორტრეტიც კი დახატა. შემდეგ ნინომ სამასხოვრო სურათი გადაიღო იმ ნახატთან“.

ნინო ანდრიძე: „მადლობელი ვარ, რომ ტიცინის სახელი იმ სახლში ისევ გაისმა, ისევ გაცოცხლდა უამრავი ადამიანისთვის და, რაც მნიშვნელოვანია, უმცროსი თაობისთვის. ტიცინზე, მისი და ბორის პასტერნაკის მეგობრობაზე ბევრი რამ შეიტყო უამრავმა ახალგაზრდამ, ვინც დადიოდა იქ და ათვალიერებდა ექსპოზიციას“.

საიუბილეო დღეები აღინიშნა პეტერბურგშიც. ღონისძიებას ანა ახმატოვას სახლ-მუზეუმმა უმასპინძლა. მართალია, „ფანტანკაზე“ გამართული მრგვალი მაგიდა დამოუკიდებელი პროექტი იყო, მაგრამ მთავარი თემით მოსკოვის კონფერენციის ერთგვარ გაგრძელებად შეიძლება, ჩაითვალოს.

იქ გაიმართა გალინა ცურიკოვას წიგნის — „ტიციან ტაბიძე — ცხოვრება და პოეზია“ — პრეზენტაცია. დღემდე ეს არის ქართველი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ერთადერთი წიგნი, რომელიც პირველად 1971 წელს გამოიცა საბჭოთა ცენზურის მიერ შემოკლებული სახით. ახლა კი, გამოცემიდან 45 წლის შემდეგ, საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით, პეტერბურგის ქართულმა დიასპორამ ცურიკოვას მონოგრაფიის სრული ვერსია შესთავაზა მკითხველს. მონოგრაფიის გარდა წიგნში შესულია პოეტის ლექსები და ყველა პერიოდის თარგმანი. გამოიფინა ლორეტა აბაშიძე-შენგელიას მიერ შესრულებული ტიცინ ტაბიძის პორტრეტი და „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები.

ნინო ანდრიძე: „პეტერბურგში ჩვენი მასპინძლობისა და მრგვალი მაგიდის შესანიშნავი ორგანიზებისთვის დიდ მადლობას ვუხდით ბატონ ბადრი კაკაბაძეს. პერედელკინოს, როგორც გითხარით, ჩვენი ოჯახი ხშირად სტუმრობდა, მაგრამ ტიცინი არ იყო იქ ნამყოფი, აგარაკი ტიცინის შემდეგ აშენდა, ახმატოვას სახლში კი პირიქით, ტიცინის გარდა არავინ ვყოფილვართ. თავის მოგონებებში ახმატოვა იხსენებს იმ დღეს, როცა პასტერნაკი ტიცინთან და პაოლოსთან ერთად ესტუმრა. ქართველი პოეტებისთვის უთხოვია, მშობლიურ ენაზე წაუკითხათ ლექსები, უღერადობა რომ მოესმინა. მის სახლ-მუზეუმში იმ კიბით ავედი, რომლითაც დიდი ხნის წინ ტიცინი და პაოლო ადიოდნენ და იმავე მაგიდას შემოვუსხედით. შემდეგ ახმატოვას ხმა გაისმა და იმ აუდიოჩანაწერმა კიდევ უფრო გამიმძაფრა შთაბეჭდილება.“

დასასრული მე-16 გვერდზე



თეონა დოლენჯაშვილი: „ანაყო ნარსულის გამოცდილებით“

დასასრული

გარეკანის დიზაინს ექმნით და ვებგვერდზე ვტირებთ. მათი ნიგები 70 ათასზე მეტი მომხმარებლისთვის გადაიფურცლება. ამავე დროს, ისინი გახდებიან პრემია „საბას“ ლონგ ლისტის ნომინანტები.

ამასვე შევთავაზებთ რეგიონების უმაღლეს სასწავლებლებსაც. ისინი უკვე გვეხმარებიან. აინტერესებთ, მათთან როდის ჩავალთ. გვინდა, შეძლებისდაგვარად მოვიცვათ მთელი საქართველო.

— თქვენ რას შესთავაზებდით „ფიქრის საბა-ბად“ მაცურებელს, მკითხველს?

— პირველ ბლოგში, ალბათ, სწორედ მწერლის სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე ვისაუბრებდი. თემაზე — ტექსტი და ავტორი. ძალიან ხშირად, საზოგადოების ერთი ნაწილი მხატვრულ ტექსტს სწორედ მისი ავტორის სამოქალაქო თუ პოლიტიკური პოზიციის გამო „უპირისპირდება“. არადა, შემოქმედი ადამიანებიც უშვებენ შეცდომებს, შეუცდომელი არავინ არის. მაგალითად, გიუნტერ გრასს ნაციტობას აბრალებდნენ, მარკეს ფიდელ კასტროსთან მეგობრობას საყვედურობდნენ და ასე შემდეგ. მსგავსი მაგალითი ხომ უამრავია. მე მაინც ვიფიქრებ ავტორსა და ტექსტს. ჩემთვის მთავარი ნაწარმოებია, შემოქმედებაა, ნიგნი, რომელიც დროს უძლებს. და იმის გამო, რომ ავტორის ბიოგრაფია თუ მისი რომელიმე ნაბიჯი არ მომწონს, ტექსტს არ უარყვოფ. ამაზე ბევრჯერ გვიკამათია საქართველოშიც, თუნდაც სულ ახლო წარსულში.

უარავ სხვა რამეზეც შეიძლება საუბარი. ავტორთა უმეტესობას არ უყვარს კამერის წინ საუბარი, მაგრამ მათ დაყოლიებას მაინც ვახერხებთ. აქვე დავაანონსებ, რომ ლია სტურუას საოცრად ემოციური ბლოგის შემდეგ არჩილ ქიქოძე მისცემს მაცურებელს და მსმენელს „ფიქრის საბაბს“.

— „თიბისი ბანკს“ თანამედროვე მწერლობის დიდი ქომავლობა და ლიტერატურის განვითარებაზე ზრუნვა გამოარჩევს. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით განხორციელებული მისი ყველა პროექტი ხარისხის ნიშანს ატარებს. „საბა“ ამის მაგალითია.

— ვიღაცას შეიძლება, ეს სარეკლამო განცხადებად მოეჩვენოს, მაგრამ მინდა ვთქვა, „თიბისი ბანკი“ და მამუკა ხაზარაძე რომ არა, ამგვარი მნიშვნელობის ლიტერატურულ პროექტებს ვერ განვახორციელებდით. „საბა“ არის პრემია ხარისხის ნიშნით, მასშტაბური და მნიშვნელოვანი ლიტერატურული კონკურსი და ქართულ სალიტერატურო და კულტურულ სივრცეში პროცესების ძირითადი წარმმართველი.




ნლების განმავლობაში „საბამ“ უამრავი ახალი ავტორი აღმოაჩინა, არაერთ მწერალს მისცა მუხტი, დაეხმარა კრიტიკას, დრამატურგიასა თუ მთარგმნელობით საქმეს, გააქტიურა საგამომცემლო სფერო, არც ჩვენი კლასიკოსები და მათი ღვაწლი დარჩენია აღუნიშნავი. არ მეგულება ნიგნიერი და საღად მოაზროვნე ადამიანი, ვინც ამას ვერ ხედავს და არ აფასებს. „საბა“ წინ მიდის, იზრდება, ვითარდება — „საბა-ბიცი“ ამ გზის ნაწილია. ის პროექტებიც ხომ იმიტომ ხორციელდება, რომ ბავშვებში ნიგნიერების დონე ამაღლდეს, რომ ხვალ და ზეგ განათლებული საზოგადოება გვყავდეს, რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებს დავეხმაროთ. „თიბისი ბანკი“ და „საბა“ ამას ჩვენი თანამედროვე მწერლების სახელით აკეთებს. ყველაფერი ხომ აქედან იწყება. როდესაც ხალხი ნიგნიერი და განათლებულია, იმ ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისიც არ არის. ვფიქრობ, ეს მომავლის პროექტებია, ეს არის ანაყო ნარსულის გამოცდილებით მომავლის გზაზე.

— დრო თუ გრძებათ ნებისთვის?

— ძალიან ცოტა. მაგრამ ყოველთვის ვმუშაობდი და წერისთვის დრო მხოლოდ ღამით მრჩებოდა. ახლაც ასეა. მთავარია ის, რომ ეს პროექტები ლიტერატურის ნაწილია, ლიტერატურისთვის განეული სამსახურია — ასე ვთქვათ, ჩემი „სამოქალაქო პოზიციაც“ და ამ საქმის კეთება ძალიან მახარებს.

ესაუბრა თამარ ჟურული



დასასრული

ნანს ნიგლაძე: „ძალიან თბილი შეხვედრა მოგვიყვას. მართალია, სამეცნიერო კონფერენცია იყო და მონაწილეები თემატურ მოხსენებებს გვთავაზობდნენ, მაგრამ დღე არ გადიოდა, რომ სხდომების შემდეგ არ გველაპარაკა დღევანდელ ჩვენს ურთიერთობებზე. ისინი გვეუბნებოდნენ: „არ იფიქროთ, ვემხრობოდეთ რუსეთის დღევანდელ პოლიტიკას, ან ვიზიარებდით იმ დამოკიდებულებას, რაც თქვენი ქვეყნის მიმართ აქვს მთავრობას“. შესანიშნავად იყო ორგანიზებული ღონისძიებები ორივე ქალაქში, ქართული დიასპორა პეტერბურგში დიდ საქმეს აკეთებს, ძალიან პატრონობს ქართულ კულტურას. საინტერესო ხალხი გავიცანი, ყველა შეხვედრისას იგრძნობოდა ნოსტალგია, ბევრი გამოთქვამდა ჩამოსვლის სურვილს.

ყველა გამოსვლისას ვამბობდი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მოქალაქე მადლობას გიხდით ორგანიზატორებს ასეთი დახვედრისთვის, თუმცა რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, რომ ერთმანეთის კულტურის განუყოფელი ნაწილი ვართ — ომი უკვალოდ არ ქრება და მის

შეაბიჯებ და 30-იან წლებში აღმოჩნდები.

უპირველესად, ვზრუნავთ ახალგაზრდა თაობაზე. ეს ბანალურად ჟღერს, რადგან ყველა უფროსი მათზე აკეთებს გათვლას, იმავე დროს მათი არაფერი მოსწონს, სულ საყვედურობს — არ წერთ, არ კითხულობთ, უაზროდ გაგყავთ დროო. ღმერთო ჩემო, როდისმე, ვინმე ხომ უნდა ელაპარაკოს ამ ბავშვებს, მოუყვეს იმაზე, რაც არ იციან, მოახერხოს მათი დაინტერესება. მასხოვს, მოიყვანს ბავშვები ექსკურსიაზე, რაღა ბავშვები, მე-8 კლასელები იყვნენ, ძალიან ხმაურობდნენ, განსაკუთრებით ერთი ბიჭი ცელქობდა. რომ აღარ გაჩერდა, ვეუბნები: „შემიძლია, ერთი ძალიან პირადი რამ გკითხო?“ „მკითხეთ“. „ძალიან ახლო მეგობარი თუ გყავს?“ ჰყავდა, შევატყე, რადგან მაშინვე ანთო თვალები. „ახლა წარმოიგინე“... და დავინყე 30-იანი წლების ამბების მოყოლა — სრულიად მოულოდნელად და უმიზეზოდ, ისე, რომ არც იცი, რა მოხდა, მეგობარს გიპატიმრებენ, შენ უძლური ხარ რამე შეცვალო-მეთქი. და როგორც კი ეს ამბავი მის პირად სივრცეში მოექცა, ის შეიცვალა, სხვანაირი გახდა. ასე რომ, ახალგაზრ-

ორი პოეტის მეგობრობა



შედეგებს თითოეული ჩვენგანი იმკის-მეთქი. მაინც ძალიან მოხარულები ვართ, რომ მრავალი ბიუროკრატიული დაბრკოლების მიუხედავად, მოხერხდა და, ლიტერატურის საერთაშორისო ფესტივალს, რომელსაც მასის ბოლოს მწერალთა სახლი მასპინძლობს, რუსი პოეტი ვერა პავლოვა დაესწრობა.

კონფერენცია დასრულდა. მონაწილეებმა შთაბეჭდილებებით დატოვეს პერედელკინო. მაგრამ ქალბატონი ირინა ამბობს, რომ ასეთი ღონისძიებები არასოდეს არსებობას აგრძელებს იმისთვის, რომ სხვებმა აიტაცონ, განავითარონ და ახალი შეხვედრებისა და დისკუსიების მიზეზად აქციონ.

ელენე პასტერნაკი თავის ესეში ძალიან ცოცხლად გვიხატავს პერედელკინოში გატარებულ ბავშვობის წლებსა და იქაურ ყოველდღიურობას. კითხულობ მოგონებებს და თითქოს მისი ოჯახის ყოფას ადევნებ თვალს, ფართოდ გამოღებულ ფანჯრებში იყურები და ხედავ, მაგადასთან როგორ სხედან, მშვიდად საუბრობენ, საგულდაგულოდ გასამებული და ახალგაუთოებული თეთრეულის სურნელსაც კი გრძნობ თითქოს. სწორედ ამ შთაბეჭდილებით ვკითხვ დამშვიდობებისას ქალბატონ ირინას, როგორია დღევანდელი პერედელკინო, სახლ-მუზეუმის ყოველდღიურობა-მეთქი.

ირინა პრინანოვა: „სახლ-მუზეუმი დროის მანქანაა — ასე ვეუბნები ბავშვებს, რომლებიც ჩვენთან მოდიან. მართლაც ასეა, სხვაგან სად ნახავთ სივრცეს, სადაც

დობა სულაც არ არის „დაკარგული თაობა“, როგორც ეძახიან. მუზეუმს მათი სახლი შესანიშნავი მეგობრები ჰყავს, ძალიან საინტერესო ხალხია და არც ერთი ერთმანეთს არ ჰყავს“.

მართლაც, სულ სხვაა, 30-იანი წლების ისტორიებს, კონკრეტულ ბიოგრაფიებს, მაშინდელი მეგობრობის მაგალიტებს ახალგაზრდები რომ ეცნობიან, მათ მოვლენების ძალიან ცოცხალი, ემოციური და გულწრფელი აღქმა აქვთ და როგორც ქალბატონმა ირინამ თქვა, იმ დიდებულ ამბებს თავის ნაწილად აქცევენ. სწორედ ამაზეა ოლესია ფოკინას შესანიშნავი დოკუმენტური ფილმიც „ექიმ ჟივავოს“ ბიჭები და გოგონები“, რომელიც კონფერენციის ფარგლებში აჩვენეს სტუმრებს. „ბიჭები და გოგონები“ პასტერნაკის ცნობილი რომანის თავდაპირველი სახელწოდებაა, ფილმი არის მცდელობა, „ექიმი ჟივავოს“ ავტორი XXI საუკუნის გოგო-ბიჭების პირად სივრცეში, მათ აღქმაში დაგვანახოს. და ჩვენც მათი თვალით ვხედავთ, როგორ იწერება „ჟივავო“, როგორ ცხოვრობს პასტერნაკი, როგორ მეგობრობს ტიცინ ტაბიძესთან და როგორი ერთგული რჩება დახვედრის პოეტის ოჯახისა. ვხედავთ, როგორ უყვარს და როგორ სტკივა. და როდესაც ქართველი და რუსი ახალგაზრდები ორ პოეტზე ლაპარაკობენ, მათ ლექსებს კითხულობენ და ისტორიის მშვენიერ დეტალებზე ყვებიან, უფრო ცხადი ხდება, თუ რას ნიშნავს ჩვენს სინამდვილეში კულტურათა დიალოგი.

მომზადა თამარ ჟურული

„ლიტერატურული გაზეთის“ გამომწერის მსურველები დაუკავშირდით სს „მაცნე“-ს: 214 74 22; 214 39 06

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com